აფხაზებმა სომხები გაასახლეს A2

პატრიარქები ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ A3

ისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 5 მარტი, 2004 წელი. №54 (603)

ფასი 50 თეთრი

# დაპირისპირება კოდორის ხეობაში

*"24 საათის" რედაქციას მომართა კოდორის ხეობის მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამენ ახალი ხელისუფლების მიერ კოდორის ხეობის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის გამო. ამგვარი შეშფოთების საფუძველს მათ ის ფაქტი აძლევთ, რომ ხეობის მმართველობაში ჯერაც არ გატარებულა სათანადო საკადრო ცვლილებები. წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, შეიცავს იმ ბრალდებებს, რომლებსაც ხეობის მოსახლეობის ერთი ნაწილი კოდორის მმართველობის სადავეებთან მყოფ ადამიანებს, კერძოდ კი, რწმუნებულს უყენებს.*

*"გამოუვა თუ არა კოდორის ხეობის კორუმპირებულ მმართველებსა და მათ გავლენიან მფარველებს "საქმის ჩაწყობა" ქვეყნის ახალ ხელისუფლებასთან"*



"რწმუნებული დაუპირისპირდა ქართველ ერს"

**ოთარ გუჯეჯიანი**

*2003 წლის ნოემბრის საერთო-სახალხო რევოლუციის მხარდამჭერი ჯგუფის ხელმძღვანელი კოდორის ხეობიდან, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი.*

2003 წლის საერთო სახალხო რევოლუციის დღეებში კოდორის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ყველა პატიოსანმა კოდორელმა საკუთარი თავის შეურაცხყოფად მიიღო ის სამარცხვინო ფაქტი, რომ კოდორელთა სახელით რეგიონის მმართველები, კერძოდ კი, ხეობის რწმუნებული აშკარად დაუპირისპირდა ქართველ ერს, მის ჭეშმარიტ ლიდერს, დადგა შევარდნაძის

გაგრძელება A7 გვერდზე



"დავერბოვკებულები მებრძვიან"

**ემზარ კვიციანი**

*პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში.*

**"ადამიანები, რომლებიც მე ამ ბრალდებებს მიყენებენ, თავის დროზე კახა თარგამაძის მითითებებით მოქმედებდნენ და ახლაც აგრძელებენ თავის საქმიანობას,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა, - **თუ გაიხსენებთ, პარლამენტთან შეკრებილი აჭარლების მიტინგის წინაშე გამოსვლისას, მე ყველას შერიგებისა და დაპირისპირების თავიდან აცილებისკენ მოვუწოდე. ამასთან, მე პრეზიდენტის**

გაგრძელება A7 გვერდზე

## სპეცოპერაცია ტრაგიკულად დასრულდა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

*გუშინ, შუადღით, იმერელი სამართალდამცველების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.*

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თერჯოლა-ზესტაფონის საავტომობილო გზის თერჯოლის მონაკვეთზე არსებულ ბენზინგასამართ სადგურთან ბოროტმოქმედებმა ორი ავტომობილი: "ფორდის" მარკის "ჯიპი" და ამავე მოდელის მსუბუქი ავტომობილი დააყაჩაღეს. სამართალდამცავები ავტომანქანების გამტაცებლებს თერჯოლიდანვე აედევნენ. ყაჩაღები ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე მივიდნენ, სადაც ერთ-ერთი დამნაშავე, როგორც შემდგომში გაირკვა - გაგა ჭეიშვილი ცხოვრობდა. წინასწარი მონაცემებით, ისინი ჭეიშვილის სახლში აპირებდნენ დამალვას. პოლიცია მათ სწორედ აქ წამოეწია. სამართალდამცავების მოთხოვნას დანებების შესახებ დამნაშავეებმა ცეცხლის გახსნით უპასუხეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

## დავით სარაჯიშვილის ანდერძი




### პოლიტიკა

**„ცუდად დამონტაჟებული" ინტერვიუ თუ, მართლაც, ბოიკოტი?**

რუსეთის ტელევიზიის მიერ გადაცემულ ინტერვიუში ასლან აბაშიძის განცხადებას "აღორძინების" მიერ არჩევნების ბოიკოტის თაობაზე, ჭიპაშვილი ასე ხსნის: "ეს იყო ცუდად დამონტაჟებული ინტერვიუ ან რაღაც გაუგებრობა."

A3

### ეკონომიკა

**ხმაური ხმაურის სანაცვლოდ**

მებაჟეები გია მდივნიშვილი და კახა თხელიძე 29 თებერვალს დილით დააკავეს. ოპერაცია, რომელიც ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციამ დაგეგმა და ჩაატარა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართოდ გაშუქდა, მაგრამ...

A4

### უცხოეთი

**სერგეი ივანოვი ყატარს ემუქრება?**

თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსეთი მის ხელთ არსებულ ნებისმიერ საშუალებას გამოიყენებს, რათა ყატარში დაკავებული რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლები გაათავისუფლოს და სამშობლოში დააბრუნოს.

A5

### საზოგადოება

**ფალსიფიცირებული „რაციოცეფის" ერთი ფლაკონი ერთი ადამიანის სიცოცხლე ჯდება**

სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციამ თბილისისა და მარნეულის აფთიაქებში ფალსიფიცირებული მედიკამენტი "რაციოცეფი" აღმოაჩინა. სასამართლოს მხრიდან კი ამ ფაქტს ისეთი კურიოზული რეაქცია მოჰყვა, სიცილი კი არა, ტირილი მოგინდება.

A6

### სამართალი

**უშიშროების დაკავებული თანამშრომლები თბილისში გადმოიყვანეს**

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების ექვსი მაღალჩინოსანი, რომლებიც გუშინწინ ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის შემდეგ დააკავეს, თბილისში არიან გადმოყვანილები.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | |
| ქუთაისი | 16 | |
| ბათუმი | 16 | |
| სოხუმი | 8 | |
| ფოთი | 14 | |
| თელავი | 17 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 14 | |
| ახმეტა | 18 | |
| ჭიათურა | 14 | |
| ბაგრა | 6 | |
| სამტრედია | 16 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9500 |
| ევრო | 2.3833 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5753 |
| რუბლი | 0.0680 |

## შფოთი წითელი და თეთრი ვარდების თაიგულში

ეკა კიკიანი

პაერში ჯერ ისევ ვარდების სურნელი ტრიალებს, ამიტომ შეიძლება ყურადღების მიღმა გვრჩება, რომ რევოლუციური თაიგული ორი ფერის ვარდებით არის შეკრული. წითელ და თეთრ ვარდებს კი ისტორიულად უჭირთ ერთმანეთთან შეგუება.

აშკარად ჩანს, "ნაციონალები" და "დემოკრატები" არც ისე უშფოთველად თანაარსებობენ, როგორც სურთ, რომ გამოიყურებოდნენ.

ერთი მხრივ, ორი პარტია ერთიანდება, ფორმალურად ერთიანი სია წარადგინეს, ცოტა ხანში ისინი უკვე ყოფილი "ნაციონალები" და ყოფილი "დემოკრატები" გახდებიან; მეორე მხრივ, სათუოა, რომ მათ ასე იოლად დაივიწყონ საკუთარი პოლიტიკური წარმომავლობა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს ორი პარტია ერთმანეთის ძირითადი კონკურენტი იყო და, მიუხედავად გარეგნული ლოიალობისა, მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მძიმე ტექნიკა ნარინჯისფერ ფონზე

"გეგმიური გადაადგილება" თუ ძალის დემონსტრირება?

ვერიკო თევზაძე

*გუშინ, ოპოზიციურმა გაერთიანებამ "ჩვენი აჭარა" გაავრცელა ინფორმაცია აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის ტექნიკისა და საჯარისო ნაწილების ბათუმსა და მის შემოგარენში გადაადგილების შესახებ. ედვარდ სურმანიძის და კობა ხაბაზის განცხადებით, ავტონომიურ რესპუბლიკაში სამხედრო ტექნიკის გადაადგილება თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ ყოფილა, რაც სამხედრო გადატრიალების ტოლფასია და ამგვარი ქმედება აუცილებლად უნდა დაისაჯოს.*

"24 საათი" დაუკავშირდა თბილისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ჰამლეტ ჭიპაშვილს. ჭიპაშვილის განმარტებით, **"ეს იყო "გეგმიური გადაადგილება", რომელიც შეთანხმებული იყო თავდაცვის სამინისტროსთან."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## დღეს მთავრობის სხდომაზე საგადასახადო ამნისტიის "დეტალები" გახმოვანდება

თამარ ხორბალაძე
ნინო ნარჩემაშვილი

*მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საქართველოს ახალი მთავრობა "საგადასახადო ამნისტიის თავისეულ ხედვას საბოლოოდ ჩამოაყალიბებს. "24 საათის" ინფორმაციით, ამ დეტალების შეთანხმება ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს კანცელარიაში ღამ-ღამობით გამართულ შეხვედრებზე ხდებოდა. მთავრობის მიერ მომზადებული "ამნისტიის" პირობები, როგორც ამბობენ, საკმაოდ მკაცრია, თუმცა უფრო ლმობიერია კანონპროექტის იმ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გუშინ "თავისუფლების" ინსტიტუტში წარმოადგინეს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პრობლემა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ისტორია | B7 ქვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ბაქოში

გუშინ დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ბაქოში. მიხეილ სააკაშვილი პირველი პრეზიდენტია, ვინც ილჰამ ალიევის ინაუგურაციის შემდეგ ბაქოს ეწვია.

აზერბაიჯანის დედაქალაქის აეროპორტში ქართულ დელეგაციას აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი არტურ რასი-ზადე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვილაიათ გულიევი დახვდნენ. ჩასვლისთანავე სააკაშვილმა ქართველი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისთვის გააკეთა განცხადება:

**"მე თქვენს ქვეყანაში განსაკუთრებული გრძნობით ჩამოვედი, ვინაიდან ჩვენს ხალხს შორის საუკუნეთა ურთიერთობების ტრადიცია არსებობს. ეს არის გულის კარნახით შემდგარი ვიზიტი. ჩვენ ერთად სასწაულების გაკეთება შეგვიძლია!"**

აეროპორტიდან მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის საფლავის გვირგვინით შესამკობად გაემართა.

ამის შემდეგ პრეზიდენტის სასახლეში შედგა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შორის. შეხვედრის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა სამ დოკუმენტს:

1. საქართველოს და აზერბაიჯანის განათლების მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
2. საქართველოს და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მთავრობებს შორის ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
3. საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მიერ ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას.

ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ შედგა პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენცია. მეზობელი ქვეყნების პრეზიდენტებმა აღნიშნეს, რომ შეხვედრა საკმაოდ კონსტრუქციული და საქმიანი იყო. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, მათ საქართველო-აზერბაიჯანის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მისი თქმით, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ყოველთვის იყო თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ ეს მხოლოდ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენს უკავშირდებოდა. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობაში პრიორიტეტულია არა მხოლოდ ეს პროექტი, არამედ ბევრი სხვა რამ.

ამ მოსაზრებას ილჰამ ალიევიც დაეთანხმა და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩვენს ქვეყნებს არა მარტო მეზობლობა, არამედ ერთმანეთის მსგავსი პრობლემები (აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტები) აერთიანებს; პრეზიდენტებს კი მათი გადაჭრისა და მოგვარების საერთო ხედვა აქვთ.

პრესკონფერენციაზე, ასევე, ითქვა, რომ უახლოეს მომავალში უნდა აღმოიფხვრას ყველა ბარიერი, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის შეუშლის ხელს. ეს ეხება ოფიციალურ, საბაჟო თუ სხვა საკითხებს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ძლიერ საქართველოს ძლიერი აზერბაიჯანი სჭირდება და პირიქით. ამ ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა კი წაადგება არა მარტო ჩვენს ქვეყნებს, არამედ კავკასიის რეგიონს მთლიანად.

დღის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის თავმჯდომარეს მურთუზ ალესქეროვს შეხვდა, რის შემდეგაც აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელით საზეიმო მიღება გაიმართა.

# მომავალი თვიდან პენსიები იზრდება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 4 მარტს ისანი-სამგორის რაიონის პენსიონრებს შეხვდა. გზად აეროპორტისკენ, მან სახალხო ბანკის ისანი-სამგორის ფილიალში შეიარა და, მისივე თქმით, მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენას გაესაუბრა.

შეხვედრისას, მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. კერძოდ, მან თქვა, რომ პენსია მთელი საქართველოს მასშტაბით 3 ლარით იზრდება. მომავალი თვიდან თბილისელი პენსიონრები 20 ლარს მიიღებენ, ხოლო სხვა რეგიონებში - 17 ლარს. თუმცა, პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ეს პროცესი წლის დამლევამდე გაგრძელდება და, საბოლოოდ, პენსიები მთელ ქვეყანაში გათანაბრდება.

"- უდავოა, რომ თითოეული თქვენგანი 3-ჯერ, 4-ჯერ მეტს უნდა იღებდეს, მაგრამ ეს პრობლემა რამდენიმე დღეში ვერ გადაწყდება, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. - ეს ეტაპობრივად მოხდება. უკვე მივაღწიეთ იმას, რომ თქვენს კუთვნილ თანხას დაუგვიანებლად იღებთ, შემდეგი თვიდან კი დავალიანებების გასტუმრებასაც დავიწყებთ. მიუხედავად იმისა, რომ წინ პატარა ნაბიჯებით მივიწევთ, ვცდილობთ, უწინარეს ყოვლისა, თქვენი, პენსიონრების მდგომარეობა გავაუმჯობესოთ".

საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ხელისუფლება მუშაობს, რათა ჯანდაცვის სფერო პენსიონრებისთვის ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

"- იმ სამედიცინო პროგრამებით, რომლებითაც ადრე პარლამენტარები და მთავრობის სხვა წარმომადგენლები სარგებლობდნენ, ამიერიდან თქვენ ისარგებლებთ", - განუცხადა მათ პრეზიდენტმა.

შეხვედრის დასასრულს მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებისთვის გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ბაქოში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის გასაცნობად და მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის გასაღრმავებლად მიემგზავრება. მან ასევე განაცხადა, რომ მარტში სომხეთსაც ესტუმრება და ვიზიტს ევროპაშიც გეგმავს. მისი თქმით, წინასაარჩევნო პერიოდის მიუხედავად, ეს ვიზიტები აუცილებელია, რათა წინა მთავრობის გაფუჭებული საქმე გამოსწორდეს, ხოლო გაკეთებული განვითარდეს.

**სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური**

# დენი იქნება, მთავარია, წყალმა იმატოს

საბითუმო ბაზარმა ახალი ლიმიტები დაამტკიცა. ბაზრის პროგნოზების თანახმად, გაზაფხულის წყალდიდობის პერიოდის დაწყებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია მარეგულირებელ და სეზონურ ჰიდროსადგურებზე წყლის რესურსების მატება, რაც, ბაზრის განცხადებით, **"სახელმწიფო ელექტროსისტემას საშუალებას მისცემს, დამატებითი ელექტროენერგია მიაწოდოს თბილისს, რკინიგზის მომხმარებლებსა და კახეთის ენერგოკომპანიას."** ამ დროისათვის ელექტროსადგურებში წყალი ცოტაა. ამიტომ ბაზარი მარტის თვეში ელექტრომომარაგების საგრძნობ გაუმჯობესებას არ ელის.

გაგრძელდება იმპორტი რუსეთსა და სომხეთიდან. იმპორტიორები ისევ იქნებიან: "თელასი", "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" და "აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია". ბაზარი მოუწოდებს ენერგოკომპანიებს, დაიცვან მათთვის დადგენილი ლიმიტები, რადგან **"მარეგულირებელ ელექტროსადგურებზე წყალსაცავების შევსების დაგეგმილი გრაფიკი არ უნდა დაირღვეს".**

*24 საათი*

# აფხაზები ელექტროსადგურის ამფეთქებლებს ეძებენ

აფხაზი სამართალდამცველები გაგრის ქვეელექტროსადგურზე განხორციელებული დივერსიული აქტის მონაწილეებს უშედეგოდ ეძებენ და ინციდენტის გახმაურებისგან თავს იკავებენ.

24 თებერვალს გაგრის ქვეელექტროსადგურზე მომხდარი მძლავრი აფეთქების შედეგად გაგრა და მისი შემოგარენი ელექტრომომარაგების გარეშე დარჩა. აფხაზი სამართალდამცველების მცდელობის მიუხედავად, გამოძიებას, რომელსაც სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურები ერთობლივად აწარმოებენ, ჯერჯერობით, არათუ არ დაუკავებია დამნაშავეები, სერიოზული ეჭვმიტანილებიც კი არ ჰყავს.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ქვესადგურზე მომხდარი აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ ენერგეტიკოსებმა სარემონტო სამუშაოების დასრულება დღემდე ვერ მოახერხეს და გაგრა კვლავ ელექტროენერგიის გარეშე რჩება. იმავე წყაროს ცნობით, გაგრის აფხაზურმა ადმინისტრაციამ ქალაქის საავადმყოფოსთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად გენერატორები შეიძინა.

*ინტერ-პრესი*

# "მრეწველები-ახლები" და საკადრო პოლიტიკა



*"მრეწველ-ახლები" ხელისუფლების ყველა ნაბიჯს აკრიტიკებენ.*

ზუგდიდში ორი დღის წინ განვითარებულ მოვლენებს, რასაც უშიშროების ადგილობრივი თანამშრომლების დაპატიმრებები მოჰყვა, ოპოზიცია დაუყოვნებლივ გამოეხმაურა.

საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვიეს საარჩევნო ბლოკ "მრეწველები – ახლების" ლიდერებმაც და ამ დაპატიმრებებს **"პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული დევნა უწოდეს".** მეტიც - ეს კონკრეტული ფაქტი განაზოგადეს და ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმოებული საკადრო პოლიტიკა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

ზურაბ ტყემალაძის თქმით, **"ძალოვან სამინისტროებში თანამშრომელთა შემცირების ხარჯზე გათავისუფლებული ვაკანსიები პოლიტიკური ნიშნით შეივსება". "ძალოვან სტრუქტურებში ასეთი ღონისძიებების არჩევნების წინ გატარებას კანონი კრძალავს",** - აცხადებს ტყემალაძე და იქვე დასძენს, რომ მისთვის მიუღებელია **"ხელისუფლების პირველი პირების განმარტება, თითქოს სამსახურებიდან ყოველგვარი გარანტიების გარეშე გათავისუფლებული ადამიანები კერძო სექტორებში დასაქმდებიან, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვით კერძო წარმოება განვითარდება".**

**"სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე რეორგანიზაცია ქვეყანაში საშუალო ფენის მოსპობის წინაპირობაა, რადგან კერძო სექტორებში არსებული მდგომარეობა ყველასთვის ცნობილია",** - აღშფოთებულია ზურაბ ტყემალაძე.

**"როცა ხელისუფლება სხვადასხვა უწყების თანამშრომლებს ყოველგვარი საბაბის გარეშე აიძულებს, თანამდებობები დატოვონ, ეს მისი მხრიდან უკანონო ქმედებაა. წინასაარჩევნოდ თანამშრომელთა ძალოვანი უწყებებიდან გაშვება კანონსაწინააღმდეგოა, თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ამგვარ ქმედებებს არ ერიდება,"** – ერთხმად აცხადებენ ბლოკის ლიდერები.

"ახალი მემარჯვენეების" გენერალური მდივანი დავით საგანელიძე კი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლებული და შემცირებული თანამშრომლების დასაქმების პროგრამა და, საერთოდ, დასაქმების სწორი პოლიტიკა.

*24 საათი*

# დონორმა ორგანიზაციებმა დახმარებათა ხარჯვის შემოწმება დაიწყეს

ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროში დაიწყო საინვესტიციო კრედიტებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების განხილვა, რომლის მიზანია, გაირკვეს, რამდენად მიზნობრივად და ეფექტიანად იხარჯება დონორთა დახმარება.

გუშინ ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს მსოფლიო ბანკის, კუვეიტის ფონდისა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიმდინარეობა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია, განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, მსოფლიო ბანკის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი როი სოუთვორთი და პროექტების კოორდინატორები.

დონორთა შეფასებით, გასული წლების უმთავრესი პრობლემა – სერიოზული შეფერხებები თანადაფინანსებაში მოგვარებულია, რაც მომავალი ურთიერთთანამშრომლობის უმთავრესი პირობაა.

შეგახსენებთ, რომ დონორების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში შემდეგი პროექტები ხორციელდება: საქართველოს საავტომობილო გზების 40-მილიონიანი პროექტი (მსოფლიო ბანკი), საავტომობილო გზების 16,250 მილიონიანი პროექტი (კუვეიტის ფონდი) და საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების 25,9-მილიონიანი პროექტი (მსოფლიო ბანკი).

*24 საათი*

# აფხაზებმა სომხები გაასახლეს

სოხუმის ხელისუფლების სამართალდამცველებმა აფხაზეთში არაკანონიერი ჩაწერისა და მიწების უკანონო მიტაცებისთვის გაგრის ზონიდან სომეხი ეროვნების 500-ზე მეტი მოქალაქის დეპორტაცია განახორციელეს.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, უკანონოდ ჩაწერილთა დეპორტაცია სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის რაულ ხაჯიმბას დავალებით განხორციელდა. მისი განკარგულებით აფხაზ სამართალდამცველებს ერთი თვის წინ აფხაზეთის ტერიტორიიდან იმ მოქალაქეების დეპორტაცია დაევალათ, რომლებმაც 1994-2004 წლებში აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება და მიწის ნაკვეთების დაპატრონება კანონდარღვევებით შეძლეს.

მათივე თქმით, უკანასკნელ წლებში სომხეთიდან და კრასნოდარის მხარიდან აფხაზეთში ჩასახლების მსურველ სომეხ მოქალაქეთა ნაკადმა საგრძნობლად იმატა, რის გამოც სოხუმის ხელისუფლება იძულებული გახდა, მათ მიმართ მკაცრი ზომები გაეტარებინა, ამიტომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში 500-ზე მეტ სომეხს აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება მოუწია.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, აფხაზეთის ხელისუფლება შეშფოთებულია 2003 წლის მარტში აფხაზეთში ჩატარებული აღწერის შედეგებით, რომელთა მიხედვით, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში სომეხი ეროვნების მოქალაქეთა რიცხვი აფხაზების რაოდენობას ბევრად აღემატება.

იმავე წყაროს ცნობით, გაგრის ზონიდან სომხების დეპორტაციამ მკვეთრად გაამწვავა დაპირისპირება აფხაზებსა და აფხაზეთის მრავალრიცხოვან სომხურ დიასპორას შორის.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "აღორძინების კავშირი" იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლება კეთილ ნებას გამოხატავს, გაითვალისწინებს ევროსაბჭოს რეკომენდაციას და შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევაზე იმსჯელებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოჯორის სწრაფი რეაგირების ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის სერტიფიკატები გადასცეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ "სოციალისტურმა პარტიამ" ქუთაისში საარჩევნო პროგრამისა და სიის პრეზენტაცია მოაწყო. პარტიის გენერალური მდივნის ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, პარტიის რეორგანიზაცია და საარჩევნო კამპანიის დაწყება ერთმანეთს დაემთხვა, რაც "სოციალისტთა" ელექტორატზეც აისახება. ქუცნაშვილის განცხადებით, ქართველ "სოციალისტთა" ყოფილი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი პარტიის საარჩევნო კამპანიით არ დაინტერესებულა. "სოციალისტურ პარტიას" აღარაფერი აქვს საერთო ყოფილ ლიდერთან ვახტანგ რჩეულიშვილთან. საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ქართველი "სოციალისტები" ჯერ კიდევ განიცდიან რჩეულიშვილის ზეგავლენას, მცდარია", - აღნიშნა ქუცნაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს. იგი რეგიონებში გაემგზავრება და რაიონებისა და სოფლების მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრებს გამართავს. წინასაარჩევნო კამპანიას "ლეიბორისტთა" ლიდერი კახეთიდან დაიწყებს. **ინტერ-პრესი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 40

*2004 წლის 3 მარტი ქ. თბილისი*

ზ. სოსელიას საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ზურაბ სოსელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 41

*2004 წლის 3 მარტი ქ. თბილისი*

ვ. გიგოლაშვილის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ვასილ გიგოლაშვილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 47

*2004 წლის 3 მარტი ქ. თბილისი*

გ. ნიჟარაძის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი ნიჟარაძე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 49

*2004 წლის 3 მარტი ქ. თბილისი*

დ. ეგიაშვილის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს დავით ეგიაშვილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №65

*2004 წლის 4 მარტი ქ. თბილისი*

პ. მამრაძის საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს პეტრე მამრაძე საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსად.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება № 2

*2004 წლის 3 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს კანცელარიის შექმნის შესახებ.

საქართველოს მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად:

1. შეიქმნას საქართველოს კანცელარია და დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანდართული დებულება და სტრუქტურა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის კანცელარიის დაფინანსებისათვის აუცილებელი სახსრები.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობის კანცელარია იქმნება "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით.
2. მთავრობის კანცელარია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სამართლებრივი აქტებით, პრემიერ-მინისტრის ბრძანებებითა და ამ დებულებით.
3. მთავრობის კანცელარიას აქვს ბეჭედი საქართველოს გერბის გამოსახულებით, საკუთარი ბლანკი და ანგარიში ხაზინაში.
4. მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებსა და საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 2. მთავრობის კანცელარიის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების, მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთავრობის კანცელარია უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების პირობების შექმნას;
ბ) სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყეო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზების ხელშეწყობას, აგრეთვე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციას;
გ) სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში დამტკიცებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას;
დ) კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებას;
ე) მინისტრებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა აქტების გაუქმების შესახებ;
ვ) ინფორმაციით საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ;
ზ) საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების, პრემიერ-მინისტრის ბრძანებათა პროექტების მომზადებას;
თ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ უზრუნველყოფას;
ი) საქართველოს პრემიერ-მინისტრის ურთიერთობას საქართველოს პარლამენტთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ინსტიტუტებთან;
კ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საპროტოკოლო ღონისძიებათა კოორდინაციას;
ლ) მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ორგანოების სხდომების გამართვის, განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის პროექტების მომზადების ორგანიზებას;
მ) ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანოების - კომისიებისა და საბჭოების საქმიანობისადმი ხელშეწყობას;
ნ) სამთავრობო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას და ამ პროგრამების შესრულების კონტროლს;
ო) რეგიონალური პოლიტიკის განხორციელების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობის კოორდინაციას;
პ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას;
ჟ) საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლობას;
რ) ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავებას;
ს) დოკუმენტების მიღების, დამუშავებისა და მომზადების უზრუნველყოფა;
ჟ) საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლობას;
რ) ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავებას;
ს) დოკუმენტების მიღების, დამუშავებისა და მომზადების ერთიანი წესისა და მათთან დაკავშირებულ დავალებათა შესრულებას;
ტ) მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელებას;
უ) ცალკეული ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციის, საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვასა და მიღებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ფ) საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტის ხელშეწყობას.

მუხლი 3. საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურა და შემადგენლობა

მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი
ბ) საორგანიზაციო დეპარტამენტი
გ) კონტროლის დეპარტამენტი
დ) საქმის წარმოების დეპარტამენტი
ე) საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი
ვ) საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი
ზ) იურიდიული დეპარტამენტი
თ) რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტი
ი) განვითარებისა და რეფორმების დეპარტამენტი
კ) პრესსამსახური
ლ) მთავრობის კანცელარიის უფროსის სამდივნო

მუხლი 4. მთავრობის კანცელარიის ხელმძღვანელობა

1. საქართველოს მთავრობის კანცელარიის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. იგი ასევე ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.
2. მთავრობის კანცელარიის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
3. მთავრობის კანცელარიის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მთავრობის კანცელარიის უფროსის წარდგინებით.
4. მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილეებს შორის უფლებამოვალეობებს ანაწილებს და მათი საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანცელარიის უფროსი.
5. მთავრობის კანცელარიის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებსა და საშტატო ნუსხას;
გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და პრემიერ-მინისტრის თანაშემწეების კანდიდატურებს;
დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს, გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის კომპეტენციას მიკუთვნებული თანამდებობების პირებისა;
ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებებს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეთა წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენების შესახებ;
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მთავრობის კანცელარიის მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით ახორციელებს მათ წახალისებასა და მათ მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენებას;
ზ) განსაზღვრავს მოადგილეთა ფუნქციურ მოვალეობებს;
თ) განკარგავს მთავრობის კანცელარიის ფინანსურ სახსრებს;
ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს - ბრძანებებს;
კ) მონაწილეობს მთავრობის სხდომებში, ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის აქტების დანართებს;
ლ) ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტაციას და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გამოდის მთავრობის კანცელარიის სახელით;
მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონმდებლობით, მთავრობის კანცელარიის დებულებათა და პრემიერ-მინისტრის მიერ მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებათა ()

მუხლი 5. საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები

1. მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს კანცელარიის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
2. საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებულ საქმიანობას იურიდიული დეპარტამენტის მეშვეობით ახორციელებს საპარლამენტო მდივანი, რომელსაც საქართველოს მთავრობის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.
3. მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) მთავრობის კანცელარიის სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც კანცელარიის, ამ ერთეულის დებულების, პრემიერ-მინიტრისა და კანცელარიის უფროსის დავალებათა შესაბამისად უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, ამავე დროს, პასუხისმგებელია კანცელარიის ხელმძღვანელობის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;
ბ) კანცელარიის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა კანდიდატურებს;
გ) ამზადებს და კანცელარიის უფროსს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტს, განსაზღვრავს თანამშრომელთა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და უზრუნველყოფს მათი შესრულების კონტროლს;
დ) ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;
ე) უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, საჭირო დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ვ) კანცელარიის უფროსს წარუდგენას წინადადებებს თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე;
ზ) ახორციელებს ამ დებულებით, სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანამშრომლები

საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანამშრომლები წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

მუხლი 7. საქართველოს მთავრობის კანცელარიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა შენობაში განთავსებისა და ადმინისტრაციის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბაზაზე მთავრობის კანცელარიის უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნამდე მთავრობის კანცელარიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფუნქციებს ახორციელებს კანცელარიის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მძიმე ტექნიკა ნარინჯისფერ ფონზე

პირველი გვერდიდან

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთ-ერთი უწყების მაღალჩინოსანმა "24 საათი" ასე დააკვალიანა: **"დანამდვილებით ვიცი, რომ ეს არ იყო გეგმიური გადაადგილება, მაგრამ ჩემს კომპეტენციაში არ შედის გაზეთებისთვის ინტერვიუს მიცემა, ამიტომ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდით."**

მაღალჩინოსანმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა ის, რაც, მასთან საუბრამდე რამდენიმე წუთით ადრე, თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში გვთხოვეს: **"იქნებ, ამის შესახებ უშიშროების სამინისტროს მიმართოთ..."** თავაზიანი ფორმის, მაგრამ ჩვენთვის არასასურველი შინაარსის ასეთი პასუხი მარტივ და გასაგებ ენაზე ნიშნავს: ჩვენ არაფერი ვიცით და თავი დაგვანებეთ!

ედვარდ სურმანიძის შეფასებით, აჭარაში ჯარის ნაწილების და მძიმე ტექნიკის გადაადგილება ერთგვარი პასუხი იყო საჯარისო ნაწილებში საქართველოს პრეზიდენტის 3 მარტის ინსპექტირებაზე: "ჩვენც გვყავს ძალები, რომელსაც საჭიროებისამებრ გამოვიყენებთ", - ასე გამოეხმაურა სააკაშვილს აბაშიძის რეჟიმი".

გუშინვე ნათელი შეიქნა, რომ აჭარაში ერთგვარი დაბნეულობა შეინიშნებოდა. იმ დროს, როცა ჰამლეტ ჭიპაშვილი ჩვენთან ჯარის ნაწილების "გეგმიურ" გადაადგილებაზე საუბრობდა, ერთ-ერთმა ქართულმა სააგენტომ გაავრცელა "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის კომენტარი, რომელშიც პარტიის თბილისის ორგანიზაცია აჭარაში რუსეთის სამხედრო ბაზის კონტინგენტისა და ტექნიკის გადაადგილებას უარყოფს.



უახლოესმა გარემოცვამაც არ იცის, რა აქვს ჩაფიქრებული ასლან აბაშიძეს.

"გეგმიური გადაადგილების" შესახებ არაფერი იყო ცნობილი საგარეო უწყებისთვის. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა თემურ მიქელაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: **"არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. თანაც, ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის."** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსი ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ "24 საათს" ასეთი კომენტარი მისცა: **"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს ჩვენ საქმის კურსში არ ჩავუყენებივართ. საქართველოს უშიშროების საბჭოს მინისტრი ზურაბ ადეიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს სოსო გოგიტიძეს მკაცრ გაფრთხილებას და საყვედურს გამოუცხადებს".**

უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა აჭარაში ჯარის ნაწილების და მძიმე ტექნიკის გადაადგილების ფაქტი დაგვიდასტურა და განგვიმარტა, რომ მისი უწყება წინასწარ არავის გაუფრთხილებია. მერაბიშვილი ყოველივე ამას აბაშიძის მხრიდან ძალის დემონსტრირებად მიიჩნევს.

თბილისში მოქმედებს ე. წ. სავერიფიკაციო ცენტრი, რომლის ფუნქციაში, სხვა საკითხებთან ერთად, შედის კონტროლი ქვეყანაში არსებული ჯარის ნაწილების გადაადგილებაზე. სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, ცენტრი ინფორმაციას ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს გადასცემს. ბუნებრივია, აჭარაში მძიმე ტექნიკის "გეგმიური გადაადგილება" სავერიფიკაციო ცენტრისთვის აუცილებლად ცნობილი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ნოდარ დემეტრაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ მან ამ ფაქტის შესახებ პირველად ჩვენგან შეიტყო.

"24 საათი" გუშინ ღამით, აბაშიძესთან ოპოზიციაში მყოფ თამაზ დიასამიძეს დაუკავშირდა. მისი ინფორმაციით, საღამოს აჭარის ქუჩებში ჯარის ნაწილები და საბრძოლო ტექნიკა უკვე არ ჩანდა: **"მათი გადაადგილება დილით, ერთი საათის განმავლობაში შეინიშნებოდა. თანაც, ეს გადაადგილება მოხდა არა ცენტრალური მაგისტრალების გავლით, არამედ, როგორც რუსები იტყვიან, "ჩორნი ხოდებით".** დიასამიძის ინფორმაციით, ჯარის ნაწილები, არტილერია და ჯავშანტექნიკა ერთი საათის შემდეგ, ანუ თერთმეტი საათისთვის ყაზარმებში დააბრუნეს.

# "ცუდად დამონტაჟებული" ინტერვიუ თუ, მართლაც, ბოიკოტი?

ოპოზიციური გაერთიანება "ჩვენი აჭარის" ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ასლან აბაშიძემ რუსეთის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ "აღორძინება" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

"აღორძინების" ბოიკოტის თაობაზე თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ პარტია მარტის არჩევნებისთვის აქტიურად ემზადება: **"გახურებული წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს... ბუკლეტსაც კი ვბეჭდავთ. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, კაცი ფულს ტყუილად რატომ დახარჯავს?"**

რაც შეეხება რუსეთის ტელევიზიის მიერ გადაცემულ ინტერვიუს, ჭიპაშვილის განმარტებით, **"ეს იყო ცუდად დამონტაჟებული ინტერვიუ ან რაღაც გაუგებრობა."**

ბუნებრივია, ამდენი ალიაქოთის შემდეგ, ასლან აბაშიძეს შეეძლო კომენტარი გაეკეთებინა, თუმცა ჭიპაშვილი სულაც არ ფიქრობს ასე: **"იქნებ, მას არც კი მოუსმენია ეს ინტერვიუ. ადამიანი ყველაფერ სისულელეს ხომ ვერ მოუსმენს!"(?!)**

"ჩვენი აჭარის" ვარაუდით, აბაშიძემ, ადვილი შესაძლებელია, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვას. **"ამ შემთხვევაში, იგი მოსახლეობაზეც მოახდენს ზემოქმედებას, რასაც შედეგად არჩევნებიდან ავტონომიური რესპუბლიკის გამოთიშვა მოჰყვება... ვინც წინ აღუდგება საარჩევნო პროცესს, კანონით დაისჯება",** - ოპოზიცია აბაშიძის მიმართ წინასწარ იჩენს სიმკაცრეს და საბოლოო ჯამში, ოპტიმისტურ დასკვნას აკეთებს: **"აჭარაში არჩევნები მაინც შედგება. ამ არჩევნებით დაიწყება ასლან აბაშიძის რეჟიმის დასასრული."** ოპოზიცია საუბრობს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გასამართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რიგგარეშე არჩევნებზეც, რომელიც "ჩვენი აჭარის" წარმომადგენელთა განცხადებით, სავარაუდოდ, ზაფხულში შედგება.

*24 საათი*

# "სამართლიანი არჩევნების" მონიტორინგი

28 მარტს ხმათა პარალელური დათვლის პროცესს საზოგადოება "სამართლიანი არჩევნები" ჩაატარებს. საჭირო თანხები ამ ორგანიზაციას ეუთო-მ გამოუყო.

ამასთან, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" ატარებს 2004 წლის 28 მარტის პროპორციული სისტემით ჩასატარებელი ხელახალი საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგს.

**"სამწუხაროდ, წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნებამდე 24 დღით ადრე, ისევ არის სერიოზული პრობლემები, რაც ქმნის საფრთხეს არჩევნების ნორმალური ადმინისტრირებისთვის. ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზაციისას არსებულმა პრობლემებმა შექმნეს მისი დაზუსტებისა და კორექტირების აუცილებლობა, თუმცა ეს პროცედურა ყველა საარჩევნო ოლქში არ განხორციელებულა. ფაქტობრივად, სახეზეა ისევ დაუზუსტებელი სიები, რომლებზეც პასუხისმგებლობა (როგორც სიების ცენტრალიზებული კომპიუტერიზაციისას, ასევე საარჩევნო ოლქებში კორექტირებისას) საარჩევნო ადმინისტრაციებს ეკისრება",** – აცხადებენ საზოგადოების წევრები.

მათივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა სიები დადგენილ ვადებში არ გამოიკრას. ამით კი საკმაოდ არასახარბიელო ვითარება შეიქმნება სიების შემდგომი დაზუსტების პროცესისა და არარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის დაწყებისთვის.

რაიონული კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე ორაგნიზაცია ასკვნის, რომ "**არასამუშაო ვითარებაა შექმნილი საარჩევნო ოლქებშიც. რამდენიმე საარჩევნო ოლქში მოუგვარებელი რჩება დაფინანსების საკითხი, ხოლო ზოგიერთ ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება არც დასრულებულა".**

**"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისიო საზოგადოება" შეშფოთებულია იმით, რომ საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში არ შეიტანა ცვლილებები. სამწუხაროა, რომ არც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები იქნა გათვალისწინებული საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესისა და საარჩევნო ბარიერის შესახებ",** - ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*24 საათი*

# პატრიარქები ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში მიმდინარე დსთ ქვეყნების სულიერ ლიდერთა თავყრილობაზე დაგმეს რელიგიათაშორისი კონფლიქტები და ქსენოფობია. პოსტსაბჭოთა ქვეყნების რელიგიურ ლიდერთა შეხვედრა მოსკოვის წმინდა დანილოვსკის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქის ალექსი მეორის მეთაურობით ჩატარებულ რელიგიურ ფორუმზე გადაწყდა, რომ დსთ-ს ქვეყნების სულიერი ლიდერები, საერთაშორისო ტერორიზმის მზარდი საფრთხის პირობებში, უფრო აქტიურად ჩაერევიან ეთნოკონფლიქტების ლოკალიზების პროცესში; მათი მთავარი მისია იქნება რელიგიური შემწყნარებლობის ქადაგება, ეროვნული შუღლის აღმოფხვრა.

პატრიარქებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საპატიო საქმეში სულიერ მოძღვართა რელიგიური ბატალიონებიც კი შეიქმნება. მათი მისია ღვთიური სიტყვით მასების გაფრთხილებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძმათამკვლელი ომი და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი.

რელიგიურ ფორუმზე მყოფი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 4 მარტს დილით პრეჩისტენკაზე მდებარე რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის რეზიდენციას ეწვია. შეხვედრა დახურული იყო. საღამოს ილია მეორე მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში მივიდა, მოსკოვის ქართული მრევლი დალოცა და წირვა აღავლინა.

ამ დროს, ყველასათვის მოულოდნელად, ქართველების ეკლესიაში რუსეთის პატრიარქის საჩუქარი შემოასვენეს - ქეთევან დედოფლის ხატი, რომელშიც ჩასვენებულია ქეთევან დედოფლის სხეულის წმინდა ნაწილი. ხატწერის ავტორია მოსკოვის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ქეთევან ხაჟალია.

ქეთევან დედოფლის სხეულის წმინდა ნაწილებს, ქართული სამღვდელოება დიდხანს ეძებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ინახებოდა მოსკოვიდან 45 კმ-ით დაშორებულ, სერგეი პასადის, ძველი ზაგორსკის სერგი რადონეჟელის სახელობის წმინდა ლავრაში. თავად ე.დ. ციციანოვს, 1842 წელს ლავრისათვის შეუწირავს ქართული ხატები, კიდობანი, ჯვრები და სხვა ოქრომჭედლობა. მოგვიანებით ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ უფალ ციციანოვს ოქრომჭედლობისთვის ქეთევან დედოფლის სხეულის წმინდა ნაწილებიც "გადაუყოლებია".

ილია მეორემ დიდი მადლობა გადაუხადა რუსეთის საპატრიარქოს და ორი ქრისტიანი ერის ურთიერთობებში ასევე ნანატრი დათბობა ისურვა.

# ირინა სარიშვილის შემდეგ ედპ-ს ოფისში ახალი ნათელმხილველი გამოჩნდა

გიორგი ასანიშვილი

*ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში, ეტყობა, იმპერიული რუსეთის აჩრდილია დაბუდებული, რომელიც იქ მყოფ პოლიტიკოსებს დროდადრო მოსვენებას უკარგავს: როდესაც ედპ-ს ირინა სარიშვილი ხელმძღვანელობდა, იგი საზოგადოებას სისტემატურად აყენებდა საქმის კურსში იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანას რუსეთის სპეცსამსახურებისგან და მისთვის სულმიყიდული ქართველი პოლიტიკოსებისგან ემუქრებოდა. მართალია, სარიშვილისა და ედპ-ს გზები გაიყარა, მაგრამ რუსული კოშმარი, როგორც ჩანს, არ გამქრალა. მის შესახებ ახლა უკვე ეროვნულ-დემოკრატებთან ალიანსში მყოფი ტრადიციონალისტები ალაპარაკდნენ.*
*ედპ-ს ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოსკოვის ვერაგულ გეგმებსა და მის ქართველ "რეალიზატორებზე" გუბაზ სანიკიძე საუბრობდა.*

ირინა სარიშვილის მსგავსად, საპარლამენტო ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარეც ამხელს ე.წ "რუსულ გეგმას", რომელიც ჯერ საქართველოს დაშლასა და დაქუცმაცებას, შემდეგ კი მის ისეთ "აწყობას" ითვალისწინებს, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთის ფრთის ქვეშ აღმოჩნდეს.

სანიკიძის მტკიცებით, ვარდების რევოლუციის დროს ამ გეგმის ხორცშესხმას ხელი მხოლოდ იმან შეუშალა, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა ხალხის წინააღმდეგ იარაღი არ გამოიყენეს. **"ასე რომ არ მომხდარიყო, საქართველოში დაიწყებოდა ქაოსი, რაც ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანდა,"** - აცხადებს ტრადიციონალისტი პარლამენტარი. თუმცა, მის მტკიცებულებათა ჯაჭვში ერთი საკმაოდ სუსტი რგოლია: გაუგებარია, რუსულმა სპეცსამსახურებმა საკვანძო მომენტში როგორ ვერ აამუშავეს თავისი ადგილობრივი კადრები და ვერ მონახეს თუნდაც რამდენიმე პროვოკატორი, რომელიც შეიარაღებული შეტაკებების დაწყებას მისცემდა ბიძგს.



თემურ სახიჭაშვილის ფოტო

გუბაზ სანიკიძემ ირინა სარიშვილი "შეცვალა".

ასეა თუ ისე, გუბაზ სანიკიძე დღევანდელი ხელისუფლების პრორუსულობაზე დაბეჯითებით საუბრობს და მის მიერ "რუსული გეგმის" ხელშეწყობის კონკრეტულ "მაგალითებსაც" ასახელებს. გუშინდელი პრესკონფერენციის ინიციატორის აზრით, ამჟამად მიზანმიმართულად მიმდინარეობს უშიშროების ორგანოების გაწმენდა გამოცდილი მუშაკებისგან და ხდება ამ სტრუქტურების "მანქურთიზაცია".

**"ის, რაც უშიშროების სისტემაში ხდება, დაუშვებელია. საკადრო პოლიტიკის განხორციელების დროს ხელისუფლება მხოლოდ თავისი ვიწროპარტიული ინტერესებით ხელმძღვანელობს. უშიშროების სამსახურები კომპლექტდება გამოუცდელი, 20-25 წლის ხალხით, რომლებსაც სათანადო განათლება არ გააჩნიათ და არაპროფესიონალები არიან,"** - აღნიშნავს სანიკიძე, რომელიც იქვე იმასაც ამტკიცებს, რომ სამეგრელოს უშიშროების რეგიონული სამსახურის თანამშრომლები, თურმე, უკანონოდ არიან დაკავებულები.

აგენტურულ თემატიკას იდუმალების ხიბლი უნდა ახლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ყველაფერი ნათელი და გარკვეულია, ინტერესი ნელდება. ალბათ, ამიტომ, როდესაც დღევანდელი ხელისუფლების შორს მიმავალ ბოროტ ჩანაფიქრებს ხდის ფარდას, სანიკიძე ინტრიგისთვისაც ტოვებს ადგილს. პარლამენტარის თქმით, ახლო მომავალში კიდევ ერთი სკანდალური თემა წამოტივტივდება. მის დეტალებს სანიკიძე ჯერ არ ახმაურებს და მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ საქმე ერევანი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას შეეხება.

**"ამაში ძალიან სერიოზული ბომბია ჩადებული და ისიც საქართველოს დაშლისკენ არის მიმართული,"** - დასძენს ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე.

ისე, მთელ ამ "საფრთხომანიას" აშკარად დაჰკრავს საარჩევნო სუნი; მით უმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში აღნიშნულ მეთოდს საქართველოში თითქმის სისტემატურად მიმართავენ. გამორიცხული არ არის, მმართველი ძალის "პრორუსულობა" და მისი "ანტიქართული საქმიანობა" ტრადიციონალისტებმა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების საბაბადაც გამოიყენონ - ყოველ შემთხვევაში, ტრადიციონალისტების მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმას გუბაზ სანიკიძე არ გამორიცხავს.

**"არჩევნების ბოიკოტირება გადაწყვეტილი არა გვაქვს, თუმცა პირადად ჩემი აზრია, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ ხელისუფლებას ნიღაბს ჩამოვხსნიდით. ჩვენ ბოიკოტირების ინიციატორები არ ვიქნებით, მაგრამ ვიფიქრებთ, თუ რომელიმე სერიოზული პოლიტიკური ძალა ამ საკითხზე კონსულტაციებს შემოგვთავაზებს,"** - აცხადებს სანიკიძე.

თვალსაზრისი

# შფოთი წითელი და თეთრი ვარდების თაიგულში

პირველი გვერდიდან

ეს დაუნდობლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი ერთი და იგივე პოლიტიკური ნიშის დაკავებას ცდილობდნენ. მათ შორის რომ სერიოზული პოლიტიკური განსხვავება არ არსებობდა, რევოლუციის დღეებში ცხადი გახდა, როცა ისინი საერთო მტერს დაუპირისპირდნენ, მაგრამ რამდენად მყარი იქნება ერთიანობა მას შემდეგ, რაც ყველა მოწინააღმდეგე ბეჭებზე აღმოჩნდა დაცემული? ისინი ცალ-ცალკე იბრძოდნენ ძალაუფლებისთვის და არ აპირებდნენ ერთმანეთისთვის რაიმეს გაყოფას. რევოლუციის შემდეგ საზოგადოება მათგან დაჟინებით ითხოვდა ერთიანობას და ისინიც განუწყვეტლივ ახდენდნენ ამ ერთიანობის დეკლარირებას, თუმცა, ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია პოლიტიკურ სამზარეულოში, იცის, თუ როგორი ყურადღებით ითვლიდა ორივე მხარე, რამდენი "ნაციონალი" დაინიშნა თანამდებობაზე და რამდენი "დემოკრატი". ამ ნიადაგზე საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობები არსებობს რეგიონებშიც.

ეს დადასტურდა სიის შედგენის დროსაც. თავიდან არაერთგზის გაცხადდა, რომ კვოტები არ იქნებოდა, თუმცა, საბოლოოდ 60 პროცენტი "ნაციონალებს" ერგოთ, 40 პროცენტი - ბურჯანაძეს და "დემოკრატებს". თანაც ეს 40 პროცენტი ამ უკანასკნელთ თავისი შეხედულებისამებრ უნდა გაენაწილებინათ. ამან წარმოშვა პირველი კონფლიქტი, რომელიც საჯაროდ გაცხადდა, თუმცა, თავისთავად, იგი შეიძლება არც პირველი იყო და არც მესამე.

არჩევნების წინ "ნაციონალებს" ერთი სრულიად გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდათ - მიხეილ სააკაშვილი, "დემოკრატებს" - ბურჯანაძე და ჟვანია. რევოლუციის შემდეგ თანდათან დაივიწყეს ტერმინი "ჟვანიას გუნდი". ამით, როგორც ჩანს, ზურაბ ჟვანიაც და "დემოკრატებიც" ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი უარს ამბობდნენ ყოველგვარ "სეპარატიზმზე" და თავს ერთიანი გუნდის წევრებად მოიაზრებდნენ. თუმცა, არსებობს მთელი რიგი კითხვები, რომლებიც დღის წესრიგში დგას, განურჩევლად იმისა, დასვამს მათ ვინმე ხმამაღლა თუ - არა. ჯერ ამის წინაპირობა, მართალია, არ ჩანს, მაგრამ თეორიულად საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ყოფილი "დემოკრატები", თუ, ვთქვათ, ზურაბ ჟვანია დატოვებს პრემიერ-მინისტრობას, ან ნინო ბურჯანაძე ამა თუ იმ მიზეზით შეეცდება ერთიანი გუნდიდან დისტანცირებას? ხომ არ გაახსენდებათ ჟვანიას ყოფილი გუნდის წევრებს, რომ ისინი მაინც "დემოკრატები" არიან და ხომ არ გაიღვიძებს მათში ოპოზიციური სულისკვეთება? ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ "ნაციონალები" და "დემოკრატები", მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, გამორიცხულია, ამ საკითხზე არ ფიქრობდნენ!

ეს თითქმის დადასტურდა სიების შედგენის დროს. წინასწარი შეთანხმებით, მომავალი პარლამენტის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძე მოიაზრება. იგი ერთიანი გუნდის წევრია, ლიდერი, მაგრამ, ამავე დროს, "ბურჯანაძე-დემოკრატების" ორმოცპროცენტიანი ქვეგუნდის საპარლამენტო ლიდერიც ხდებოდა. თუ ხელისუფლებაში შიდა რყევები დაიწყება, ეს ორმოცი პროცენტი სერიოზულ ძალად შეიძლება იქცეს. სწორედ ამ დროს ბურჯანაძესა და "დემოკრატებს" შორის ადგილების რაოდენობაზე წარმოიშვა თითქმის აუხსნელი კონფლიქტი, გათიშულობა, რამაც ორმოცი პროცენტის ერთიანობა ეჭვის ქვეშ დააყენა ისევე, როგორც ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობა. შედეგი ამ კონფლიქტისა მაშინვე გამოიკვეთა - თუ ნინო ბურჯანაძე არა, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე აუცილებლად "ნაციონალებიდან" იქნება. მართალია, "ნაციონალებმა" 40 პროცენტი დაუთმეს ბურჯანაძეს და "დემოკრატებს", მაგრამ მათ შორის ჰარმონია და ბურჯანაძის თავმჯდომარეობა "ნაციონალებს" პოლიტიკურ პერსპექტივაში ნაკლებად მისცემდა დამშვიდების საშუალებას. გამომდინარე პოლიტიკური პერსპექტივიდანვე, ბურჯანაძეს და "დემოკრატებს" ხელს არ უნდა აძლევდეთ ერთმანეთში კონფლიქტი, ვინაიდან, მხოლოდ ერთად თუ შეძლებენ "ნაციონალების" დაბალანსებას. ნინო ბურჯანაძისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ორმოცი პროცენტის ერთიანობა, ვიდრე დავა იმაზე, უშუალოდ თვითონ რამდენი ადამიანით მეტს ჩაწერდა სიაში. კონფლიქტი ხელსაყრელი არ იყო არც "დემოკრატებისთვის", თუ, რასაკვირველია, მათ კიდევ ერთხელ არ მოახდინეს "ნაციონალების" წინაშე იმის დეკლარირება, რომ პერსპექტივაშიც კი არ აპირებენ დამოუკიდებელი "თამაშის" დაწყებას.

არ შეიძლება "დემოკრატები" კომფორტულად გრძნობდნენ თავს იმ ფონზე, როდესაც პროკურატურა ამა თუ იმ კონტექსტში ატრიალებს მიხეილ მაჭავარიანის და შალვა ოგბაიძის გვარებს. არც ის იქნება მოულოდნელი, თუ ამ ორს სხვა "დემოკრატებიც" შეემატებიან. მართალია, "დემოკრატები" დუმან და კომენტარს არ აკეთებენ, მაგრამ როცა ტელევიზიით ამ გვარებს ისმენენ, გულის სიღრმეში, ალბათ, აგონდებათ, რომ ისინი მაინც "დემოკრატები" არიან, ხოლო გენერალური პროკურორი - "ნაციონალი". არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ყველაფერს აღიქვამდნენ გაფრთხილებად - "ჭკუით უნდა იყვნენ, თორემ"! ამგვარი რამ რამდენიმე თვის წინ რომ მომხდარიყო, "დემოკრატები", ეჭვგარეშეა, ამას პოლიტიკურ დევნად გამოაცხადებდნენ. დღეს დუმან! ნაკლებად სავარაუდოა, ეს დუმილი მხოლოდ იმის ნიშანი იყოს, რომ მათ პროკურატურისადმი რწმენა დაუბრუნდათ. შეიძლება სიმართლესთან არც ისე შორს იყოს ვარაუდი, რომ "ნაციონალები" ძალიან ფრთხილად უდგებიან თავიანთ "უმცროს ძმებთან" ურთიერთობას და ცდილობენ, ბოლომდე გაკონტროლებული ჰყავდეთ ისინი. მათ არ შეიძლება, ასე ადვილად დავიწყებოდათ, როგორი პრეტენზიები ჰქონდათ არჩევნების წინ ამჟამად უმცროსებს "უფროს ძმობაზე" და ვითარების შეცვლის შემთხვევაში, არც მომავალში იტყვიან ამაზე უარს. სიასთან დაკავშირებული კონფლიქტის, ან მაჭავარიანით და ოგბაიძით პროკურატურის დაინტერესების საფუძველი, გარკვეულწილად, "ნაციონალების" სიფრთხილე და უნდობლობაც შეიძლება იყოს. ამითვე შეიძლება იხსნებოდეს "დემოკრატების" ხაზგასმული დუმილი და პასიურობა. რჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ორი წლის განმავლობაში აზანზარებდა და ყირაზე აყენებდა პარლამენტს, დღეს ცდილობს, ვიღაცას დაუმტკიცოს, ძალიან დამჯერები და ჭკვიანები ვიქნებითო. ასევე ძლიერია შთაბეჭდილება, რომ "ნაციონალებს" "დემოკრატების" ჭკვიანობისა კი სჯერათ, მაგრამ მათი "დამჯერობისა" - მაინცადამაინც არა და წინასწარ იღებენ გარკვეულ ზომებს.

ყველაფერი ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ვარაუდია, მაგრამ, ალბათ, არცთუ უსაფუძვლო. "ნაციონალები" და "დემოკრატები" ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს როგორც პიროვნულად, ისე პოლიტიკურად. ასეთი ახლო ნაცნობობა დიდი ნდობის საფუძველიც შეიძლება იყოს და დიდი უნდობლობისაც.

# დღეს მთავრობის სხდომაზე საგადასახადო ამნისტიის "დეტალები" გახმოვანდება

პირველი გვერდიდან

"საგადასახადო ამნისტიის" თემა ბოლო დღეებში განსაკუთრებულად აქტუალურია საქართველოში, სადაც ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობის ახალი წესებია დასამკვიდრებელი და ბიზნესმენთა ნაწილის სახალხო დაპატიმრებამ უკვე მოამზადა სათანადო საფუძველი იმისათვის, რომ ბიზნესმა ხელისუფლებისგან შეთავაზებული მკაცრი წესები მიიღოს; თუმცა დღემდე საკმაოდ ბუნდოვანი იყო ის მექანიზმი, რომლითაც ბიზნესმენები წლების მანძილზე დამალულ და დღეს საკუთარი ნებით დეკლარირებულ გადასახადებს დაფარავენ.

"24 საათი" ორიოდე დღის წინ უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ ახალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისეული ამნისტია სულაც არ გულისხმობს გადაუხდელი გადასახადების პატიებას. იგი ითვალისიწინებს დამალული გადასახადების გადახდის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი წინასწარი ვარიანტი იმაში მდგომარეობს, რომ ბიზნესმენებმა ბოლო 6 წლის მანძილზე გადაუხდელი გადასახადების დეკლარირება მოახდინონ და ვისი გადასახდელი თანხაც 1 მილიონ ლარზე ნაკლებს შეადგენს, ის გათავისუფლდეს ამ დავალიანების გადახდისაგან; ხოლო ვისი დავალიანებაც 1 მილიონ ლარზე მეტია, მას თანხის ეტაპობრივად გადახდის საშუალება მიეცეს. ამ ვარიანტის თანახმად, ბიზნესმენს საშუალება უნდა ჰქონდეს, საკუთარი დავალიანების რესტრუქტურიზება მოახდინოს: ერთბაშად გადაიხადოს დაგროვილი დავალიანების 10 პროცენტი, შემდეგ კი მასზე გავრცელდეს დავალიანებების რესტრუქტურიზების შესახებ კანონი. კანონის თანახმად, ვალდებულებები 5 წლით იყინება და 5 წლის შემდეგ გაყინული ვალდებულების გადახდა ეტაპობრივად იწყება.

თუმცა ამ ვარიანტთან მიმართებაშიც გაძნელდა მთავრობაში საერთო პოზიციის გამონახვა - საქმე იმაშია, რომ გადაუხდელი ერთი მილიონი თუ საურავების გათვალისწინებით იქნა დათვლილი, ეს ნიშნავს, რომ ექვსი წლის წინ გადაუხდელი 300 000 ლარი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ბიზნესმენებს დღეისთვის მილიონიანი დავალიანება ჰქონდეთ დაგროვილი. ამიტომ მთავრობაში იყო მოსაზრება, რომ საურავებით დაგროვილი თანხა შემოთავაზებულ ერთ მილიონიან ზღვარში არ ყოფილიყო გათვალისიწინებული. არის ბევრი სხვა ტექნიკური პრობლემაც, რომელთა განხილვაც ცალკე საუბრის საგანია. ამ პრობლემებს ქმნის ისიც, რომ ბიზნესმენების მიერ საკუთარი ნებით დეკლარირებული, დამალული გადასახადების "გათეთრების" პროცესში ისინი რეალურად გამოაჩენენ სხვა ფირმებს, რომელთაგანაც პროდუქციას ყიდულობდნენ, ან სხვა სახის ბიზნესურთიერთობა ჰქონდათ და რომლებზეც "გასვლა" უკვე დეკლარაციების "გადამოწმების" პროცესში - საგადასახადო სამსახურების მუშაობისას უნდა მოხდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში ე.წ. "შემხვედრი" საგადასახადო შემოწმებების "კორიანტელი" შეიძლება დადგეს და ა.შ.



გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში "საგადასახადო ამინისტიის" მექანიზმზე მსჯელობდნენ.

ამასთან, როგორც აღვნიშნეთ - გაცილებით მკაცრია თავისუფლების ინსტიტუტისეული ვარიანტი, რომლის თანახმადაც, დამალული და დღეს დეკლარირებული გადასახადები ყველამ უნდა გადაიხადოს - განურჩევლად დავალიანების ოდენობისა. ამასთან, მათი კანონპროექტის მიხედვით, დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა - 6 წელი უნდა გაუქმდეს და ვალის რესტრუქტურიზება მოხდეს ასეთი პრინციპით: ერთი წლის ფირმამ ერთი წლის განმავლობაში დაფაროს დავალიანება, ორი წლის ფირმამ - ორი წლის განმავლობაში და ა.შ. გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში ეს კანონპროექტი ფინანსთა სამინისტროს გააცნეს.

სავარაუდოდ, საბოლოო გადაწყვეტილებას "საგადასახადო ამნისტიასთან" დაკავშირებული ყველა არსებული კანონპროექტის შეჯერების შედეგად მიიღებენ. მთავრობაში ამ მიზნით სპეციალური კომისიის ჩამოყალიბებას აპირებენ. მანამდე კი (სავარაუდოდ - შაბათს) პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბიზნესმენებს შეხვდება და მათ მთავრობისეულ ხედვას გააცნობს.

# ვისწავლოთ ბიზნესის ხელშეწყობა

## ინვესტორები უნდობლობით ეკიდებიან კაპიტალის დაბანდებას ქვეყანაში, სადაც აქციონერთა უფლებები სათანადოდ არ არის დაცული

*საქართველოს ხელისუფლებაში დიდი ხანია საუბრობენ ბიზნესის ხელშეწყობაზე. ქართული კომპანიები კი თავიანთი საქმიანობის მართვისა და ბიზნესის განვითარების გზაზე მრავალ პრობლემას აწყდებიან. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესკომპანიები წარმართავენ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და ამით ხელს უწყობენ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობას. საქართველოში პირიქით მოხდა და ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საბაზრო ეკონომიკის ნიშნებს. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კორპორაციული მართვის (სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიების მართვა და კონტროლი ხორციელდება და მსოფლიოს მრავალი ცნობილი კომპანიის წარმატების საფუძველს წარმოადგენს, უზრუნველყოფს კერძო სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებას) შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა.*

ნინო ნარჩემაშვილი

კორპორაციული მართვა საქართველოში საკმაოდ ახალი მოვლენაა - ჯერჯერობით, გაუგებარი და შეუთვისებელიც. ამდენად, წარმატებული ბიზნესის წარმოებისაკენ მიმართული ქართული კომპანიების დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ წამოწყებულმა პროექტმა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის ხორციელდება და საქართველოში ასეთი მიმართულების პირველ პროექტს წარმოადგენს.

პროექტის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ კორპორაციული მართვის დანერგვა გახლავთ, რაც, მისი მენეჯერის ფრენკ ლივერის განცხადებით, საქართველოში მოქმედი სააქციო საზოგადოებებისათვის აქტუალურია, **რადგან "ეფექტური კორპორაციული მართვა ხვეწს საინვესტიციო კლიმატს, მოიზიდავს ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალს, ქმნის ეკონომიკური ზრდის საფუძველს".**

IFC-ს მიერ ჩატარებულ პირველ ტრეინინგს 17 ქართული კომპანიის ("ქსნის მინის ტარა", "თბილღვინო", "თიბისი ლიზინგი", "სახალხო ბანკი", "ქართუ უნივერსალი" და სხვა) ხელმძღვანელი დაესწრო. კორპორაციაში აღნიშნავენ, რომ სააქციო საზოგადოებების დიდი დაინტერესების გამო მსგავსი შეხვედრები ინტენსიურ ხასიათს მიიღებს. სპექტრი კი ძალზე შთამბეჭდავია - დღეისათვის საქართველოში ოფიციალურად 1 800 სააქციო საზოგადოებაა რეგისტრირებული.

**"ქართუ უნივერსალის" დირექტორის დავით კილურაძის თქმით, "აუცილებელია დაიწყოს კორპორაციული მართვის შესახებ ინფორმირების ფართო კომპანია, რათა ინვესტორებისათვის ხელსაყრელი ფონი შეიქმნას. მისი აზრით, მსგავს შეხვედრებზე უმოქმედოდ დარჩენილი, გაჩერებული კომპანიების ხელმძღვანელებიც უნდა იყვნენ მიწვეულნი და გაიგონ, რა არის საჭირო წარმოების ფეხზე დასაყენებლად".**

საქართველოს ბიზნესკონფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის საბა სარიშვილის განცხადებით, **"დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა საწარმოს ზრდასა და განვითარებას ნიშნავს. ეს კი ის ამოცანაა, რომლისკენაც ბიზნესი მუდმივად მიისწრაფვის. ვისაც ეს არ ესმის, ის ხვალ აღარ იარსებებს. მისი შეფასებით, კორპორაციული მართვის სწორი სისტემის დანერგვა ხალხს საშუალებას აძლევს, დააბანდოს ფული და მიიღოს შემოსავალი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. მთავარია, კომპანიების ხელმძღვანელობამ გაიგოს კორპორაციული მართვის აუცილებლობა."**

აღსანიშნავია, რომ ქართული სააქციო საზოგადოებების "გასაჭირი" ის გახლავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში აქციათა მფლობელები კომპანიის დირექტორები ან თანამშრომლები არიან და ცდილობენ, არ გაასხვისონ აქციები, ან ეწინააღმდეგებიან გარეშე ინვესტიციების მოზიდვას, რაც საწარმოს პროგრესირების საშუალებას არ აძლევს. ხშირად ისეც ხდება, რომ კომპანია ინფორმაციის გამჭვირვალობაში არ არის დაინტერესებული, ან ვერ ხედავს ამის მიზეზს ჩამოუყალიბებელი კაპიტალის ბაზრის გამო. კორპორაციული მართვის ცოდნა სწორედ მსგავს პრობლემებს გადაჭრის.

რაც შეეხება მისი დანერგვის ეფექტს, როგორც IFC-ში განმარტავენ, შედეგი იქნება კომპანიების მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, მოგების ზრდა, რაც, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, კაპიტალის გაიაფებასა და საწარმოებისათვის საჭირო სახსრების უფრო იოლად მოპოვებას გამოიწვევს. IFC-ში მიიჩნევენ, რომ საქართველოში მოქმედი სააქციო საზოგადოებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ფინანსური რესურსების უქონლობაა. ინვესტორები უნდობლობით ეკიდებიან კაპიტალის დაბანდებას ქვეყანაში, სადაც აქციონერთა უფლებები სათანადოდ არ არის დაცული, ხოლო ინვესტორთა ნდობის მისაპოვებლად შესაბამისი კონკურენტუნარიანი იურიდიული მექანიზმების შექმნაა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 43 ქვეყანაში უკვე მოქმედებს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც სააქციო საზოგადოების შიდა ნორმებს არეგულირებს. ბიზნესის განვითარების პროექტი, ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიასა და საფონდო ბირჟასთან ერთად, საქართველოსათვის მსგავსი კოდექსის შექმნაზე მუშაობს. გარკვეული ცვლილებების შეტანა იგეგმება სამეწარმეო კანონშიც, რაც, მათი აზრით, არსებულ ვაკუუმს შეავსებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის უფლებების შეკვეცის ინიციატივით გამოდის. საზოგადოების ინიციატივითა და ენერგეტიკის სამეცნიერო გაერთიანების ხელშეწყობით საქართველოს ენერგეტიკის მართვის ახალი სისტემა შეიქმნა, რომლის პრეზენტაციაც 9 მარტისთვის არის დაგეგმილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ს/ს "თბილგაზის" აქციონერები ხვალ კომპანიის ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების პროგრამას განიხილავენ. როგორც "ინტერ-პრესს" "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გია ქაჯაიამ განუცხადა, პროგრამის დეტალები აქციონერთა კრების შემდეგ გახდება ცნობილი. პროგრამის გარდა, აქციონერთა კრებაზე კომპანიის გასული წლის სამეურნეო საქმიანობის ანგარიშს და "ახალი მენეჯმენტის" მუშაობის შედეგებს განიხილავენ. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ღიად ჩატარდება კრება თუ დახურული იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით დაფინანსებული "საქართველოს საავტომობილო გზების პროექტის" ფარგლებში წელს 10 მილიონი დოლარი დაიხარჯება. საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის ღირებულება 40 მილიონ დოლარს შეადგენს, 2000 წლის 26 ივლისს გაფორმდა და მისი განხორციელება მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით შერვაშიძე კასპის რაიონს ეწვია, სადაც გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) ახალი პროექტი მიმდინარეობს. მინისტრი ამ პროექტის პირველ შედეგებს გაეცნო. მინისტრმა ფერმერებს განუცხადა, რომ მათ მიერ ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილია ფაო-ს წარმომადგენლობაც და ეს პროექტი სხვა რაიონებზეც გავრცელდება. კაკლისა და თხილის სანერგე მეურნეობების განვითარების პროექტი წლეულს დაიწყო და 18 თვეს გაგრძელდება. მისი ბიუჯეტი 283 ათას დოლარს შეადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ფინანსური ამნისტია მეწარმეთა დიდ ნაწილს არარეალურად მიაჩნია. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ სს „მინას“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი მგელაძემ განუცხადა, "დამალული" გადასახადების აღიარება და მით უმეტეს, ბიუჯეტისადმი ძველი ვალების გასტუმრება იმიტომ არის ძნელად დასაჯერებელი, რომ ამ პროცესის სამართლებრივი ბაზა, ჯერჯერობით, არ არსებობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ელექტოენერგიის საბითუმო ბაზარში იმედი აქვთ, რომ მარტის მეორე ნახევარში ჰესებში წყლის დონე მოიმატებს, ამიტომ ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების ლიმიტები ჯერ მხოლოდ 15 მარტამდე დაამტკიცეს.

ბაზარმა ენერგობალანსის შედგენისას მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის მაჩვენებლები და ენერგოსისტემაში არსებული რესურსები გაითვალისწინა. ამის მიხედვით, თბილისი ენერგოსისტემიდან დღე-ღამეში 8.2 მლნ კილოვატ/საათ ელექტროენერგიას, პიკზე კი 484 მეგავატს მიიღებს, აჭარის ენერგოკომპანია - 1.5 მლნ კილოვატ/საათს, ხოლო კახეთის ენერგოდისტრიბუცია - 0.179 მლნ კილოვატსაათს. რაც შეეხება "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", მისთვის დღე-ღამეში 4.8 მლნ. კილოვატ/საათი, პიკზე კი 230 მეგავატია გათვალისწინებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი გურამ შარაძე ეჭვს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო დღეებში საქართველოში ლარის კურსის გამყარება და დოლარის გაუფასურება სოროსის მორიგი თაღლითობის შედეგია და მის მორიგ, ამჟამად ფინანსურ ავანტიურას უკავშირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური წლეულს მავნებლებთან ბრძოლის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 800 ლარის გამოყოფას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე აცხადებს, რომ ქვეყანაში ფინანსური ამნისტია მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე არ უნდა განხორციელდეს და ამისათვის პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონია საჭირო. "მთელი რიგი საკითხები პრეზიდენტის ინიციატივაში ფინანსური ამნისტიის შესახებ გაუგებარია. იმისათვის, რომ ფინანსური ამნისტიის პროცესი სწორად და სრულყოფილად განხორციელდეს, კანონის მიღებაა საჭირო," - აღნიშნა საგანელიძემ გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე. **ინტერ-პრესი**

# ხმაური ხმაურის სანაცვლოდ

## უსაფუძვლოდ დაკავებული მებაჟეები სამართალდამცველებს იქით ედავებიან

*მებაჟეები გია მდივნიშვილი და კახა თხელიძე 29 თებერვალს დილით დააკავეს. ოპერაცია, რომელიც ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციამ დაგეგმა და ჩაატარა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართოდ გაშუქდა. ის, ქვემო ქართლის ოლქის პროკურორის სანქციით, ქვემო ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურმა ჩაატარა. ოპერაციაში ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული სოსო მაზმიშვილი პირადად მონაწილეობდა. მაგრამ, რეზონანსულ საქმეს სხვაგვარი გაგრძელება მოჰყვა. სამართალდამცველებმა 48 საათში მებაჟეებისთვის ბრალის წაყენება ვერ შეძლეს და დაკავებულები ამ ვადის ამოწურვისთანავე გაათავისუფლეს. ახლა საკუთარი უფლებების დარღვევისთვის ყოფილი ეჭვმიტანილები სამართალდამცველებთან შედავებას თავად აპირებენ.*

მაია ურუშაძე

მებაჟეების დაკავების ოპერაციის დასრულებისთანავე, მაღალჩინოსანი პოლიციელები აცხადებდნენ, რომ მებაჟეები მათ სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, "სამსახურებრივი გულგრილობისათვის" დააკავეს. ეს კი ნიშნავს, რომ სავარაუდოდ, ეჭვმიტანილებმა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე კონტრაბანდული საქონლით დატვირთული ავტოტრანსპორტი განუბაჟებლად გაატარეს.

**"სამსახურში ვიყავი. უცებ აჟიოტაჟი ატყდა. ტერმინალში ხალხი შემოცვივდა. სახელი და გვარი მკითხეს. როცა გაიგეს, რომ გია მდივნიშვილი ვიყავი, ხელები ამომიტრიალეს და დამაკავეს. სრული დაბნეულობა იყო. არავის უთქვამს, რატომ ამიყვანეს, რას მერჩოდნენ. გაურკვევლობაში ვიყავი. ვიღაცის კაბინეტში შემიყვანეს, ალბათ, დასაკითხად, მაგრამ არავის დავუკითხივარ. ამ კაბინეტში ტელევიზიით ვნახე, რაც სულ ცოტა ხნის წინ თავს გადამხდა და აქედან გავიგე, რასაც მედავებოდნენ,"** – ჰყვებოდა გია მდივნიშვილი "24 საათთან" საუბრისას.

სამართალდამცველთა მტკიცებით, მდივნიშვილი-თხელიძის წინააღმდეგ საქმის აღძვრა "ოპერატიული შეტყობინების საფუძველზე" მოხდა. **"წინასწარ ვიცოდით, რომ კონტრაბანდული ტვირთი შემოვიდოდა. მართლაც, გავაჩერეთ "იკარუსი" ქართული ნომრით EEN-535** (რომელმაც, სხვათა შორის, საზღვარი რვა დღის წინ გადმოკვეთა)**, შიგნით კი 7 ათას 996 ლარის საქონელი დაგვხვდა,"** – აცხადებს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის მე-6 განყოფილების უფროსი ლევან ტრაპაიძე.

სამართალდამცველთა მტკიცებით, როცა ავტობუსმა საბაჟო კონტროლი გაიარა, ის უკვე დატვირთული იყო, მებაჟეებმა კი მხოლოდ ტვირთის ნაწილი განაბაჟეს. **"ჩვენ მათი ბრალეულობა დავამტკიცეთ. მებაჟეებმა მხოლოდ 300 ლარამდე ღირებულების საქონელი გააფორმეს და მძღოლს 106 ლარი გადაახდევინეს,"** – აცხადებს ქვემო ქართლის საოლქო პროკურორი მამუკა ცაავა (სხვათა შორის, მებაჟეების დაკავება სწორედ მისი განკარგულებით მოხდა. ოღონდ, როგორც მდივნიშვილის ადვოკატი, ეჭვმიტანილის მამა ოთარ მდივნიშვილი აცხადებს, სამართალდამცველებს ამ დროისათვის დაკავების ოქმი ჯერ შედგენილიც არ ჰქონდათ).

**"საზღვარზე გადმოსვლისას ავტობუსში ეს ტვირთი არ ყოფილა. თავად მძღოლი აცხადებს, რომ მან ეს საქონელი ავტობუსში მხოლოდ საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, უკვე საქართველოს ტერიტორიაზე ჩატვირთა,"** – აცხადებენ ეჭვმიტანილები. ამასობაში "იკარუსის" მძღოლმა აზერბაიჯანელმა ელხან ელმანოღლი ემინოვმა, რომელიც თავიდან მებაჟეთა მიერ მანქანის ტვირთიანად გატარების ფაქტს ადასტურებდა, მოულოდნელად ჩვენება შეცვალა და ადვოკატების თანდასწრებით ოფიციალურად განაცხადა, რომ მას წინა ჩვენება პოლიციამ **"ზეწოლის ქვეშ, შანტაჟით დააწერინა".**

**"ჩვენ მოწმეები დავკითხეთ და გაირკვა, რომ სიმართლე ემინოვის პირველი ჩვენება იყო. მძღოლი იმასაც იძახდა, მებაჟეებს ასორმოცდაათი დოლარი მივეციო და მერე ესეც გადათქვა. ჩვენ გამოძიებით, მოწმეთა ჩვენებებით ვასაბუთებთ, რომ ტვირთი მას მართლაც მანქანაში ედო,"** – ამტკიცებს ტრაპაიძე. ცაავას განმარტებით, სამართალდამცველებს ემინოვმა საზღვრის მახლობლად მდებარე სოფელში მცხოვრებ პიროვნებაზე მიუთითა, რომელმაც ტვირთი "იკარუსში" მხოლოდ საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ ჩადო. **"არადა, ჩვენ ეს კაციც დავკითხეთ, მან ეს ფაქტი უარყო და თქვა, ეს ტვირთი ემინოვს ბაქოდან მოჰქონდაო,"** – აცხადებს ცაავა. თუმცა, იქვე დასძენს, რომ თუ ეს პიროვნება თავის მიერ "იკარუსში" ტვირთის ჩადების ფაქტს აღიარებდა, მას ამ ტვირთის წარმომავლობის დასაბუთება, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისგება ელოდა.

საბოლოოდ, სამართალდამცველებმა მებაჟეებს ბრალი ვერ წაუყენეს და დაკავებულები ამ ვადის ამოწურვისთანავე გაათავისუფლეს. **"დაკავებულებს ბრალი ვერ წაუყენეს. ბრალდების დაკითხვის ოქმზე უნდა იყოს ბრალდებულის და ადვოკატების ხელმოწერა. ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. ამასთან, თუ ბრალი წაყენებულია, მაშინ დაკავებულები კი არ უნდა გაეშვათ, იქვე უნდა დაეკითხათ. ეჭვმიტანილთა გაშვების უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს აქვს. სამართალდამცველებს კი ამ შუამდგომლობით სასამართლოსთვის არ მიუმართავთ, ეს ნიშნავს, რომ მათი პატიმრობა სრულიად უკანონო იყო,"** – აცხადებს ადვოკატი ომარ მდივნიშვილი.

თუმცა, სამართალდამცველები იმედს არ კარგავენ. **"ჩვენ სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნას ველოდებით, დარჩენილ მოწმეებსაც დავკითხავთ და მომავალ კვირაში ამ საქმეს სასამართლოში გავუშვებთ,"** – აცხადებს ცაავა.

სხვათა შორის, ამ საქმეს საბაჟო "წითელი ხიდის" ხელმძღვანელის კარიერაც შეეწირა – ის დაკავებული თანამდებობიდან სამშაბათს გაათავისუფლეს.

ნიშანდობლივია, რომ პოლიციელთა აქტიურობა და "განუბაჟებელი ტვირთის დაკავება" ფინანსთა მინისტრის განკარგულებას მოჰყვა: ზურაბ ნოღაიდელმა ამ დღეს საბაჟოს თანამშრომლების შესარჩევად გამოცხადებული კონკურსისთვის დამატებითი მოთხოვნები დაამტკიცა და ატესტაციის წესები გაამკაცრა. ამასთან, უკვე ცნობილი იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებების ახალი ტალღა იგეგმებოდა. ცნობილი იყო ისიც, რომ შს რეორგანიზაციის შემდეგ, ე.წ. მე-6 სამმართველო, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულს ებრძვის, საერთოდ გაუქმდებოდა. ფინანსური პოლიცია კი, რომელიც ამ მიზნით, სულ რაღაც, ერთ კვირაში უნდა შეიქმნას, საეჭვოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მეექვსე განყოფილების ძველი კადრებით დაკომპლექტდეს. შესაბამისად, ადგილობრივი ადმინისტრაციები საბაჟოზე კონტროლის ყოველგვარ ბერკეტებს კარგავენ – სამართალდამცველთა ფრთას, რომელსაც დღეს კონტრაბანდასთან ბრძოლაზე აქვს პრეტენზია, ნიშა ეცლება. ამდენად, ეჭვმიტანილი მებაჟეების ვარაუდით, არაა გამორიცხული, ამ საქმეს სწორედ ეს სარჩული ედოს. სხვანაირად ძნელი ასახსნელია, რაში დასჭირდა ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციას "მებაჟეების საქმის" უსაფუძვლო აჟიტირება, თანაც, "ცარიელი ხელებით". ახლა ხომ მებაჟეები, რომელთა დაკავებასაც პოლიცია ვერ ასაბუთებს, გაჩუმებას აშკარად არ აპირებენ და დღეს საგანგებო პრესკონფერენციის მოწვევას გეგმავენ.

# ტერორიზმში ბრალდებულის საქმეს თავიდან განიხილავენ

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მომზადებაში ეჭვმიტანილი მუნირ ალ-მოთასადეყის საქმე ჰამბურგის სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს. 29 წლის, წარმოშობით მაროკოელი მოთასადეყი ჰამბურგში ცხოვრობდა და, გამოძიების მიხედვით, ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდას" ჰამბურგის ჯგუფის აქტიური წევრი იყო. იგი ჰამბურგის სამართალდამცველებმა 2001 წლის ნოემბერში, ტერაქტიდან ორი თვის თავზე დააკავეს. 2003 წლის 19 თებერვალს ჰამბურგის სამხარეო სასამართლომ მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთასადეყი ერთ-ერთი კამიკაძე-პილოტის, მოჰამედ ატას გუნდში შედიოდა და ჰამბურგის დაჯგუფების ერთგვარი ფინანსური მენეჯერიც იყო. თუმცა, იგი ბრალდებას უარყოფს, ხოლო ადვოკატები გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დარღვევით წარმართვაზე საუბრობენ. მოთასადეყი მხოლოდ იმას აღიარებს, რომ მან ავღანეთში ტერორისტთა მოსამზადებელი ბანაკი რამდენჯერმე მოინახულა. მისი თქმით, იგი 1990-იანი წლების დასაწყისიდან იცნობდა ტერორისტებს და რამდენიმე მათგანის საბანკო ანგარიშებსაც განაგებდა.


მუნირ ალ-მოთასადეყი ბრალდებას უარყოფს.

ამგვარი აღიარების საფუძველზე საბოლოო დასკვნის გაკეთება სასამართლოს გაუჭირდა. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ მოთასადეყის საქმის ხელახალი სასამართლო განხილვა საქმეში ახალი დეტალების გაჩენის გამო გადაწყვიტა. თებერვალში სასამართლომ კიდევ ერთი ბრალდებული, ასევე მაროკოელი აბდელღანი მზუდი პატიმრობიდან გაათავისუფლა. მაშინ საქმეში გაჩნდა ანონიმური ჩვენება, რომელიც, სავარაუდოდ, ატას თანამებრძოლს, რამზი ბინალსიბს ეკუთვნის. ჩვენებაში ბინალსიბი მიუთითებს, რომ ტერაქტის მზადების შესახებ მხოლოდ მან და ტერაქტის უშუალო მონაწილეებმა იცოდნენ. ბინალსიბი ამჟამად აშშ-ში, პატიმრობაში იმყოფება. საინტერესოა, რომ მოსამართლეემ თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ მზუდის არა უდანაშაულობის, არამედ დანაშაულის მტკიცებულებათა საკმარისი რაოდენობის არარსებობის გამო ათავისუფლებდნენ.

მზუდი და მოთასადეყი ტერორიზმის ბრალდებას უარყოფენ. მოთასადეყის ადვოკატები იმედოვნებენ, რომ ხელახალ სასამართლო პროცესამდე წინასწარი პატიმრობიდან მის გათავისუფლებას შეძლებენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა გერმანიის სამართალდამცავი სტრუქტურები. აშშ-ს წარმომადგენლობას ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა მათი რეაქცია მზუდის გათავისულფებისას აშკარად უარყოფითი იყო.

# ედვარდსმა ასპარეზი ჯონ კერის გადაულოცა

ამერიკელი დემოკრატი სენატორის ჯონ ედვარდსის განცხადებით, ის საარჩევნო მარათონს ტოვებს და პრეზიდენტის კანდიდატობისათვის ბრძოლას თავს ანებებს. ამასთანავე, მან თავის მომხრეებს ჯონ კერის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. **"მას ყველა აუცილებელი თვისება გააჩნია ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის არჩევნებში დასამარცხებლად,"** - განაცხადა ედვარდსმა და თანაპარტიელ ტრიუმფატორს, ჯონ კერის ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა.

გუშინვე დამკვირვებლები ისევ ალაპარაკდნენ იმის თაობაზე, რომ ჯონ კერიმ თავისი საარჩევნო კამპანიის დროს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, შესაძლოა, ჯონ ედვარდსის კანდიდატურა წამოაყენოს. **"თუკი მე დემოკრატიული პარტია ნდობას გამომიცხადებს, შევეცდები ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად საუკეთესო ადამიანი დავასახელო. მე ულრმესი პატივისცემით ვარ ჯონ ედვარდსის მიმართ გამსჭვალული. მან წინასაარჩევნო კამპანია შესანიშნავად წარმართა,"** - განაცხადა ჯონ კერიმ.

როგორც ცნობილია, ჯონ კერიმ "სუპერ სამშაბათის" პრაიმერიზი ბრწყინვალედ ჩაატარა და ათი შტატიდან ცხრაში დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა. ედვარდსმა მხოლოდ ვერმონტის შტატში შეძლო ამომრჩეველთა გულების დაპყრობა. მაგრამ ეს, რასაკვირველია, საკმარისი არ აღმოჩნდა. დემოკრატიული პარტია ოქტომბერში გამართულ კონგრესზე ჯორჯ ბუშს სწორედ ჯონ კერის კანდიდატურას დაუპირისპირებს.

თუმცა, მეტოქეები ამ ფორმალობისათვის შემოდგომამდე მოცდას არ აპირებენ. მათი შერკინება უკვე გუშინ დაიწყო. ჯორჯ ბუში საარჩევნო კამპანიაში ჩაება. აშშ-ს ტელეარხებმა უკვე გაუშვეს პრეზიდენტის საარჩევნო რგოლები, რომელთა მომზადებაშიც რესპუბლიკელებმა რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯეს.

უკვე აქედანვეა ცნობილი, თუ რაზე ააგებს თავის წინასაარჩევნო ტაქტიკას ჯორჯ ბუში. მისი იმიჯმეიკერები ბუშისგან ტერორიზმის და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის შექმნას შეეცდებიან. სულ, ბუშის საარჩევნო კამპანიაზე, დაახლოებით, 100 მილიონი ამერიკული დოლარი დაიხარჯება.

# სერგეი ივანოვი ყატარს ემუქრება?

რუსეთსა და ყატარს შორის დიპლომატიური ურთიერთობები თანდათან იძაბება. მოსკოვი უკვე მკაცრ განცხადებებს აკეთებს ოფიციალური დოჰას მისამართით. კერძოდ, თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსეთი მის ხელთ არსებულ ნებისმიერ საშუალებას გამოიყენებს, რათა ყატარში დაკავებული რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლები გაათავისუფლოს და სამშობლოში დააბრუნოს.

როგორც ცნობილია, საუბარი შეეხება ყატარის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაპატიმრებულ სამ მოქალაქეს, რომლებსაც ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში ედებათ ბრალი. ზელიმხან იანდარბიევი 13 თებერვალს დოჰაში საკუთარ ავტომანქანაში მომხდარი აფეთქების დროს დაიღუპა. რამდენიმე დღეში ყატარის პოლიციამ დოჰაში მყოფი რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლები დააკავა. მოსკოვმა დოჰას მათი დაუყოვნებლივ გადაცემა მოსთხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ყატარის ხელისუფლებამ სამი დაკავებულიდან მხოლოდ ერთი გაათავისუფლა და ის უკვე მშობლიურ სამსახურს დაუბრუნდა. დარჩენილ ორს კი, სერიოზული ბრალდება აქვთ წაყენებული. თუმცა, ისინი სპეცსამსახურის ოფიცრის მუნდირის შელახვას, ჯერჯერობით, არ აპირებენ და წაყენებულ ბრალდებას მტკიცედ უარყოფენ.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რუსეთის რომელი სპეცსამსახურის დავალებას ასრულებდნენ ყატარში, მაგრამ ტერაქტის მასშტაბითა და მეთოდიკიდან გამომდინარე, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ეს გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს, იგივე "გრუ"-ს ხელწერა იყოს.

ყატარის ხელისუფლების ქმედების საპასუხოდ, მოსკოვში რამდენიმე დღის წინ ყატარის ორი მოქალაქე დააპატიმრეს და მათ იარაღის უკანონოდ ტარებისათვის წაუყენეს ბრალი. მოსკოვის ჟესტი გასაგებია. კრემლი ყატარელების საკუთარ აგენტებში გაცვლას ითხოვს. თუმცა, ამაზე ყატარის ხელისუფლება კომენტარს არ აკეთებს. ყატარელებს მოსკოვი საერთაშორისო ტერორში ადანაშაულებს. მათ შესახებ კი მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ისინი ყატარის ოლიმპიური ნაკრების წევრები არიან.

ყატარის ხელისუფლებას ჯერ არ გაუკეთებია საპასუხო კომენტარი ივანოვის მუქარაზე. არ გამოირიცხება, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრის გუშინდელმა განცხადებამ ორ ქვეყანს შორის ურთიერთობები სერიოზულად დააზარალოს.

# დენქთაში მოლაპარაკებების შეწყვეტით იმუქრება

კვიპროსის გაერთიანებისკენ მიმართულ საერთაშორისო ძალისხმევას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. კვიპროსელი თურქების ლიდერი რაუფ დენქთაში ამბობს, რომ მოლაპარაკებებს შეწყვეტს, თუ ჩრდილოეთ კვიპროსის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნება. "თუ შეთანხმებაში ჩვენს მოთხოვნებს არ გაითვალისწინებენ, მაშინ მოლაპარაკებებს დავტოვებ და კვიპროსელ თურქებს რეფერენდუმზე გაერთიანების წინააღმდეგ ხმის მიცემისაკენ მოვუწოდებ," – თქვა მან.

დენქთაში არარეალურს უწოდებს გაერო-ს გეგმით გათვალისწინებულ ვადებსაც. ამ გეგმის მიხედვით, კვიპროსის გაერთიანება, ფორმალურად, 1 მაისამდე უნდა შედგეს. 1 მაისს დაგეგმილია კუნძულოვანი სახელმწიფოს ევროკავშირში გაერთიანება. თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, მაშინ ევროთანამეგობრობაში კუნძულის მხოლოდ ბერძნული ნაწილი შევა. ეს კი ჩრდილოეთ კვიპროსის ისედაც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და საერთაშორისო ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს.

დენქთაში, ძირითადად, ბერძნული მოსახლეობის თურქულ ნაწილებში გეგმით გათვალისწინებულ დაბრუნებას არ ემხრობა და მიიჩნევს, რომ ამას შეიძლება აღნიშნული რაიონებიდან თურქი კვიპროსელების მასობრივი განდევნა მოჰყვეს. დენქთაში ასევე კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში თურქეთის სამხედრო დანაყოფების დარჩენას მოითხოვს, რომლებიც იქ 1974 წლიდან იმყოფებიან.

გაერო-ს გეგმით, ბერძენი და თურქი კვიპროსელების ლიდერთა მოლაპარაკებები მარტის ბოლომდე უნდა გაგრძელდეს, ხოლო მიღწეული შეთანხმება 21 აპრილს რეფერენდუმზე უნდა დადგეს. გაერო-ს გეგმას ემხრობიან მრავალწლიანი კონფლიქტის მოწესრიგებით დაინტერესებული საბერძნეთი და თურქეთი. ანკარაში მიაჩნიათ, რომ კვიპროსის გაერთიანება ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყების პერსპექტივას კიდევ უფრო გაზრდის. იმედოვნებენ, რომ თურქეთი ისევ მოახდენს ზეწოლას დენქთაშზე და მოლაპარაკებების შეწყვეტას არ დაუშვებს.



# ჯიბეში დამალული ტკბილეული

თამარ დვალი

რუსთავის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში 64 ბავშვი ცხოვრობს. მათთვის ყოველი დღე, თითქმის, ერთნაირად იწყება: საუზმის შემდეგ - სკოლა, სკოლის შემდეგ - კი სახლი, სადაც სწავლობენ და, შეძლებისდაგვარად, ერთობიან. პატარა გალავნით გარშემორტყმულ სამსართულიან შენობაში, ოთხი წლიდან 16 წლამდე ბავშვები მთელ კვირას ერთად ატარებენ. მათ უმეტესობას მშობლები ჰყავს, მაგრამ, გაჭირვების გამო, შვილებს თვეობით ვერ ნახულობენ. კომუნისტების პერიოდში აშენებულ შენობას, დიდი ხანია, სარემონტო სამუშაოები აღარ ჩატარებია. ახლა ამ შენობაში საღებავების სუნი ტრიალებს. უკვე რამდენიმე თვეა, იაპონიის მთავრობის ხელშეწყობით, შენობის შერემონტება მიმდინარეობს.

თბილისიდან თავიანთი თანატოლების მოულოდნელმა სტუმრობამ გუშინ რუსთავის ბავშვთა სახლის ყოველდღიური ცხოვრება ცოტა ხნით შეცვალა. ეზოში გამოჩენილ საჩუქრებით დატვირთულ მანქანას მაშინვე ბავშვები შეესივნენ. ტკბილეულს, რომელსაც ხელში ვეღარ იტევდნენ, ჩუმად ჯიბეებში ინაწილებდნენ. მანქანაში კიდევ ეწყო ტანსაცმლით სავსე ტომრები, რომლებსაც ბავშვები თვალს ვერ აცილებდნენ. კითხვის პასუხად, თუ რას ისურვებდნენ ისინი საჩუქრად - ბიჭებისთვის ველოსიპედი აღმოჩნდა ყველაზე სასურველი საჩუქარი, გოგონებისთვის კი - "ბარბი" და "ფლეიერი". ტკბილეულის დარიგების შემდეგ, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც ერთობლივი კონცერტი გამართეს.

ამ აქციის ორგანიზატორი საქართველოს ახალგაზრდობის და



ნეტავ რა დევს ამ ფუთებში?

ცვისა და განვითარების კავშირი იყო. ისინი თბილისის ათ სკოლას დაუკავშირდნენ, საიდანაც ფული და ტანსაცმელი შეაგროვეს. როგორც თბილისის 155-ე სკოლის წარმომადგენლებმა გვითხრეს, ბავშვებმა არნახული მონდომება გამოიჩინეს. ტანსაცმელი და ფული ყველა სკოლაში მალევე შეგროვდა. ბავშვების უმეტესობას თავადაც სურდა თანატოლების მონახულება, თუმცა, სამწუხაროდ, ამჯერად ეს ვერ მოხერხდა. მსგავსი ღონისძიება თემქის, გლდანისა და სხვა ბავშვთა სახლებშიც იგეგმება.

ისევე, როგორც ყველა ბავშვთა სახლს, ამ სახლსაც ჰყავს თავისი ექიმი, რომელსაც ბავშვები ძალიან ხშირად აკითხავენ. გუშინ კი ამ ოთახის კართან დიდი რიგი იდგა. თბილისიდან ჩასული ექიმები ყველას საგულდაგულოდ სინჯავდნენ. სამწუხაროდ ბევრ ბავშვს ისეთი დაავადება აღმოაჩნდა, რომლის მკურნალობაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფო ბავშვთა სახლებს სამედიცინო დახმარებისთვის თვეში 160 ლარს ურიცხავს. როგორც ადგილობრივმა ექიმმა გვითხრა, ეს თანხა მათ იოდის, ბინტის და გამაყუჩებელი წამლების შესაძენადაც არ ჰყოფნით. მოკლედ, პრობლემა ძალიან ბევრია - ძველი ინვენტარის ახლით ჩანაცვლება წლების განმავლობაში არ მომხდარა; არ არსებობს კარადები, სადაც ბავშვები ტანისამოსს შეინახავენ; არ არის სათანადო დაფინანსება და ა.შ.

რამდენიმე ხნის წინ დაწყებული აქცია კვლავ გაგრძელდება და მასში თბილისის თითქმის ყველა სკოლა მიიღებს მონაწილეობას. ამჯერად აქციაში თბილისის № 23-ე, 29-ე, 36-ე, 37-ე, 48-ე, 64-ე, 140-ე, 155-ე და 166-ე სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მათ რუსთავის სამი სკოლაც შეუერთდა.

# ფალსიფიცირებული „რაციოცეფის" ერთი ფლაკონი ერთი ადამიანის სიცოცხლე ჯდება

*სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმინაობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციამ თბილისისა და მარნეულის აფთიაქებში ფალსიფიცირებული მედიკამენტი "რაციოცეფი" აღმოაჩინა. ეს მედიკამენტი მესამე თაობის ანტიბიოტიკია და ინიშნება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როცა, ნამდვილის ნაცვლად, ფალსიფიცირებული "რაციოცეფის" გამოყენება ავადმყოფის სიკვდილს ნიშნავს. სასამართლოს მხრიდან კი ამ ფაქტს ისეთი კურიოზული რეაქცია მოჰყვა, სიცილი კი არა, ტირილი მოგინდება.*

ნანა ჯაჯანიშვილი

**"რაციოცეფს", იგივე "ცეფტრიაქსონს" პერიტონიტის, მენინგიტის, სეფსისის, ფილტვების აბსცესისა და ძვლისა და სახსრების ინფექციების დროს იყენებენ. ამ დროს, განსაკუთრებით მენინგიტისა და პერიტონიტის შემთხვევაში, ავადმყოფს ანტიბიოტიკი სასწრაფოდ თუ არ გაუკეთდა, დაავადება ძალიან სწრაფად ვითარდება. ადვილი მისახვედრია, რომ ასეთ დროს ფალსიფიცირებული ანტიბიოტიკის გამოყენება ავადმყოფის სიკვდილის ტოლფასია,"** – აცხადებს ფარმაცევტული ინსპექცია.

აღნიშნულ პრეპარატს უკრაინული ფირმა "დარცინა" უშვებს. ინსპექციამ იგი "დარცინას" დისტრიბუტორი ფირმის წარმომადგენლის დახმარებით აღმოაჩინა და შესამოწმებლად შპს "წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრს" გადაუგზავნა. ცენტრის დასკნაში კი შემდეგი წერია: **"საანალიზოდ წარმოდგენილი ნიმუში "რაციოცეფის" ორიგინალსა და მწარმოებელი ფირმის სპეციფიკაციის მოთხოვნებს არც ერთი პარამეტრის მიხედვით არ შეესაბამება. საანალიზოდ წარმოდგენილი ნიმუშის თავსახური ფლაკონის მოხუფვის შემდეგ არის შეღებილი და საღებავი ფლაკონის შიგთავსშია ჩასული. ქიმიურმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ წარმოდგენილი ნიმუში "რაციოცეფი" არ არის, გაურკვეველი ნივთიერებაა."** ასეთი ანტიბიოტიკით ავადმყოფის მკურნალობა, რა შედეგსაც გამოიწვევს, ცხადია. იგი ინსპექციამ დედაქალაქის 5 და მარნეულის 2 აფთიაქში აღმოაჩინა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა აფთიაქებში არ იყიდება. **"მარნეულში როცა მივედით, იმ დღეს მხოლოდ ორი აფთიაქი იყო ღია, დანარჩენი დაკეტილი დაგვხვდა. ფალსიფიცირებული "რაციოცეფი" ორივე აფთიაქში აღმოჩნდა,"** – გვითხრა ინსპექციის უფროსის მოადგილემ ქეთი ბარამიძემ.

ინსპექციამ თბილისში არსებული ხუთივე აფთიაქის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინა, 800 ლარით დააჯარიმა და საქმე შესაბამისი რაიონების სასამართლოებს გადაუგზავნა. ინსპექციამ ფალსიფიცირებული მედიკამენტის გამყიდველთა ვინაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებასაც გადასცა, ამიტომ დაჯარიმებული აფთიაქების დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. თუმცა, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გუშინდელმა გადაწყვეტილებამ ინსპექციის თანამშრომლები ისე აღაშფოთა, რომ ერთ-ერთი აფთიაქი მაინც დაგვისახელეს. ინსპექციის წარმომადგენლებმა ფალსიფიცირებული "რაციოცეფის" ერთი ფლაკონი ნევროლოგიის ინსტიტუტის ეზოში მდებარე სააფთიაქო ჯიხურში (რა თქმა უნდა, ულიცენზიოა) შეიძინეს. წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის ზემოთ აღნიშნული დასკვნის მიღების შემდეგ კი, 20 თებერვალს ამ ჯიხურის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინეს და გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს გადაუგზავნეს. სხვათა შორის, აღნიშნული სააფთიაქო ჯიხურის წინააღმდეგ საჯარიმო აქტი ინსპექციამ უკვე მესამედ დაწერა. მანამდე, ლიცენზიის უქონლობის გამო, ორჯერ 1000-1000 ლარით დააჯარიმა, მაგრამ წინა ოქმებსაც იგივე ბედი ეწია, რაც უკანასკნელს. **"სასამართლოს წარვუდგინეთ დოკუმენტი, სადაც ნევროლოგიის ინსტიტუტში განთავსებული ჯიხურის გამყიდველი თინა დარახველიძე ხელმოწერით ადასტურებდა, რომ "რაციოცეფი" მისგან ვიყიდეთ. ამის მიუხედავად, გუშინ სასამართლომ ყოვლად ულოგიკო განცხადება გააკეთა, - აღნიშნულ ჯიხურში ვიყავით, მაგრამ თინა დარახველიძეს ვერ მივაგენითო,"** – ჰყვება ინსპექციის აღშფოთებული თანამშრომელი.

სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ კანონის (რომელიც მაკონტროლებელს ობიექტზე სასამართლოს ნებართვის გარეშე შესვლას უკრძალავს) ამოქმედების შემდეგ მსგავსი ფაქტები იმდენად ხშირია, რომ კანონის დამრღვევი ობიექტის დაჯარიმება აზრს კარგავს. ფარმაცევტული საქმიანობის ინსპექციამ ერთი "კურიოზული" ფაქტიც გვიამბო. შარშან "ბავშვთა სამყაროს" ტერიტორიაზე არსებულ არალიცენზირებულ აფთიაქში მომუშავე 64 გამყიდველი ქალი ინსპექციას ცალ-ცალკე დაუჯარიმებია და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 64 ოქმი გაუგზავნია. თანაც, ინსპექციის თანამშრომლებს ჭკუა უხმარიათ და იმ დღეს, როცა სასამართლო პროცესი იყო დანიშნული, ერთ-ერთ გაზეთში წერილი გამოუქვეყნებიათ. **"ვიმედოვნებ, სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს და აფთიაქის თანამშომლებს დააჯარიმებს,"** – ასე ამთავრებდა ჟურნალისტი აღნიშნულ წერილს. მოსამართლეს ეს გაზეთი რომ წაუკითხს, - მეტი რაღა გზა მაქვსო, - უთქვამს და 64-ვე გამყიდველი დაუჯარიმებია. თუმცა, ეს საქმე ასე "კეთილად" მაინც არ დასრულებულა. გამყიდველები კი დააჯარიმეს, მაგრამ ჯარიმა დღემდე არავის ამოუღია. წესი ასეთია, ვინმე რომ დავაჯარიმოთ, ჯერ კურიერი უნდა გავაგზავნოთ დაჯარიმებულთა გასაფრთხილებლად, - მაგრამ, ფული არ გვქონდა, რომ კურიერისთვის სამგზავროდ მიგვეცაო, - თავი უმართლებია აღმასრულებელ სამსახურს, თითქოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოდან ("დინამოს" სტადიონის გვერდით მდებარეობს) ბავშვთა სამყარომდე მისასვლელად კურიერს თვითმფრინავის ბილეთი სჭირდებოდა.

ინსპექციამ ბავშვთა სამყაროს ტერიტორიაზე მდებარე აფთიაქის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი წელსაც სამჯერ დაწერა და სასამართლოსაც გადაუგზავნა, მაგრამ, ჯერჯერობით, რეაგირება არ მოჰყოლია. თუმცა, რომც მოჰყვეს, მერე რა? შარშანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, ინსპექციას წელს ჟურნალისტებისთვისაც აღარ მიუმართავთ დასახმარებლად. როგორც ვნახეთ, შედეგი არც ამ ხერხმა გამოიღო; თუ რატომ - ამაზე "24 საათს" არაერთხელ დაუწერია. ამჯერად ერთს დავამატებთ. ინსპექციამ სასამართლოსგან ობიექტზე შესვლის ნებართვა რომ მიიღოს, აფთიაქებში წამლები უნდა იყიდოს, შეამოწმებინოს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლოს მიმართოს. შარშანდელი ბიუჯეტიდან კი წამლების შესაძენად ინსპექციას არაფერი მიუღია. **"მწარმოებელ ფირმებს ვეხვეწებით, აფთიქებში საკუთარი წარმოების მედიკამენტები თვითონვე იყიდონ, რომ შევამოწმებინოთ. ბიუჯეტიდან წელიწადში 800 ლარიც რომ მოგვცენ, ეს პრობლემა მაინც მოგვეხსნება,"** – ჩივიან ინსპექციის თანამშრომლები, რომელთა საშუალო ხელფასი 37 ლარს არ აღემატება. ასეთი ანაზღაურება კი კორუფციის ცდუნებისგან ვერც მათ დაიცავს. არადა, ფალსიფიცირებული მედიკამენტების ერთი ფლაკონი ერთი ადამიანის სიცოცხლე ჯდება.

ფოსტა

# სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ანუ "ვარლამ არავიძის" ქალაქი...

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ფიცი დავდე ღვთის წინაშე, რომ პოლიტიკაში არასოდეს ჩავერეოდი, ჩემს თავს, ჩემს ქვეყანას მესამე შვილი ვაჩუქე, 9 აპრილის დაღუპულთაგან ერთ-ერთის სახელი დავარქვი და დედობის ლამაზი შარავანდედით, ჩემი საკეთებლითა და ვალით ერის წინაშე გავაგრძელე ცხოვრება.

20 თებერვლის გაუგონარმა, გამაოგნებელმა და ცინიზმით სავსე რბევამ ჩემი განაცრისფერებული ბათუმის ქუჩებში, ჩამაფიქრა. მივხვდი, ახლა დუმილი დანაშაულის ტოლფასი იყო, თვით შიში "ყოვლისშემძლე" აბაშიძის რეჟიმისა კი იმდენად შეურაცხმყოფელი, გადავწყვიტე ზედმეტი ემოციებით გარეშე მეთქვა ის, რასაც არ თუ ვერ ვამბობდი წლების განმავლობაში, ჩემ უკან მდგომ უამრავ ადამიანს ვუწევდი ანგარიშს იმავე რეჟიმის გამო, მაგრამ საკმარისია! შიშს მართლაც ყველაზე საშინელი დაღლა სცოდნია...

ახლა შეურაცხყოფილი ვარ, პირადად მე ვარ შეურაცხყოფილი, როგორც ქალი, როგორც დედა, როგორც მოქალაქე, როგორც ქართველი და ბოლოს როგორც მთიელი აჭარელი ქალი...

როდემდე?

როდემდე ბატონებო?

სხვამ თუ არა, მე ხომ ვიცი, როგორ "ყიდულობთ" ჩემს უწყინარ, მორჩილ ხალხს, მთებში კარჩაკეტილ, ინფორმაციის ვაკუუმში მომწყვდეულ, ნახევრად მშიერ, ქალაქში წლების განმავლობაში ვერჩამოსულ კეთილ ხალხს?

სხვამ თუ არა, ჩვენზე უკეთ ვინ იცის ამდენი სამარცხვინო მიტინგის ტკივილი?

მაშინ, როდესაც თბილისში ჩასულები ჩვენი სამარცხვინო მიტინგით ასიათასიან მიტინგს დავუპირისპირდით, ვინმემ ხელი დაგვაკარა საავგულოდ? ბრმები და ყრუები კი არა ვართ, ვხედავთ ბატონებო, ვხედავთ.

როდემდე თქვენი გარემოცვის ცარიელი, არაფრისმთქმელი ცივი თვალების ცინიზმი?

მე და ჩემნაირებს არც თქვენს ნასუფრალზე გვიცხოვრია, არც ახალი ხელისუფლების ნასუფრალი გვჭირდება. ჩვენ ვსწავლობთ, ვშრომობთ, ვაზროვნებთ. მოგვეცით ჩვენი უფლებები, ნუ დაგვცინით, როგორც ვარლამ არავიძე.

რატომ ვარლამ არავიძე?

გახსოვთ მისი მერად კურთხევა? წყლის ცენტრალური მილიდან წყალი რომ ამოილვარა და გაწუწული ხალხი, ბრმად მიჩერებული, მონური მორჩილებით ტაშს რომ უკრავდა? აი ეს არის დღესაც. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

დღეს თუ ზუსტად არ ვიცი სად უნდა ვიდგე, ის მაინც კარგად ვიცით, სად არ უნდა ვიდგეთ, თუმცა უკვე კარგად ვიცი, როგორ უნდა გავიბრძოლო ჩემი ღირსების დასაცავად.

დღეს ჩვენ გვაქვს მიწამდე დახრილი თავი, ჩვენი სამარცხვინო მიტინგებისა თუ შეცდომების გამო, ხვალ, როცა თქვენს შვილიშვილებს მოუწევთ, პასუხი აგონ წინაპრების გამო, მაშინ უკეთ გაიგებთ, რატომ ვარლამ არავიძე...

ვინ გვესხმის თავს?

ირმა სოხაძე, გოგა ხაინდრავა...

სხვა კიდევ?..

პრეზიდენტი როცა ჩამობრძანდა, ზეიმისა და ბედნიერების გარდა, სხვა განწყობა არ ჰქონია აჭარელ ხალხს და ვითომ ასე საშიშია ირმა სოხაძისა და გოგა ხაინდრავას სტუმრობა? ლევან მამალაძის სტუმრობაზე უარესია ვითომ?

მობრძანდით ბატონებო, გვენატრებით აჭარაში...

ვინ გვაფინანსებს თქვენს წინააღმდეგ?

ხომ გაგიგონიათ, მელას რაც ესიზმრებოდაო...

ნუ გვმადლით რამდენიმე ხიდს, ოპერას და უნივერსიტეტს თუ შეიძლება, იმ გაფლანგული ფულებში, იმ დანგრეულ და პირისაგან მიწისა აღგვილ სიმდიდრეებში, ეს ზღვაში წვეთია და საერთოდ აბა რა გევალებათ ხელისუფალთ? იგივეა, მოსწავლეებს ჩატარებული გაკვეთილი რომ დავამადლო...

ვხედავთ ბატონებო, ვხედავთ...

"აღმშენებლობით" აჭარას თქვენი მოღვაწეობის განმავლობაში სუფთა წყალი არ დაულევია, როცა წიგნიერი, ღირსეული, კულტურული ადამიანები, ინტელიგენციის დიდი ნაწილი მაღალსართულიან სახლებში ზურგით შეშას მიათრევს, ვედროებით წყალს ეზიდება და გამურულ-გამჭვარტლულები გენერატორის გამაოგნებელ ხმაურში თქვენი სასაცილო და მარტივი აჭარის ტელევიზიის მეტს ვერაფერს უყურებს. თქვენ ეს აყვავებული აჭარა გგონიათ? თუ ვინმე გეტყვით, რომ მორიგი ბოდვაა ჩემი ბრალდება, იქნებ თავად გადაამოწმოთ და მესტუმროთ ოჯახში. მაშინ საკუთარი თვალით ნახავთ. მე ვინმე საცოდავი ქალბატონი კი არ გახლავართ, ერთი ამაყი აჭარელი ქალი ვარ, კარგი ტრადიციებით, განათლებული და ღირსეული წინაპრებით, საკმაო განათლებითა და მანერებით. თქვენი გარემოცვასავით თავხედურად კი არ ვიქცევით, მიკროფონთან ისტერიკულად არ გავკივივართ და საკუთარი სკამების გადასარჩენად ყალბად კი არ გაქებთ, უბრალოდ, შეშის თბილ ღუმელთან დაგსვამთ, მე-9 სართულზე, ამ შეშას ჩვენი მხრების სითბოც ექნება და აჭარული კერძებით გაგიმასპინძლდებით.

სხვა კიდევ?

თუ სურვილი არ გექნებათ, მე-9 სართულიდან ულიფტობის გამო კიბეებზე ჩასვლის ნაცვლად და ვარლამივით ფანჯრიდან მოინდომებთ გადახტომას, პირობას ვერ მოგცემთ, რომ გადარჩებით. ისევ ფეხით ჩასვლას გირჩევთ.

გავყვეთ?

მე არ ვიცი, რატომ არ გიყვარდათ მოშია ჩხაიძე, მაგრამ მე და ჩემნაირებს გვიყვარდა მისი პიესები და დაგვიბრუნეთ მოშიასეული დრამატურგია, თუ შეიძლება, აჭარაში. სადა გვყავს ამდენი ოპერის მსმენელი და თანაც, უკანასკნელად როდის ნახა მაყურებელმა ის? დამიბრუნეთ საცურაო აუზი, დელფინარიუმი, დამიბრუნეთ ცირკი, კინოთეატრები, დამიბრუნეთ საზაფხულო თეატრი, ფილარმონია, დამიბრუნეთ ბულვარში აზალიები, გორტენზიები, ვარდები, დამიბრუნეთ ლამაზი, დიდი ატრაქციონები, სადაც ჩემს შვილებთან ერთად ბავშვობას მეც გავიხსენებ. ისე, მართალი ხართ, თქვენი გარემოცვის მაყურებელს რაღად გვინდა ცირკი და თეატრი, ან კონცერტები...

მოგვბეზრდა ცოტნე ბაკურიას ვაიპოლიტიკოსობა, რუსთაველის ქუჩის იქით აჭარაზე წარმოდგენა რომ არა აქვს. რაც მაგან ფული წაიღო, სხვებისთვის რომ მიგეცათ, უკეთესად მოგემსახურებოდნენ და თავსაც არ შევირცხვენდით... ყოჩაღ ცოტნე, მაგარი ხარ.

მოგვბეზრდა თქვენი გარემოცვის სისხლისმსმელი სახეები, დავიღალეთ, აღარ გვიღირს თქვენ მიერ პატივაყრილი, სულში ჩაფურთხებული და დამცირებული სიცოცხლე... თუ გველირსა და ონკანებში წყალი წამოვიდა, კანალიზაციის სუნი ისადგურებს მთელს სახლში, იქნებ შხამი გაურიოთ, რომ მალე მორჩეს ეს ყველაფერი...

ნუ მივყიდით, ჩემო კეთილო ხალხო, ეშმაკს სულს 10 და 20 ლარად, ნუ! თორემ თქვენ, ვისაც გულწრფელად, ანგარების გარეშე გიყვართ ბატონი აბაშიძე და ენდობით, ღმერთმა გაგიმარჯოთ, ოღონდ უანგაროდ დაუკარით ტაში...

ყველაფერი დასრულდება...

თვით სიცოცხლეც კი...

ხელისუფლებაში ყოფნა მით უფრო...

არც ჯემალ გოგიტიძის დარწეული აკვანი გვინდა მაინცდამაინც, არც მისი "კალოშები" და არც მისი ორიგინალური შედარებები, ყველაფერი დასრულდება და აჭარელ ხალხს, გახლეჩილ, დაფლეთილ ხალხს ერთად ცხოვრების, ატანისა და გატანის უკვე მერამდენედ მოგვიხდება თავიდან დაწყება...

აი თქვენი ნამოღვაწარი.

დღეს ტყვიით და ძალით დროს ვერ შეაჩერებ...

ყველაფერი წარმავალია ქვეყნად...

თაობები უკეთესად შეაფასებენ ჩვენს ნამოღვაწარს და ნუ ამოათხრევინებთ თავს საფლავიდან შთამომავლობას...

ვარლამ არავიძემაც გადაუარა ინტელიგენციას, ჩაახშო ყველაფერი ლამაზი და სუფთა, მონურმა შიშმა მოიცვა ქალაქი, დოქსოპულოებით გაივსო ქვეყანა, მაგრამ?

სამართალი უძლეველია, დრო მკაცრი მსაჯული, უფალს არსად ეჩქარება, ეს ჩვენ ვჩქარობთ ამ წუთისოფელში...

ასე რომ, ბატონებო, არც თქვენ შეგრჩებათ. თქვენი დემაგოგიური გამოსვლები გედის უკანასკნელ სიმღერას მაგონებს, ოღონდაც ცუდად ნამღერს.

ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი მფარველი...

*მზია ქათამაძე*
*პედაგოგი*
*ბათუმი*

## 2004 წლის 4 მარტს თბილისის ისტორიის მუზეუმში ("ქარვასლა") შედგა პირველი ქართველი მესურათხატის ალექსანდრე როინაშვილის ნამუშევრების გამოფენა და ფოტოალბომის პრეზენტაცია.

"საქართველოს ბანკის" გუნდი მოხარულია რომ ამ ღონისძიების ხელშემწყობია.

ქართული კულტურის მხარდაჭერა "საქართველოს ბანკის" იდეოლოგიიდან გამომდინარე, პრიორიტეტული საქმიანობაა და ამიტომ ბანკი მუდამ ყურადღებით ეკიდება ჭეშმარიტი ქართული ხელოვნების და ქართული სულიერების წარმოჩენის პროექტებს.

ქართულ ხელოვნებას და კულტურას დღეს საკმაოდ უჭირს, ნამდვილი მხატვრული და ეროვნული ღირებულების ნაწარმოებები იშვიათად იქმნება, და რომლებიც იქმნება, მათაც - ეკონომიური პრობლემების გამო უჭირთ მნახველამდე და მაყურებლამდე მისვლა. საკმაო საშიშროებას ქმნის იაფფასიანი უცხოური მას-კულტურის უკონტროლო მოძალება ქართულ ცნობიერებაში. ამიტომ, ყოველი ისეთი პიროვნების ღვაწლის ჯეროვანი დაფასება, როგორიცაა ალექსანდრე როინაშვილი, ჩვენი მომავალი თაობებისათვის ჩვენი სამშობლოს სულიერი თვითმყოფადობის გადარჩენის საქმეში მნიშვნელოვანი მოვლენაა.

სწორედ ამ მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით, როცა "საქართველოს ბანკის" გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება მატერიალურად დახმარებოდა ამ უნიკალური ალბომის გამოცემას და პრეზენტაციას. ბანკის წამყვან მენეჯერთა გუნდი კვლავაც მზადაა მხარი დაუჭიროს ასეთ ინიციატივებს კულტურის სფეროს წარმომადგენლებისგან.



# სპეცოპერაცია ტრაგიკულად დასრულდა





*პოლიციელებმა, რომლებსაც თანამშრომლები დაუხოცეს, ნერვები ვერ მოთოკეს და ქმედებებზე კონტროლი დაკარგეს.*

პირველი გვერდიდან

ორმხრივი სროლის შედეგად გარდაიცვალა ერთ-ერთი დამნაშავე გაგა ჭეიშვილი, რომელიც, ქუთაისის პოლიციის უფროსის თენგო მორჩაძის განმარტებით, ყაჩაღური თავდასხმებისათვის უკვე სამი წელია იძებნება. დამნაშავეთა ტყვიებმა იმსხვერპლა ორი პოლიციელი: თერჯოლელი როინ რობაქიძე და ქუთაისელი გია ხატიაშვილი. დაჭრილია კიდევ ერთი სამართალდამცავი.

პოლიციელთა და დამნაშავეთა სამყაროს შორის ატეხილ სროლას შემთხვევით ემსხვერპლა გამვლელი, გვარად შალიკიანი. მოგვიანებით, მისი ოჯახის წევრებმა მომხდარში პოლიცია დაადანაშაულეს. დაღუპულთა ახლობლების თქმით, შალიკიანი სწორედ სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმმა იმსხვერპლა.

რაც შეეხება გადარჩენილ დამნაშავეებს, მათ გატაცებული ავტომანქანები მიატოვეს და კერძო სახლების ეზოებს შეაფარეს თავი. მათ დასაკავებლად პოლიციელებმა დამატებითი ძალები გამოიძახეს, მთელ ქუჩას ალყა შემოარტყეს. გაიჩხრიკა თითქმის ყველა სახლი, მაგრამ ყაჩაღები ვერ აღმოაჩინეს. რის შემდეგაც პოლციამ უკვე ტყიბულის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება დაიწყო. პოლიციელთა ინფორმაციით, შესაძლოა, დამნაშავეთაგან ერთ-ერთი რუსთავის კოლონიიდან გაქცეული ჩერქეზია იყოს, მეტსახელად - "აფხაზა".

ოპერაციის მიმდინარეობის დროს პოლიციამ ტყიბულის ქუჩაზე მცხოვრებ რამდენიმე ახალგაზრდაზეც მიიტანა ეჭვი. ისინი დააკავეს და სცემეს კიდეც, მაგრამ ყაჩაღებთან მათი ურთიერთობა არ დადასტურდა.

**"დამნაშავეებმა უმისამართო სროლა ატეხეს, რის შედეგად გარდაიცვალა ერთი მოქალაქე. გამტაცებლები კარგად არიან შეიარაღებულნი და ყველაფერს ვაკეთებთ მათ დასაკავებლად"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ზურაბ ჩიკვაიძემ; თუმცა, ამ განცხადების მიუხედავად, გუშინ, გვიან ღამემდე ბოროტმოქმედები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკავებულნი.

გუშინვე ქუთაისში ჩავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე. **"მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად დამნაშავეებს ეკისრებათ და ჩადენილით მათ საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანეს. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ქუთაისი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ ქალაქად იქცა და ჩვენ ამას მოვუვლით,"** - ასეთი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის კომენტარი.

# უშიშროების დაკავებული თანამშრომლები თბილისში გადმოიყვანეს

გუშინწინ სამეგრელოში სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული უშიშროების მაღალჩინოსანთა ახლობლები შეშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ გამოძიება იმთავითვე არაობიექტურად მიმდინარეობს. ამის თქმის საფუძველს მათ ის ფაქტი აძლევთ, რომ ადვოკატებს საქმის გაცნობის საშუალებას არ აძლევენ და დაკითხვები პროცესუალური ნორმების დარღვევით მიმდინარეობს.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების ექვსი მაღალჩინოსანი, რომლებიც გუშინწინ ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის შემდეგ დააკავეს, თბილისში არიან გადმოყვანილები. მათ წინააღმდეგ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს მთავარი სამხედრო პროკურატურა გამოიძიებს და, შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დედაქალაქში გაგრძელდება.

მთავარი სამხედრო პროკურატურის ცნობით, ექვსივე დაკავებული ამჟამად უშიშროების იზოლატორშია მოთავსებული, სადაც მოხდება მათი ეჭვმიტანილად დაკითხვა, დღის ბოლომდე კი გადაწყდება მათთვის ბრალის წაყენების საკითხი. კერძოდ, მთავარი სამხედრო პროკურორის პაატა ჯახუტაშვილის განცხადებით, ეჭვმიტანილად დაკითხვისას, დაკავებულებს ჩვენება მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამსახურის ახლანდელი უფროსის თემურ გაბუნიას შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე ჩამოართვეს, თუმცა უკვე დღეს უნდა გაირკვეს, წაუყენებენ თუ არა მათ ბრალს კონტრაბანდაში მონაწილეობის მუხლითაც.

როგორც ცნობილია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი გოგი ნაჭყებია, მისი მოადგილე კობა მატახერია, თენგიზ თოდუა, მამუკა ყურაშვილი, ონისე ხუბულავა და ზურაბ ქალდანი სამხარეო განყოფილების ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს თემურ გაბუნიას იარაღით დაემუქრნენ და უშიშროების სამხარეო სამმართველოს პირველ პირს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. როგორც ცნობილია, გუშინწინ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქალაქ ზუგდიდის განყოფილებების პირადი შემადგენლობა თანამდებობებიდან გადადგა. მათი პროტესტის საფუძველი რამდენიმე დღის წინ სამხარეო სამმართველოს უფროსად თემურ გაბუნიას დანიშნვა იყო.

ადგილობრივი მაღალჩინოსნების დაკავება სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებით მოხერხდა. უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, დაკავებულები კანონის მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს.

*24 საათი*

# დაპირისპირება კოდორის ხეობაში

## "რწმუნებული დაუპირისპირდა ქართველ ერს"

პირველი გვერდიდან

კორუმპირებული სისტემისა და აბაშიძე-გოგიტიძე-ბაკურიას კლანის დასაცავად. მაშინ კოდორელთა ღირსების დაცვა თორმეტმა ადამიანმა შეძლო, რომლებიც უღელტეხილით გადმოვედით ხეობიდან და გვერდით დავუდექით რევოლუციის ლიდერებს. დღეს კი, ისევე, როგორც კოდორის ხეობის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, გვაკვირვებს ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოიცალა ხეობაში არსებული კატასტროფული სიტუაციის მოსაგვარებლად. ხეობაში, ყოფილი ხელისუფლების კორუმპირებული საკადრო პოლიტიკის შედეგად, ვითარება მართლაც რომ კატასტროფულია. მთელი ამ წლების მანძილზე ხეობაში შეიქმნა ბოროტმოქმედების, ურთიერთდაპირისპირებების, შუღლის, ჩასაფრებების, შპიონომანიის, ჯაშუშობისა და ერთმანეთისადმი უნდობლობის ატმოსფერო. შიდა დაპირისპირებების, ადამიანების ერთმანეთზე ხელოვნურად გადამტერების შედეგად, აფხაზეთის ომის შემდეგ კოდორის ხეობაში 115 ადამიანია მოკლული, ეს მაშინ, როცა აფხაზეთის ომში ხეობამ 34 ადამიანი დაკარგა.

გარდა ამისა, კოდორის ხეობის მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს, ნათელი მოეფინოს იმ სამარცხვინო, ყველა კოდორისხეობელისთვის სიამაყის შემლახველ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1993 წლის შემოდგომაზე, როდესაც სოხუმის დაცემის შემდეგ დევნილი, აფხაზეთის ქართველობა, კოდორის ხეობაში გადმოსვლისას, ძარცვა-ყაჩაღობის მსხვერპლი გახდა. კოდორელებს ამ სამარცხვინო ლაქას მხოლოდ ამ ფაქტების მიუკერძოებელი გამოძიება ჩამორეცხს, რომელიც გაარკვევს, რომ ურთულეს პირობებში, ყინვასა და შიმშილის პირობებში, დევნილთა ძარცვას ის ჯგუფი ეწეოდა, რომლის წევრებიც შემდგომში კოდორის ხეობის მმართველობის სათავეში მოექცნენ. სწორედ მათ შექმნეს კოდორის ხეობაში დამნაშავეობის ოაზისი. გაერო-ს მისიის თანამშრომელთა გატაცებებითა და სხვა, უმძიმესი კრიმინალური მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, კოდორის ხეობის ხელმძღვანელობის მმართველობის პირობებში, ხეობა საერთაშორისო მასშტაბის ტერაქტების, ბინძური, კორუფციული, მაფიოზური გარიგებებისა და მიზნების აღსრულების სამარცხვინო პოლიგონად იქცა.

ხეობაში არა მარტო კრიმინალური თვალსაზრისითაა შექმნილი კატასტროფული ვითარება. იმ პირობებში, როდესაც კოდორის ხეობისთვის საკმაოდ სოლიდური თანხები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხეობა დღემდე ბედის ანაბარაა მიტოვებული. ძნელი მისახვედრი არ არის, სად მიდის გამოყოფილი სახსრები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოდორში არ ფუნქციონირებს ჯანდაცვის დაწესებულებები, არ არის მედიკამენტები, ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დაკავშირებულია დიდ პრობლემებთან, სტაციონარულ მომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საიდუმლო არ არის, რომ კოდორში გზების მშენებლობისა და ხიდების შეკეთებისთვის არაერთი ათასი ლარი გამოიყო, რეალურად კი გზები ხეობაში საშინელ მდგომარეობაშია. ამის დასადასტურებლად ერთი საზარელი მაგალითის მოყვანაც კმარა, როდესაც 2001 წლის 3 ოქტომბერს კოდორის სათავესთან მდებარე ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის (მჟავეწყლების ხიდის) ჩატეხვის შედეგად ცხრა ადამიანი, მათ შორის, ქალები და ბავშვები დაიღუპნენ.

ხეობის მმართველებისთვის სერიოზული პრეტენზიების წასაყენებლად ისიც კმარა, რომ ხალხს, 30-ლარიანი ფქვილის ნაცვლად (როგორც ეს დოკუმენტაციაშია აღნიშნული), 12-ლარიანი, ქატონარევი, შავი ფქვილი დაურიგეს.

გარდა ამისა, წმინდა წყლის სიცრუეა, თითქოს, კოდორში თავდაცვის უწყების მიერ, ადგილობრივი მოსახლეობის ბაზაზე, შექმნილია ბრძოლისუნარიანი რაზმი "მონადირე". ამ ხალხით რევოლუციის ლიდერებსაც კი ემუქრებოდნენ კოდორის რწმუნებული და მისი დამქაშები. არადა, ფიქტიურად, შესაძლოა, მართლაც 800 კაცი ირიცხებოდეს ამ რაზმში და ამდენივე ადამიანზე ხდებოდეს ხელფასის გამოწერა. სინამდვილეში, ადგილზე კოდორელთაგან ბრძოლისუნარიანი 200 კაცი თუ იქნება, დანარჩენებს კი, საეჭვოა, რომ კოდორის ხეობა საერთოდ ნანახი ჰქონდეთ. არადა, კოდორის ხეობას ნამდვილად გაახარებდა 800 კაცის დასაქმება.

რადგან სამხედრო თემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ წლების მანძილზე, უნიათო და არაკომპეტენტური მმართველების ხელში, 1993 წლის ნოემბრიდან დაწყებული – დღემდე, საეჭვო თანმიმდევრობით, ხეობის ისეთი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაკარგვა, როგორებიცაა ბაგადის გვირაბები, ბაგადის მაღლობი, სოფლები ჩინი და ლათა, ლათას მაღლობი – "აჩამხვარა", უკვე 2001 წლის შემოდგომაზე კი მარუხის მიმართულებით 25 კმ-იანი ზოლი.

სამაგიეროდ, კოდორის მმართველობა სხვა მხრივ იჩენს "გმირობას". მართლაც რომ სამარცხვინო იყო მათი მხრიდან წელს, 8 თებერვალს "დაბომბვებისა" და "მტრის შემოტევის" იმიტაცია, რაც სხვას არაფერს ემსახურებოდა, თუ არა ახალი ხელისუფლებისთვის საკუთარი საჭიროების დემონსტრირებას. ხეობის ხელისუფლება და თავად რწმუნებული ყველა საშუალებას იყენებს, რომ საზოგადოებას გმირად წარმოუდგეს, რითიც პატიოსანი კოდორელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, ისევე, როგორც ლევან მამალაძისა და მის მსგავსთა წმინდა ლამპრობებზე პომპეზური სტუმრობებით.

ხეობაში შექმნილი აუტანელი ვითარების გამო, ხეობა არაერთმა პატიოსანმა ოჯახმა, გვარმა თუ თემმა დატოვა. ავალიანებთან, ცინდელიანებთან, წიფიანებთან ერთად, ხეობის დატოვება მოუხდა კოდორელი სამხედრო ლიდერის ნუგზარ ფანგანის ოჯახს. არადა, 1994 წლის მარტისა და მაისის ბრძოლებისას, სწორედ მისი და მისი მეთაურობით მებრძოლთა მიერ იქნა შენარჩუნებული კოდორის ხეობა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი მას ეს გმირობა ხეობიდან განდევნით დაუფასა.

ყოველივე ზემოთქმულის შემყურეს, კოდორის ხეობის ღირსეულ მოსახლეობას ბუნებრივად ებადება კითხვა: ხომ არ შეძლებს ხეობის კორუმპირებული მმართველობა და მისი გავლენიანი მფარველები ქვეყნის ახალ ხელისუფლებასთან, პრეზიდენტთან "საქმის ჩაწყობას" და იხსნიან თავს "განკითხვისაგან", რითიც საბოლოოდ დაღუპავენ კოდორის ხეობას?

## "დავერბოვკებულები მებრძვიან"

პირველი გვერდიდან

**რწმუნებული გახლდით და, პარლამენტში ოფიციალურად მიპატიჟებული, დარბაზში ვიყავი, როდესაც იქ რევოლუციის მონაწილენი შემოვარდნენ. მე, ფაქტობრივად, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამერიკელებისა და რუსების მიერ დაქირავებულ ხალხს ჩავუდექი შუაში და ვაშველებდი. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ არასწორად მოვიქეცი, აგერ ვარ და მომთხოვონ პასუხი.**

**მე ვიცი, ვინ არის ის ხალხი, ვინც ჩემ წინააღმდეგ ბინძურ კამპანიას აგორებს. მათ ეს დღეს და გუშინ არ დაუწყიათ. ეს სულ თითო-ოროლა ადამიანია. ეს ის ხალხია, რომლებიც გარეულნი იყვნენ ყველა იმ გატაცებაში, რომელიც ხეობაში მოხდა, ელექტროსადენების ჩამოგდებაში. ყველა ის უამრავი მკვლელობა, რომელიც ხეობაში 1995-97 წლებში მოხდა, სწორედ ამ ადამიანების მიერ არის გაკეთებული. ისინი თამაზ ნადარეიშვილის, კახა თარგამაძის, ზურაბ ერქვანიას და სპეცსამსახურების დაკვეთით მუშაობდნენ. მეტსაც გეტყვით, კახა თარგამაძის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფნი, ირიბად, სერგეი რუშაილოს ემორჩილებოდნენ, რადგან თარგამაძე სწორედ მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს ატარებდა. მათ ეს ჯგუფი სპეციალურად შექმნეს, რომ კოდორი აფხაზებისთვის, უფრო სწორად, რუსეთისთვის ჩაებარებინათ. როდესაც ისინი დანაკარგებზე საუბრობენ, ბაგათის მაღლობისთვის ბრძოლა მე თექვსმეტი კაცით დავიწყე. სანამ ტყვია-წამალი გვექნებოდა, უნდა გვებრძოლა, თუმცა მეტი ძალა, ცხადია, ჩვენ წინააღმდეგ იყო და უკანდახევა გვიწევდა. ჩვენი ბრძოლის შედეგი სახეზეა – კოდორის ხეობა აფხაზების ხელში არ ჩავარდა, თუმცა, ისიც არის, რომ რუსებს არ უღირდათ იმ დიდი მსხვერპლის გაღება, რაც ჩვენთან ბრძოლას მოჰყვებოდა. მაშინ მე ვიყავი ერთადერთი მეთაური, რომელიც კოდორის ხეობას იცავდა, დანარჩენები ყველანი გამოიქცნენ, მათ შორის - ის ადამიანებიც, რომლებიც დღეს ბრალდებებს მიყენებენ.**

**როდესაც რუსები მიხვდნენ, რომ გარედან შემოტევით კოდორის ხეობის აღება დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდათ, მათ შიგნით აამუშავეს ბერკეტები, ადგილობრივი ჯაშუშების სახით. ერთ-ერთ ჩემს ბრალმდებელს ვაჟა ავალიანს მაშინ აფხაზი ჰყავდა ცოლი და, ვფიქრობ, ეს ერთი ძაფი იყო, რომლითაც მას რუსები დაუკავშირდნენ. მეტიც, ეგენი იყვნენ, აფხაზეთიდან დევნილ ქართველობას რომ ძარცვავდნენ. მაშინ მათ ამ ქმედებას უშიშროების თანამშრომლები ადევნებდნენ თვალს. რომ ნახეს, რასაც აკეთებდნენ, საშუალება მიეცათ, "დაევერბოვკებინათ", წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერს ვიტყვით, რასაც აკეთებდითო.**

**მე მაშინ ჯერ კიდევ აფხაზეთში ვიბრძოდი. თუმცა, მომიწია წინა ხაზის მიტოვება და რიგი დევნილებისთვის დახმარების გაწევა. ერქვანია და სხვები რას არ ჰპირდებოდნენ ხალხს, ოღონდ თქვენ კვიციანი და მისი ბანდა მოგვაშორეთო. ჩვენ ბანდა ვართ არა მარტო მათთვის, ვინც, აფხაზების მხარეს იბრძვის, არამედ - საქართველოშიც რიგი ადამიანებისთვის.**

**მერე უკვე, მე ორი წლის მანძილზე კოდორში არ ვიყავი – ხეობა ხელისუფლებას ჩავაბარე, რომელმაც, თავის მხრივ, აქცენტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აფხაზეთის მთავრობაზე გააკეთა – სწორედ მათ გადასცა კოდორი სამართავად. ისინიც, ადგნენ და ერთ მუშტად შეკრული ხეობა შვიდ ნაწილად დაყვეს. დაშალეს ბატალიონები, ხალხი უხელფასოდ და უსახსროდ დატოვეს. შემოიყვანეს შინაგანი ჯარი, რომელშიც სწორედ ეს "დავერბოვკებული" ხალხიც შეიყვანეს, უღელტეხილზე რომ ყაჩაღობდნენ. ამის გამო იყო, უბედურებები რომ დატრიალდა – ხელფასზე ყაჩაღების დასმა უსახსროდ დარჩენილმა მებრძოლებმა ვერ აიტანეს, ამას მოჰყვა მკვლელობები. ადამინების ერთმანეთის წინააღმდეგ ხელოვნურად წაქეზებით ზედიზედ 52 მკვლელობა მოხდა. უახლოესი ჩემი თანამებრძოლები მოაკვლევინეს, მაშინ კი მივხვდი, რომ უნდა ჩამოვსულიყავი. ჩამოვედი და გამოვრეკე თარგამაძის დამქაშები. ამიტომ იყო, ის რომ მებრძოდა და ახლაც ვერ ჩერდება მისი ხალხი.**

**რაც შეეხება ბატალიონ "მონადირეს", ამ კარგ საქმეს მართლაც ჩაუყარა პრეზიდენტმა საფუძველი და მასში მართლაც 800 კაცი ირიცხება. აქედან ერთი ასეული მესტიის რაიონშია, უბრალოდ, მე დამიქვემდებარეს. 150 წვევამდელი გვყავდა, "მონადირეში" 130 ქალია გაერთიანებული. ასევე არიან ადამიანები, რომლებიც მთელი წლის მანძილზე, მართალია, კოდორში არ იმყოფებიან, მაგრამ ზაფხულის პერიოდში მაინც გვიდგანან გვერდში და "მონადირის" რიგებში მათი ყოფნა ერთი ბერკეტია იმისათვის, რომ ისინი ბრუნდებიან.**

**თუმცა კი, ჩემ წინააღმდეგ აგორებულმა კამპანიამ მაინც გააკეთა თავისი საქმე - მე გუშინ ვიყავი გენერალური შტაბის უფროსთან, რომელმაც "მონადირის" შტატების შეკვეცა მომთხოვა. კი, ბატონო, დავთანხმდი, მაგრამ ისინი, ვინც ამ შემცირებას თავისი უკეთური ქმედებებით მიაღწიეს, სად წაუვლენ ლუკმაპურის გარეშე დარჩენილი ადამიანების რისხვას. მაგალითად, "მონადირის" წევრ ერთ ქალს 15 შვილი ჰყავს.**

**თარგამაძე შევარდნაძესთანაც ძალზე ნაყოფიერად მუშაობდა ჩემს წინააღმდეგ. თუნდაც, ჩეჩნების აფხაზეთში გადასხმა რომ გავიხსენოთ. მაშინ პრეზიდენტმა, პირად საუბარში, ყველაფერი მე და დავით თევზაძეს დაგვაბრალა, მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, თარგამაძემ რომ გადაიყვანა ის ხალხი შინაგანი ჯარის მანქანებით. ასე შემოიყვანეს ჩეჩნები პანკისშიც.**

**ახლა თარგამაძე აღარ არის, მაგრამ აფხაზურ-რუსული ინტერესები ძველებურად რჩება.**

**მოკლედ, ხალხი, რომელიც დღეს მიპირისპირდება, ძველი გეგმის განხორციელებას აგრძელებს. მათ სურთ, კოდორის ხეობა რუსეთს ჩააბარონ.**

**საქმის ვითარება ასეთი გახლავთ. გადაწყვეტილების მიღება კი ახალი ხელისუფლების საქმეა – თუ მეტყვიან, ორივე სამსახურიდან დღესვე გადავდგები".**

*ჩაიწერა*
*სოფიკო ჩხაიძემ*




# დავით სარაჯიშვილის ანდერძი

*მაჩაბლის ქუჩაზე, 13 ნომერში მდებარე დავით სარაჯიშვილის სახლი (სადაც ამჟამად მწერალთა კავშირია) ამ ბოლო დროს განსაკუთრებით დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ამასთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ ნაწყვეტს წიგნიდან "დავით სარაჯიშვილი", რადგან, ალბათ, უმჯობესი იქნება, მეცენატის უკანასკნელი ნება ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილი იყოს.*



### გულუხვი საჩუქარი ქალაქს

*(წიგნიდან "დავით სარაჯიშვილი", 1911 წელი, გვ. 246)*

მიიღეს რა ღრმა თანაგრძნობა, რომელიც გარდაცვლილის ქვრივსა და ნათესავებს ქალაქის სახელით ქალაქის თავმა ა. ი. ხატისოვმა და გამგეობის წევრებმა, თავადებმა ა. მ. არგუტინსკიმ, ნ. პ. კოვჩაევმა და გ. დ. ჟურულმა მოახსენეს, 21 ივნისს, სამშაბათს, დ. ზ. სარაჯევის ქვრივმა, ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯევამ და განსვენებულის ანდერძის თანახმად მისმა ანდერძის აღმსრულებელმა, ა. პ. სარაჯევმა, ქალაქის სამმართველოს გარდაცვლილის ხსოვნისთვის მადლობა მოახსენეს და ქალაქის თავსა და გამგეობის წევრებს განუცხადეს, რომ გარდაცვლილმა თავისი ნება გამოთქვა და ქალაქ თბილისის განკარგულებაში გადასცა სერგიევის ქუჩაზე მდებარე თავისი სახლი, მასში არსებული მთელი ავლა-დიდებით: ნახატებით, ავეჯით და მხატვრული ნივთებით.

განსვენებულმა გამოთქვა სურვილი, რომ ამ სახლში ქალაქის მიერ გაიხსნას **კუსტარული ხელობის მუზეუმი ან სურათების გალერეა,** ან ორივე დაწესებულება ერთად. სიცოცხლის განმავლობაში კი სახლით სარგებლობის უფლება ქვრივს ეძლევა.

გარდაცვლილის ნების მოსმენის შემდეგ, ქალაქის თავმა და გამგეობის წევრებმა ამ ცნობისთვის ულრმესი მადლობა მოახსენეს გარდაცვლილის ქვრივს, ეკატერინე ივანეს ასულს, და თავის მხრივ განაცხადეს, რომ ამ გულუხვი და საგანმანათლებლო სახის საჩუქრის შესახებ ქალაქის სათათბიროს მოახსენებენ, რომლის გადაწყვეტილებაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რა საშუალებით მოხდება დაუვიწყარი დავით ზაქარიას ძის ხსოვნის უკვდავყოფა.

### დავით სარაჯიშვილის საზოგადოების მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო!

დავით სარაჯიშვილის საზოგადოება ვალდებულებას იღებს, დღემდე კერძო კოლექციებიდან თუ ე.წ. "მშრალი ხიდის" ბაზრობიდან შეძენილი სარაჯიშვილისეული საგნები უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს, იმის მყარი გარანტიით, რომ ექსპოზიციის დაცვაზე იზრუნებს არა რომელიმე შემოქმედებითი ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფო.

გთხოვთ, ჩვეული გულისხმიერებით გადაწყვიტოთ ზემოხსენებული საკითხი.

*"დავით სარაჯიშვილის საზოგადოების" სახელით პრეზიდენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მოქანდაკე*
***თენგიზ კიკალიშვილი***

### ტყე-პარკი ვაზისა და ღვინის სასახლე-მუზეუმის ნაცვლად

თბილისში რიყის ტერიტორიაზე „ქართული ვაზისა და ღვინის სასახლე-მუზეუმი" აღარ აშენდება. ამის შესახებ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განკარგულება უკვე გამოსცა.



**Щедрый даръ городу.** 21 іюня, во вторникъ, вдова Д. З. Сараджева, Екатерина Ивановна Сараджева и душеприказчикъ по завѣщанію покойнаго, А. П. Сараджевъ, выслушавъ выраженіе глубокаго соболѣзнованія, высказанное вдовѣ и родственникамъ покойнаго отъ лица города городскимъ головой А. И. Хатисовымъ и членами управы кн. А. М. Аргутинскимъ, Н. П. Ковчаевымъ и Г. Д. Журули, выразили свою признательность за вниманіе городского управленія къ памяти покойнаго и объявили городскому головѣ и членамъ управы, что покойный выразилъ свою волю, передать въ распоряженіе города Тифлиса свой домъ, находящійся на Сергіевской улицѣ, со всей имѣющейся въ немъ обстановкой: картинами, мебелью и художественными предметами.

Покойный высказалъ пожеланіе, чтобы въ этомъ домѣ городомъ былъ открытъ кустарно-ремесленный музей или картинная галлерея, или оба учрежденія вмѣстѣ. Пожизненно-же домомъ имѣетъ пользоваться вдова.

Выслушавъ волю покойнаго, городской голова и члены управы выразили глубочайшую признательность вдовѣ покойнаго Екатеринѣ Ивановнѣ за сообщеніе и заявили съ своей стороны, что доложатъ объ этомъ щедромъ и просвѣщенномъ дарѣ городской думѣ, отъ рѣшенія которой будетъ зависѣть избраніе способа увѣковѣченія памяти незабвеннаго Давида Захарьевича.

დავით სარაჯიშვილის საერთაშორისო ფონდმა, რომლის ხელმძღვანელიც ბიზნესმენი ელგუჯა ბუბუტეიშვილი გახლავთ, რიყის ტერიტორიის 6000 კვადრატული მეტრი 2003 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ 6 ნოემბერს ხელმოწერილი განკარგულების საფუძველზე შეიძინა. დავით სარაჯიშვილის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია სარაჯიშვილის ფონდს, პირდაპირი განკარგვის წესით (ნორმატიულ ფასში), პირად საკუთრებაში გადაეცა. ამ ტერიტორიაზე სარაჯიშვილის ფონდს ქართული ვაზისა და ღვინის სასახლე-მუზეუმი და ძირითადი და დამხმარე ობიექტები უნდა აეშენებინა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ობიექტები, რომელთა აშენებას სარაჯიშვილის ფონდი რიყეზე აპირებდა, ჩვეულებრივი რესტორნებისგან დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო.

საკრებულოს წევრებმა და არქიტექტორებმა თავის დროზე მიმართეს შევარდნაძეს აღნიშნული განკარგულების გაუქმების მოთხოვნით, თუმცა პრეზიდენტმა ეს მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ თბილისის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ დათო იოსელიანმა აღნიშნული საკითხი საკრებულოს სხდომაზე 13 თებერვალს კიდევ ერთხელ დააყენა. **"რიყე ისტორიული მნიშვნელობის ადგილია და იგი ყოველგვარი კანონიერი ნორმების იგნორირებით სარაჯიშვილის ფონდს გადაეცა, თანაც ეს ფარულად მოხდა,"** – აღნიშნავს იოსელიანი, რომლის ინიციატივით თბილისის საკრებულომ შევარდნაძის 6 ნოემბრის განკარგულების გაუქმება ამჯერად სააკაშვილს მოსთხოვა. საკრებულოს თხოვნა სააკაშვილმა ერთი კვირის ვადაში შეასრულა.

**"ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ითანამშრომლოს დედაქალაქის საკრებულომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან. პრეზიდენტმა საკმაოდ სწრაფი რეაგირება მოახდინა საკრებულოს კანონიერ მოთხოვნაზე,"** – აცხადებს იოსელიანი, რომელმაც მადლობა გადაუხადა სააკაშვილს შევარდნაძის განკარგულების გაუქმებისთვის. მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება **"კერძო კაპიტალთა ბრძოლა კი არა, თბილისის გადარჩენაა."**

საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის თქმით, **"უკვე დამთავრდა ის დრო, როცა საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებდა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება კი ამ გადაწყვეტილებებს უსაფუძვლოდ უარყოფდა."**

როგორც ბეგაშვილი აცხადებს, კათოლიკოს-პატრიარქის დიდი სურვილი ყოფილა რიყის ამ მონაკვეთზე ტყე-პარკი აშენდეს. **"ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს და ძალიან მოგვწონს ეს იდეა,"** – აცხადებს ბეგაშვილი.

*24 საათი*



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# მთავარია, მთავრობამ ხელი არ შეგვიშალოს

სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, ნოსტალგია და მასზე ზრუნვის სიამოვნება შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ რეალურად ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად ისევ რჩება

თამარ ხორბალაძე

*"მრავალი ჩვენგანი ბედისა თუ უბედობის გამო უცხოეთში აღმოჩნდა. ზოგიერთმა თავისი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით დიდ წარმატებას მიაღწია, ზოგიც ნაკლებად იღბლიანი აღმოჩნდა. მაგრამ, ალბათ, ჩვენ ყველას ერთი რამ გვაერთიანებს. ეს არის სიყვარული ჩვენი სამშობლოსადმი, მისი მონატრება და მუდმივი ფიქრი მის ბედ-იღბალზე." - ასე იწყება მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი, რომლის მიზანიც 9-12 ივლისს ქართულ სათვისტომოთა ფორუმზე მოწვევა გახლავთ. ფორუმის იდეის ერთ-ერთი ავტორი და მისი ორგანიზატორი, აშშ-ში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო საზოგადოება "კვალის" პრეზიდენტი შოთა ვაშაკიძეა. "24 საათი" მას აშშ-ში დაუკავშირდა და ინტერვიუ ჩამოართვა.*

**- ბატონო შოთა, რა არის ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა შეხვედრის მთავარი მიზანი? რა შედეგებს ელით ამ შეხვედრისგან?**

- ფორუმის მთავარი მიზანია, გაიმართოს საქმიანი დიალოგი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს უცხოეთში არსებული ცოდნისა და გამოცდილების სწრაფი და ეფექტური გადმოტანა საქართველოში და მისი შერწყმა საქართველოში არსებულ ჩვევებთან და ტრადიციებთან.

მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პედაგოგები, მედიკოსები, ადმინისტრატორები და ბიზნესმენები. ფორუმი მიეძღვნება განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და მედიცინის საკითხებს.

როგორც გამოირკვა, ყველაზე მეტი წარმატებული პროფესიონალი ქართულ დიასპორებს სწორედ მეცნიერებასა და მედიცინაში ჰყავს. ოთხი დღის განმავლობაში ვისაუბრებთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების თანამშრომლობის პერსპექტივები და მეთოდები; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების როლი ეკონომიკის განვითარებაში; უცხოური სამედიცინო მომსახურება და მისი საქართველოსთან ადაპტაციის საშუალებები; დაფინანსების საკითხები და სხვა.

თემების სია გამოქვეყნებულია და რეგულარულად განახლდება "კვალი"-ს ვებ გვერდზე (www.kvali.org/forum). აქვეა სარეგისტრაციო ფორმები. ამჟამად მიმდინარეობს თემებისა და მომხსენებლების შერჩევა, რაც რამდენიმე კვირას გასტანს.

თბილისის ფორუმი შეეცდება, შემუშავდეს საქართველოსთან უცხოეთის თანამშრომლობის გეგმა და დასაბამი მიეცეს ახალი ტიპის პროექტების განხორციელებას. გამოიკვეთება რამდენიმე პროექტი განათლებაში, გამოყენებით სამეცნიერო კვლევებსა და მედიცინაში. ჩვენ უკვე გვაქვს წინასწარი მოსაზრებები ამ პროექტების შესახებ, მათი იმპლემენტაციის, მართვის, დაფინანსებისა და მენეჯმენტის შესახებ. მაგრამ ამის თაობაზე განცხადებები გაკეთდება ფორუმის ბოლო დღეს, მას შემდეგ, რაც მონაწილეები იმსჯელებენ და თავიანთ მოსაზრებებს შეაჯერებენ. შემდეგ კი დავიწყებთ ამ პროექტების განხორციელებას.

**- სად გაიმართება ფორუმი? ვინ დააფინანსებს მას? რა კრიტერიუმებით შეირჩევიან ფორუმის მონაწილეები?**

- ალბათ, ასეთი ფორუმის გამართვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება. უნივერსიტეტი ხომ ქართული განათლების და მეცნიერების კერაა და, ამავე დროს, დიასპორის საქართველოში დაბრუნების სიმბოლოცაა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს პრობლემა საქართველოში დღესაც ძალიან მწვავედ დგას. მე მქონდა საუბარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ როინ მეტრეველთან და წინასწარი შეთანხმება ამ ფორუმის უნივერსიტეტში ჩატარების შესახებ, უკვე არსებობს. ამერიკაში მყოფი მეცნიერებისა და მედიკოსების უმრავლესობაც ამ იდეას უჭერს მხარს.

ფორუმის დაფინანსებისთვის ერთი გამოკვეთილი წყარო არ არსებობს. ქველმოქმედება იქნება მისი დაფინანსების მთავარი წყარო. ბევრი მეცნიერი საკუთარი სახსრებით ჩამოვა საქართველოში. ასე რომ, დაფინანსების დიდ ნაწილს უცხოეთიდან ველით. ამას გარდა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქართული ბიზნესკომპანიებიც აღმოგვიჩენენ მხარდაჭერას. ჩვენ გვინდა, რომ ფორუმის დროს თანამშრომლობისა და თანადგომის განწყობა შეიქმნას და რაც შეიძლება მეტი ორგანიზაცია იყოს მისი დამფინანსებელი.

ფორუმის შესახებ თებერვლის შუა რიცხვებში გამოცხადდა და ამ ეტაპზე ჩვენ არ ვზღუდავთ მონაწილეთა რაოდენობას. ამერიკაში ქართველი მედიკოსებისა და მეცნიერების სია საკმაოდ შთამბეჭდავია - მათი რიცხვი უკვე სამ ასეულზე მეტია. რამდენი მათგანი მოახერხებს თბილისში ჩამოსვლას, ჯერ მიჭირს თქმა. წინასწარი თანხმობა საკმაოდ ბევრმა განაცხადა. დავუკავშირდით, ასევე, დიასპორებს საფრანგეთსა და გერმანიაში. რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ნაწილიც ინფორმირებულია ფორუმის შესახებ. უკვე დარეგისტრირდნენ საქართველოში მოღვაწე სპეციალისტები. მათ გარდა, ვიწვევთ უცხოელებსაც. ფორუმზე მოხსენებებით გამოსვლის სურვილი გამოთქვეს საქართველოში ცნობილმა პროფესორებმა ჯიმ გეიტსმა, სტივენ ჯონსმა, დიანა ჰოლისკიმ, კენ ვოლკერმა.

**- რა სახით შეიძლება მიიღოს ქართულმა ემიგრაციამ მონაწილეობა ახალი საქართველოს მშენებლობაში? რა სფეროებში და რა ფორმით შეიძლება დაეხმაროს ქართული ემიგრაცია თავის ქვეყანას?**

- მე ქედს ვიხრი ჩვენი წინაპრების პატრიოტიზმის წინაშე. როდესაც ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების იდეა გაჩნდა, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ამ წამოწყებას სიხარულით გამოეხმაურა. დღეს ჩემთვის წარმოუდგენელია, მაშინდელი ტრანსპორტის და კომუნიკაციების პირობებში როგორ შეასხეს ხორცი ამ იდეას, როგორ მოახერხეს თბილისში დაბრუნება და თავიანთი პროფესიონალური საქმიანობის წარმატებით აწყობა. ბევრმა მათგანმა უზრუნველყოფილი ცხოვრება და კარგი სამუშაო პირობები მიატოვა უცხოეთში და სამშობლოს დაუბრუნდა.

დღეს ქართულ ემიგრაციას საკმაოდ ეფექტურად შეუძლია დაეხმაროს საქართველოს და ზუსტად ამ დახმარების გზების დასახვა იქნება ფორუმის მსჯელობის ძირითადი საკითხი. როგორც ადრე მოგახსენეთ, დღეს უცხოეთში მოღვაწეობენ ქართველები, რომლებიც მზად არიან საქართველოში დაბრუნდნენ. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება, სამშობლოში დაბრუნების ეს სურვილი მათი ახალგაზრდული პატრიოტიზმითა და ნოსტალგიით იყოს გამოწვეული, მაგრამ ბევრ მათგანს დაბრუნება ნამდვილად აქვს გადაწყვეტილი და დაბრუნდება კიდეც. ამის ერთეული მაგალითები საქართველოში ადრეც იყო. სამწუხაროდ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ბევრმა ემიგრანტმა ვერ მოახერხა თავისი პროფესიონალური ცოდნის ეფექტურად გამოყენება. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ უცხოეთში ცხოვრების შედეგად ახალგაზრდები კარგავენ საქართველოში ადაპტაციის უნარს და, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალურად საქართველოში მცხოვრებ თანატოლებს ბევრად აღემატებიან, სამშობლოში დაბრუნებულები საკმაოდ უმწეოდ და უსუსურად გამოიყურებიან. ფორუმის ერთ-ერთი მთავრი ამოცანა იქნება შემუშავდეს პროფესიონალების საქართველოში დაბრუნების გეგმა და დაისახოს რამდენიმე კონკრეტული პროექტი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცევა უცხოეთში დარჩენილი სპეციალისტების თანამშრომლობას ამ პროექტებში.

თანამედროვე ინფორმაციის ტექნოლოგიების პირობებში, ხშირად აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ სად იმყოფები. ჩემი გამოცდილებით თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ თუ თანამშრომლობის სურვილი არის, ხშირ შემთხვევაში უცხოეთიდან არანაკლების გაკეთება შეიძლება, ვიდრე საქართველოში ყოფნით. ფორუმის ბჭობის ერთ-ერთი საგანი ესეც იქნება – როგორ დაბალანსდეს და გადანაწილდეს ფუნქციები და ვალდებულებები საქართველოსა და უცხოეთში მყოფ პროფესიონალებს შორის.

ქართულ ემიგრაციას პრაქტიკულად ყველა სფეროში შეუძლია საქართველოს დახმარება. ამერიკაში საკმაო რაოდენობით არიან ქართველი ბიზნესმენები, ფინანსისტები, ადმინისტრატორები და სხვა სპეციალისტები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ყველა წარმატებულ ქართველს ჰყავს თავისი ნაცნობების წრე, რომლებიც ხშირად საკმაოდ დადებითად არიან განწყობილნი საქართველოს მიმართ. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია. ფორუმის მონაწილეთა დიდი ნაწილი სწორედ ის უცხოელები არიან, რომლებიც ამ ფორუმზე საქართველოში ჩამოვლენ, როგორც ქართველ ემიგრანტთა კოლეგები, მეგობრები თუ ნაცნობები, რომლებიც მზად არიან ჩვენს ქვეყანას ყველანაირად დაეხმარონ. ამას რომ სისტემატური ხასიათი მიეცეს, საჭიროა, მოხდეს გრძელვადიანი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება. ფორუმის დროს ამ საკითხებზეც ვიმსჯელებთ.

**- იქნებ უფრო კონკრეტულად გაგვაცნოთ თვითონ ფორუმის თემატიკას.**

- ამერიკაში, როდესაც უმაღლეს განათლებაზე ვსაუბრობთ, სწავლასთან ერთად ასევე იგულისხმება სამეცნიერო კვლევები, სამეცნიერო კვლევებს კი საკმაოდ პრაგმატული ფუნქცია აქვთ. თანამედროვე ტექნოლოგიების ბუმი ამერიკაში უნივერსიტეტებიდან ინდუსტრიაში "გამოჟონილმა" სამეცნიერო კვლევებმა განაპირობეს. ამერიკის ყველა წამყვან უნივერსიტეტთან იქმნება პროფესიონალური კვლევითი ცენტრები, რომლებიც დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ, მაგრამ ამავე დროს, იყენებენ უნივერსიტეტების ინტელექტუალურ რესურსებს. ერთი სიტყვით, ამერიკაში ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სტიმული უმაღლესი სასწავლებელია. მეორე მხრივ, ინდუსტრია აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს და უშუალოდ არის დაინტერესებული უნივერსიტეტების განვითარებაში. ეს შეეხება სამედიცინო მომსახურებასაც, რომელიც ერთდროულად, მეცნიერებაც არის და ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი ინდუსტრიაც. მედიცინასთან დაკავშირებით ასევე უნდა მოიაზრებოდეს რადიოლოგია, ბიოლოგია და ფარმაკოლოგია.

ძალიან დიდია ასევე უნივერსიტეტების როლი სამთავრობო სექტორშიც. უნივერსიტეტები აწარმოებენ სოციალურ და დემოგრაფიულ კვლევებს, აანალიზებენ კანონმდებლობას და ქმნიან სამეცნიერო ბაზას, რათა გამოირიცხოს აბსურდული და ურთიერთგამომრიცხავი კანონები; აწარმოებენ ეკონომიკურ კვლევებს, მუშაობენ სამთავრობო ეკონომიკურ პროგრამებზე და მრავალ სხვაზე. უნივერსიტეტები არიან მთავრობის ექსპერტ-კონსულტანტები. ამერიკაში ასეთ განყოფილებებს "Think tank"-ებს უწოდებენ და მათ განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ფორუმის დროს გარკვეული დრო დაეთმობა ამ საკითხებზე მსჯელობასაც. კერძოდ, ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების განვითარება უმაღლესი სასწავლებლების აქტიური მონაწილეობით; გვინდა, აგრეთვე, ვიმსჯელოთ თანამედროვე ეკონომიკური განათლების პრობლემებზეც.

**- რატომ გაჩნდა ასეთი ფორუმის ჩატარების იდეა დღეს - საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღეს რეალური წინაპირობები არსებობს ქართული ემიგრაციის როლის გასაძლიერებლად?**

- ფორუმის ჩატარების იდეა გაჩნდა ორი წლის წინ. გვქონდა შეხვედრები და საუბრები, მაგრამ პოლიტიკური და სხვა გარემოებების გამო ფორუმის გამართვა არ ხერხდებოდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქართულ ემიგრაციაში გაჩნდა იმედის ნაპერწკალი და ხალხს საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილი გაუძლიერდა. ახლა მთავარია, ეს მომენტი სწრაფად და ეფექტურად გამოვიყენოთ.

ემოციურის გარდა, სხვა წინაპირობაზე საუბარი ჯერ მიჭირს. შარშან საქართველოს ხელისუფლებამ (პარლამენტმა), დიდი დებატებისა და დაპირისპირებების შედეგად, მიიღო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნის კანონპროექტი. ჯერჯერობით, ამ გარდაქმნების ამოქმედების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მაქვს.

გარდა ამისა, საქართველოში დასაბრუნებლად არა წინაპირობები, არამედ პირობები უნდა იყოს შექმნილი. პირობებს კი მარტო მთავრობა არ ქმნის. ეს გაცილებით უფრო რთული და გრძელვადიანი საქმეა, რომელშიც საზოგადოების ყველა ფენა უნდა იყოს ჩართული. მაგალითად, ამერიკიდან ჩამოსულ მედიკოსებს შეუძლიათ ჩამოიტანონ აპარატურა, მედიკამენტები, რაღაც თანხებიც კი მოიძიონ, მაგრამ მათთვის რთული იქნება გადაჭრან ენერგო და წყლით მომარაგების პრობლემა, გააუმჯობესონ სოციალური გარემო. ფორუმის დროს ჩვენ შევეცდებით, მოვძებნოთ არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი და კომპრომისები. გამოუვალი მდგომარეობები არ არსებობს.

**- რა როლს აკისრებთ საქართველოს მთავრობას?**

- ამერიკაში ამ შეკითხვაზე სტანდარტული პასუხი არსებობს: მთავარია, მთავრობამ ხელი არ შეგვიშალოს. ამაში არის რაციონალური მარცვალი, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება. როდესაც საქართველოსთან ერთობლივ პროექტებზე ვსაუბრობთ, ქართული მხარე ხშირად თავისი თანამშრომლობის სიძლიერის დასამტკიცებელ არგუმენტად იშველიებს იმას, რომ იგი შესაბამის მინისტრს ან მაღალჩინოსანს იცნობს. ყველა საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ ურთიერთობას სამთავრობო ორგანიზაციებთან, მაგრამ, ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ სამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩარჩოები. "მე მინისტრს ვეტყვი და ყველაფერი კარგად იქნება!" - ეს მენტალიტეტი ბადებდა საქართველოში კორუფციას და მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თუნდაც იმის შეგრძნება, რომ "კრიშის" სინდრომი წარსულს ჩაბარდა, მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოსთან თანამშრომლობის მსურველთა რიცხვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში დაბრუნების მოტივაცია უფრო მაღალი იქნება, თუ შეიქმნება კანონმდებლობა, რომელიც რეალურად დაიცავს დაბრუნებულ ქართველ ემიგრანტს და ჩაენაცვლება პირადულ პროტექციონიზმს. ამ მიმართულებით საქართველოში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სანამ ეს მდგომარეობა არ შეიცვლება, ალბათ, მხოლოდ უცხოეთიდან ძლიერი მხარდაჭერის ხარჯზე შეიძლება მოხდეს სამშობლოში ქართველი პროფესიონალების რეპატრიაცია.

რახან მოტივაციას შევეხეთ, არ შემიძლია ამ კონტექსტში არ აღვნიშნო საკმაოდ ნეგატიური იდეოლოგიური გარემო, რომელიც საქართველოში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა.

განვითარებულ ქვეყნებში უაღრესად ფასობს ადამიანის ნიჭი და მაღალი პროფესიონალიზმი. ამ საზოგადოებებში განსაკუთრებულად ნიჭიერ ხალხს გამოყოფენ და სპეციალურ პირობებს უქმნიან, რათა მათ თავიანთი ინოვაციური აზროვნებით განსაზღვრონ ახალი მიმართულებები ტექნოლოგიებში, მეცნიერებასა თუ ეკონომიკაში. საზოგადოებამ იცის, რომ ასეთი გამორჩეული ხალხის ნაყოფიერი შრომით მიიღწევა წარმატება, რომლის მოწილეც მთელი საზოგადოებაა. ასეთია შემოქმედი საზოგადოების გამარტივებული იდეოლოგიური მოდელი.

სამწუხაროდ, საქართველოში გაბატონებულია მომხმარებლური ფსიქოლოგია. ასეთ საზოგადოებებში თანამდებობა ემსახურება ადამიანს და არა - ადამიანი თანამდებობას. პოსტი არის ჯილდო და არა - სამსახურებრივი ვალდებულება და პასუხისმგებლობა. აზრი ეკარგება პროფესიონალიზმს და ჩნდება უსაფუძვლო, დესტრუქტიული ამბიციები. ყველაფერი ეს აისახება იმაში, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ხშირად ესმით მოწოდება სამშობლოში დაბრუნების შესახებ, მაგრამ რეალურად მათი სამშობლოში დაბრუნება ხშირად აღიქმება, როგორც არასასურველი კონკურენცია.

ფორუმის მომზადების პერიოდში ჩვენ გვქონდა საუბარი ამ თემაზე და, ალბათ, გავაგრძელებთ ამ მიმართულებით ფიქრს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ასეთი მაგალითიც იყო მოყვანილი: სამსახურში აყვანაზე უარი უთხრეს ამერიკაში რეზიდენტურადამთავრებულ ექიმს, იმ მოტივით, რომ მას საქართველოში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. მოგვიანებით, ეს ახალგაზრდა ამერიკაში დაბრუნდა.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, მოვდივართ თბილისში, ვაწყობთ ფორუმს და იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ თანამშრომლობის პროექტების განხორციელებას. ალბათ, დაგებადებათ კითხვა, თუ რით არის გამაგრებული ასეთი ოპტიმიზმი.

1. პირველ რიგში, უცხოეთში შეიქმნა ის კრიტიკული მასა, რომელიც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს.

2. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს განვითარებაში ქართულმა დიასპორამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი. მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე, ვერ მოხერხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ინტეგრაცია.

3. დაგროვდა საკმაო გამოცდილება უცხოეთიდან საქართველოს დახმარებისა.

4. დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი – სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, ნოსტალგია და მასზე ზრუნვის სიამოვნება შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ რეალურად ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად ისევ რჩება.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*შოთა ვაშაკიძე "24 საათის" რედაქციაში, 2003წ. თებერვალი.*





## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
გუგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"ზეწოლა"
რეჟისორი: ზურაბ ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუთაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა თაბუკაშვილი
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გ. თავაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"სტალინი"
კითხულობს: კოტე მახარაძე (ვიდეოჩვენება)
დას: 18:00 სთ.

**მუსიკალური თეატრი**
პრემიერა
"ქუთათურთა ფანდები"
დას: 18:00 სთ.

**ცირკი**
მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

### გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**"ორიენტი"**
ორგანიზაცია "ბავშვი და გარე სამყაროს"
საქველმოქმედო გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დამსახურებული მხატვრის, ავთო მოსიაშვილის ნამუშევრების
პერსონალური
გამოფენა

**N გალერეა**
ფოტოსააგენტო "პატკერფოტოს" ფოტოგამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# წარსულის საბუთად

## ალექსანდრე როინაშვილის თვალით დანახული საქართველო

ნანა ბასილაშვილი

*მარადიულად ქცეული 1800-იანი წლების საქართველო, შუა აზია, კავკასია, მათი ხალხებისა და ქალაქების ისტორია, პირველმა ქართველმა მესურათხატემ ალექსანდრე როინიშვილმა საკუთარი ფოტოების სახით გააუკვდავყო. მისივე მეცადინეობით, მთელი თავისი მემკვიდრეობა (თუმცა ჩვენივე გამოისობით არასრული) დღეს შთამომავლობისთვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომია. ალექსანდრე როინაშვილის რამდენიმე ფონდისა და კერძო პირის ფოტოარქივები (თბილისის ისტორიის მუზეუმის ფონდი, საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდი, საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ფონდი და სამი კოლექციონერის: მაია ივანიშვილის, დავით კაკაბაძის ოჯახის და არჩილ დარჩიას კერძო საკუთრება), ახლა უკვე ერთ წიგნშია – "ალექსანდრე როინაშვილი" - თავმოყრილი. ფოტოალბომის პრეზენტაცია გუშინ თბილისის სახელმწიფო მუზეუმში, ალექსანდრე როინაშვილის ფოტონამუშევრების ორიგინალებისა და რეპროდუქციების გამოფენაზე მოეწყო.*



გამოფენაზე

ქართული ვიზუალური ხელოვნების ფუძემდებლის, ალექსანდრე როინაშვილის უნიკალური ფოტოარქვის გამოფენისა და მისი ფოტოალბომის ავტორი "ქარვასლის" დირექტორი ლიკა მამაცაშვილია. "ფოტოგრაფიით ძალიან დაინტერესებული ვარ, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გამეკეთებინა ქართულ ფოტოგრაფიაზე რაიმე მნიშვნელოვანი. მოგეხსენებათ, რომ ქართული ფოტოგრაფიის მამამთავარი სწორედ მესურათხატე ალექსანდრე როინაშვილი გახლავთ. ჩემი სურვილი იყო, რომ მისი უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა უფრო თვალსაჩინო გამეხადა", - ამბობს ლიკა მამაცაშვილი.

ალექსანდრე როინაშვილი (მისივე თქმით) "წარსულის საბუთად", ქმნიდა ცნობილი ქართველი მწერლების უნიკალურ პორტრეტებსა და ფოტოსურათებს: "სამხედრო გზა", "საქართველოს ისტორიული ძეგლები", "ქართველები", "ძველი თბილისი", "შუა აზია", "სომხეთი", "ეთნიკური ტიპები", ბეჭდავდა შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, მეფე ერეკლეს ფოტორეპროდუქციებს, შეგროვებული




წიგნის ყდა

აქვს ისტორიული, ეთნოგრაფიული ნივთები.

პირველი ქართველი მესურათხატე 1846-1898 წლებში მოღვაწეობდა და ამ ხნის განმავლობაში მან მთელი ისტორია შექმნა: გახსნა რამდენიმე ფოტოსალონი, შექმნა საკუთარი სახელოსნო, სადაც ობოლ და უპატრონო ბავშვებს ფოტოხელოვნებას ასწავლიდა, მის მიერ შექმნილი ეთნოგრაფიული და ავტოგრაფიული ნივთების კოლექციები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს საუკუნის ნივთებსა და მონეტებს შეიცავდა: მოგვიანებით მათი კატალოგიც შეადგინა. შექმნილი აქვს ისტორიული ძეგლებისა და კავკასიური ტიპების ალბომები. ასტრახანში, მოსკოვსა და პეტერბურგში მოძრავი მუზეუმი და გამოფენა მოაწყო. აგროვებდა ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს, ეხმარებოდა ქალთა ორგანიზაციებს; მუდმივ მეცენატობას უწევდა ქართულ თეატრს და რეპეტიციებისთვის საკუთარ სახელოსნოს უთმობდა. შექმნა ქართული ეროვნული მუზეუმის პროექტი, რომელიც უსახსრობის გამო ველარ განახორციელა.

ალექსანდრე როინაშვილის საოცარი კომპოზიციური წყობით გამორჩეული 100 ორიგინალი და 130 ფოტორეპროდუქცია "ქარვასლაშია" გამოფენილი. ასევე ორიგინალი მუზეუმის საკუთრებაა და სამომავლოდ მისი მოგზაურობა იგეგმება. რაც შეეხება ფოტოალბომს, მისი გამოცემა ლიკა მამაცაშვილმა მხოლოდ გამომცემლობა "ლიტერას" "ანდო". კატალოგში დეტალურადაა აღწერილი ალექსანდრე როინაშვილის ბიოგრაფია. წიგნში სულ 399 ფოტოა შესული.

ყოველივე ეს ალექსანდრე როინაშვილის შემოქმედების მცირედი ნაწილია. მან თავისი უმდიდრესი მემკვიდრეობა ანდერძით "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა", რამაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ფოტოატელიეები, როგორც წამგებიანი, დაიხურა, ნეგატივების ნაწილი გაიყიდა ან დაიფანტა, სამუზეუმო ნივთების კოლექცია სხვადასხვა მუზეუმში დანაწილდა. ფოტოარქივის გადარჩენილი ნაწილი კი ბოლოს ფოტოხელოვან დიმიტრი ერმაკოვს გადაეცა "სარესტავრაციოდ, სამუშაოდ და შესანახად". სწორედ ამიტომ შეერია ერთმანეთს ერმაკოვისა და როინაშვილის ნეგატივები და დიდი ხნის განმავლობაში როინაშვილის ფოტოების გარკვეული ნაწილის ავტორებად შეცდომით ერმაკოვს თვლიდნენ. თუმცა, ერმაკოვის კოლექციაში გაერთიანებული როინაშვილის ნეგატივები და რამდენიმე სხვა ფოტოხელოვანის მემკვიდრეობა, რომელიც დღეს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საკუთრებაა, კვლავ შერეულია და ავტორების დადგენას საჭიროებს.

# კინომსახიობთა თეატრი სეზონს ხსნის

რეკონსტრუირებული მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი 6 მარტს სეზონს სპექტაკლით –"ბაკულას ღორებით" გახსნის. ამ ნაბიჯით თეატრი შეეცდება შეინარჩუნოს ტრადიცია – როგორც ცნობილია, სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილმა 1978 წლის 17 ნოემბერს დადგა. ამჯერად სპექტაკლს დასი ახლებური ინტერპეტაციით წარმოადგენს. მასში მონაწილეობენ მსახიობები: გია როინიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, გია აბესალაშვილი, გიორგი ყიფშიძე, პაატა ბარათაშვილი, თამაზ თოლორაია, ზაზა მიქაშავიძე, ლაურა რეხვიაშვილი და სხვები.

"ბაკულას ღორების" შემდეგ თეატრში მაყურებელი იხილავს სპექტაკლს – "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს".

კინომსახიობთა თეატრში რეჟისორები: დათო საყვარელიძე, ქეთი დოლიძე, გიორგი მარგველაშვილი და სხვები ახალ სპექტაკლებზე მუშაობენ. უფრო ზუსტად კი, დავით საყვარელიძე დგამს სპექტაკლს - "ტარტიუფი", ზურა გეწაძე - "გმირს". რამდენიმე სპექტაკლის პრემიერა თეატრში გაზაფხულის ბოლოს გაიმართება.

თეატრში სარემონტო სამუშაოები ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. იანვარში კი თეატრი საზეიმოდ გაიხსნა.

*24 საათი*

# ბათუმს უკრაინელი სოლისტი ეწვია

ბათუმს უკრაინის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ალექსანდრე ვოსტრიაკოვი ეწვია. იგი დღეს ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაგეგმილ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. ვოსტრიაკოვი ბათუმის თეატრის დასთან ერთად ვერდის ოპერა "ოტელოს" საკონცერტო შესრულებაში მთავარ პარტიას იმღერებს.

ბათუმში მისი ჩასვლის ინიციატორია ქართველი ტენორი ბადრი მაისურაძე. უკრაინელ მომღერალს პარტნიორობას გაუწევენ: ბათუმის ოპერის თეატრის სოლისტი მარინა ჯახუტაშვილი, რომელიც დეზდემონას პარტიას შეასრულებს, აგრეთვე თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი ამირან მამალაძე. სპექტაკლს ბათუმის თეატრის დასი დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს მიუძღვნის. ვოსტრიაკოვი ბათუმში ერთ კონცერტს გამართავს, რის შემდეგაც იგი საგასტროლოდ შვეიცარიაში, დანიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში გაემგზავრება. ორკესტრს დავით მუქერია უდირიჟორებს.

*მედია-ნიუსი*

# გრძელდება ჰიმნისთვის ტექსტების მიღება

კულტურის სამინისტრო განაგრძობს ტექსტების მიღებას საქართველოს ახალი სახელმწიფო ჰიმნისათვის, - განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. მისი თქმით, ჰიმნის ტექსტის შედგენის წესები და თემატიკა განსაზღვრულია. კერძოდ, ტექსტი სახელმწიფოს თავისუფლებას, დიდებას, ისტორიას, ტრადიციებსა და პატრიოტულ მოტივაციას უნდა შეიცავდეს.

სახელმწიფო ატრიბუტიკაზე მომუშავე კომისიამ ახალი ჰიმნის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინათ პარლამენტში მოაწყო.

*ინტერ-პრესი*

# რა არის ევროპა?

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ერებ – ევროპა, ასცუ – აზია...*

"დღეს ჩვენი სტუმარია ლაშა ბაქრაძე, ძალიან ჭკვიანი, ძალიან საინტერესო კაცი - როგორიც ჩემი მეგობრების უმრავლესობაა," - ამ მოკრძალებული სიტყვებით დაიწყო ზაალ სამადაშვილმა გუშინდელი საღამო ციკლიდან "ახალი განზომილება", რომელიც საკმაოდ რთულსა და გაუგებარ საკითხს ეხებოდა: რა არის ევროპა?

ქართველებს ევროპელობა გვინდა. ჩვენ ვართ ქართველები - მაშასადამე, ვართ ევროპელები. გუშინ ისიც გაირკვა, რომ უძველესი ევროპელები ვყოფილვართ (ვაი!?). მომხსენებელმა ლაშა ბაქრაძემ განაცხადა, მე არ ვიცი, ევროპა რა არისო, რაზედაც ნოდარ ლადარიამ მოახსენა, შენ თუ არ იცი, აბა, ვინ იცისო, და ასე...

ზაალ სამადაშვილი თავის "ევროპელად მონათვლის" ამბავს მოჰყვა: 1997 წელს, როცა ზაალი, "ლაშა ბაქრაძის მეცადინეობით", რამდენიმე ქართველ ლიტერატორთან ერთად ბერლინში, ლიტერატურულ სახელოსნოში იმყოფებოდა, ის კუბურ რესტორანში, "ლა ბოდეგიტა დელ მედიოში", წაიყვანეს, ტეკილას დასალევად, რომ – ზღაპრული ლოგიკაა! - ნამდვილ ევროპელად ექციათ. ევროპელობა რესტორნის მფლობელ ენრიკესთან ერთად სმით დამთავრდა...

. . .

ერთხელ, როცა მშვენიერი მეფის ასული ევროპა მეგობრებთან ერთად ზღვის პირას სეირნობდა, თამაშობდა და ყვავილებს კრეფდა, სად იყო და სად არა, ულამაზესი თეთრი ხარი გამოჩნდა, რომელსაც რქები ნახევარმთვარესავით ჰქონდა მორკალული. ის მშვიდად, დანდობილად, კუდის ქნევით მიუახლოვდა ევროპას და ზურგი შეუშვირა. ქალწული მის ზურგზე ამხედრდა, და ხარი ზღვაში გადაეშვა. შეშინებული ევროპა მას რქებში ჩაეჭიდა - სხვა რა დარჩენოდა?

ღია ზღვაში ხარს დელფინები



ლაშა ბაქრაძე - სად არის ევროპა?

და სხვა წყლის ბინადარნი ეგებებოდნენ, და ევროპა მიხვდა, რომ მისი გამტაცებელი ღმერთი იყო. მართლაც, მშვენიერი თეთრი ხარი ზევსი ბრძანდებოდა. მან ქალწული კუნძულ კრეტაზე გაიტაცა, და იქ მისგან სამი ვაჟი ეყოლა, მათ შორის მინოსიც, რომელიც მინოსური, ანუ პირველი ევროპული კულტურის მამამთვარად შეიძლება მივიჩნიოთ. ისე, გამოდის, რომ ევროპა აზიელი გოგოა, მისი სახელი კი ბნელს ნიშნავს, იმ მხარეს, სადაც მზე ჩადის – სავსებით შეესაბამება ქართულ "დასავლეთს".

რას ნიშნავს "ევროპული კულტურა"? ამის განსამარტად მომხსენებელმა პოლ ვალერის სიტყვები მოიყვანა და იქვე დასძინა, ქაღალდები სახლში დამრჩა და ციტატები მთლად ზუსტი არ იქნებაო: აუცილებლად ევროპული არის ყველაფერი, რაც სამი წყაროდან მოედინება – ათენი, რომი და იერუსალიმი (ამას კიდევ გაქრისტიანებული წარმართი ჩრდილოური ტომებიც დაემატნენ – გერმანები, კელტები და სლავები).

ლაშა ბაქრაძე უამრავ ამბავს მოჰყვა: რომ ჩვენთვის ცნობილი მსოფლიოს უძველესი რუკა ისიდორეს კოდექსში, პალიმსესტზე, მეშვიდე საუკუნეში იყო გამოსახული და შვეიცარიაში, სანკტ-გალენის მონასტერში ინახება. არაჩვეულებრივი რუკაა – მასზე სამყარო სამადაა დაყოფილი (ეს თავდაპირველად ეგვიპტური ხედვა ყოფილა, მაგრამ, ცხადია, ამ შემთხვევაში ბიბლიური სარჩული აქვს დადებული): აზია – სემი, აფრიკა – ქამი და ევროპა – იაფეტი. ლაშა ჰყვებოდა რომის იმპერიისა და რომის მოქალაქეების, კარლოს დიდის ამბებს, გმირი როლანდის თანამებრძოლების არასრულფასოვნების კომპლექსის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ ევროპელები ევროპელებად დანარჩენებისგან – არაბების, ზანგებისა და სხვათაგან გამიჯვნის პრინციპით. ლაშამ ტოემბის სიტყვები მოიშველია, და განმარტა, თუ რატომ არა აქვთ ევროპის ქვეყნებს ისტორია, რომლების გაგებაც ცალცალკე იყოს შესაძლებელი. ის ჰყვებოდა საერთო ევროპული კულტურის, ლათინური ენის მნიშვნელობის შესახებ – მოკლედ, რას აღარა.

დარბაზი ყველაფერზე ყაბულს იყო, იმაზეც, რომ რა არის ევროპა – ეს წესიერად ყველაზე განათლებულმა ევროპელმაც არ იცის. მით უმეტეს, ღიად დარჩა საკითხი ქართველთა ევროპელობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დამსწრე, მათ შორის ნოდარ ლადარიაც, კვაჭი კვაჭანტირაძის სიტყვებს იქედნურად შეხვდა (ნოდარმა თქვა, ინფანტილურიაო), მე ის ძალიან მომწონს. ხომ გახსოვთ, ინგლისელები საქართველოს ტოვებენ და გმირი ამბობს: "წავიდა ევროპა და ისევ მარტონი დავრჩით აზიაში"...

"წიგნის სახლში" შეკრებილი საზოგადოება ქართველი მსმენელისთვის უჩვეულოდ აქტიური აღმოჩნდა – როგორც ჩანს, მაინც ევროპელები ვართ: იყო დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ევროპულ ღირებულებებზე საუბარი, ტონი ბლერსაც კი გადასწვდნენ, რომელსაც (და არა მარტო მას) უბრძანებია, სადაც მართლმადიდებლობა იწყება, იქ ევროპა მთავრდებაო. მაშ, ჩვენ? მაშ, რუსეთი? ლაშამ რუსული კლასიკიდან მოიყვანა ციტატა: რუსეთი არც აზიაა, არც ევროპა, რუსეთი ცალკე კონტინენტიაო. მერე იმის გარკვევასაც ვეცადეთ, რატომ გვინდა ევროპელობა – იმიტომ, რომ კარლოს დიდის "გაგრძელებად" მიგვაჩნია თავი, თუ იმიტომ, რომ ევროპელობა (ციტატა) "თეთრი პურის გარანტიაა"?

საბოლოოდ, ვერანაირ დასკვნამდე ვერ მივედით, და კითხვა – რა არის ევროიპა? – უპასუხოდ დარჩა.

# დაცემული აზროვნება სიგარეტის ფიგურებით

თამარ ბაბუაძე

"ინ-ე-გადა-და-ვიდა" – წელს პირველად, მას შემდეგ, რაც 60-ანების როკ-ჯგუფმა Iron Butterfly-მ თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სიმღერაში ასე მოიხსენია ედემის ბაღი, ეს ტერმინი კვლავაც პოპულარული გახდა. და ამას ცნობილ ბრიტანულ გალერეა ტეიტს უნდა ვუმადლოდეთ. იქ გუშინწინ 31 მაისის ჩათვლით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პოპულარული ბრიტანელი მხატვრების პირველი მასშტაბური გამოფენა გაიხსნა. დემიენ ჰირსტი, სარა ლუკასი და ენგუს ფეირჰარსტი ცნობისმოყვარე პუბლიკისთვის, კონცეპტუალური ხელოვნების სახელით, კვლავაც დიდი მონდომებით ხოცავენ ცხვრებს, ალპობენ ყვავილებს და აკეთებენ სიგარეტის სკულპტურებს. და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს In-A-Gadda-Da-vida-ს არქმევენ.

ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: ედემის ბაღში (In the Garden of Eden) ანდა ცხოვრების ბაღში (In the Garden of Life) – რადგანაც Vida ესპანურად ცხოვრებას ნიშნავს. ტეიტის ვებ-გვერდზე, გამოფენის კურატორი დაინტერესებულ საზოგადოებას იმასაც უხსნის, თუ საიდან წამოვიდა ეს სახელი. სიმღერის დასათაურების დროს ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ისეთი მთვრალი ყოფილა, რომ სახელი ძლივს ამოულუღლუღებია, მეორეს კი (როგორც ჩანს, არანკლებ მთვრალს), სიტყვები ზუსტად ისეთივე ფონეტიკური ასოთშეთანხმებით გადაუტანია ფურცელზე, როგორც გაუგია.

ბრიტანელი ხელოვანების მიერ შექმნილ ბაღსაც უფრო მეტი აქვს საერთო Iron Butterfly-ის მიერ გამოგონილ, ფსიქოდელიურ, დაცემულთა წალკოტთან, ვიდრე ბიბლიურ ედემის ბაღთან. მათი მთავარი კონცეფცია ასე იშიფრება: საზოგადოებას ადამიანის დაცემის ძველისძველი ამბის თანამედროვე შედეგები აჩვენონ. და საინტერესოა, რა არის ეს შედეგი ბრიტანელი კონცეპტუალისტებისთვის? თუ დასკვნის გაკეთებას გამოფენის ზღურბლზევე დავაპირებთ, მაშინ შედეგი – ლპობაა: ენგუს ფეირჰარსტი ხომ შესასვლელში ჩამოკიდებული ტრაფარეტიდან მკაცრად გვაფრთხილებს: "ადგილზე გაქვავდით, რათა გაიხრწნათ". თუმცა, ნუ ვიჩქარებთ ნურც გახრწნას და ნურც დასკვნის გამოტანას, იქნებ დარბაზში წარმოდგენილი გახრწნადი და ლპობადი ცხოველები ალტერნატიული არჩევანისკენ მიგვითითებდნენ და გვასწავლიდნენ, რომ – დაცემა ცუდია, გადარჩენას უნდა ვესწრაფვოდეთ...



ანგუს ფეირჰარსტის პლაკატი

დემიენ ჰირსტი, სარა ლუკასი და ენგუს ფეირჰარსტი ძველი მეგობრები არიან. 80-იან წლებში ისინი გოლდსმიტის კოლეჯში სწავლობდნენ ერთად. ასე რომ, მათ ამ ახალ გამოფენამდეც ხშირად უთანამშრომლიათ. 1988 წელს მათ საერთო ექსპოზიციაც მოაწყვეს სახელად Freeze (გაყინვა).

თუმცა, ტეიტის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ორგანიზებული ექსპოზიცია მაინც ყველაზე ინტიმური და არაფორმალურია. ერთ დიდ ოთახში არეულად არის წარმოდგენილი სამივე ხელოვანის ექსპონატები – ანუ, ერთმანეთშია შერწყმული მათი საერთო წარსული, თემები, ირონია, დამოკიდებულება ცხოვრებისა და ხელოვნების მიმართ. თუმცა, ამ მსგავსებებს მრავალფეროვნებას ანიჭებს იდეების გადმოცემის განსხვავებული მეთოდები.

დავიწყოთ დემიენ ჰირსტით. ის უკვე 40 წლისაა, 1995 წლის "ტერნერის" პრიზის ლაურეატიც გახლავთ და საკმაოდ ცნობილი ხელოვანი არა მხოლოდ ბრიტანულ, არამედ მსოფლიო კულტურულ წრეებშიც. ჰირსტს, ძირითადად, უცნაური ფილოსოფიებისა და პრობლემების სკანდალური გადაწყვეტით იცნობენ. შეგახსენებთ ჰირსტის მიერ "გადამუშავებულ" ერთ ბიბლიურ თემას და თავად განსაჯეთ:

ტეიტის მუზეუმში კლასიკოსი მხატვრების მიერ შესრულებული მრავალგვარი "ედემის ბაღია" დაცული. თუმცა, ჩარლზ მაჰონისა და ჯონ მარტინის ტრადიციული ქრისტიანული ტილოების გვერდით ტეიტშივე გამოიფინა დემიენ ჰირსტის "ადამი და ევაც" (1999 წ.). ეს ინსტალაცია სამოთხის ბაღიდან გამოძევებულ, დაცემულ ადამიანებზეა. ჰირსტმა ისინი მორგისმაგვარ რკინის ჩარჩოში მოათავსა, გასაკვეთ მაგიდაზე დააწვინა და თეთრი გადასაფერებლით დაფარა...

ეს იყო 1999 წელს, უკვე 2004-ში კი ტეიტის გამოფენაზე ბრიტანელი კონცეპტუალისტი დაცემის შესახებ ვიტრინებში მოთავსებული მკვდარი ცხოველებითა და პეპლებით გვესაუბრება. თუმცა, იქვე არის ბევრი საქონლის ხორციც და ცოცხალი თევზიც. ჰირსტის ინსტალაციაში სათაურით "დავიწყების ძიებაში" ძროხის ხორცი ჰკიდია, მას გვერდს თევზები უმშვენებენ...

ენგუს ფეირჰარსტიც მსგავს თემებზე გვესაუბრება. თუმცა, იდეებს არა ნატურალური მასალით, არამედ დაჭრილი ბილბორდებით, გადაკეთებული სარეკლამო განცხადებებით გადმოსცემს. მისი ერთ-ერთი ინსტალაციის გმირია მწერალ როალდ დალის შვილიშვილისა და მოდელის სოფი დალის შიშველი პორტრეტი "შანელის" ცნობილი რეკლამიდან.

"დეილი ტელეგრაფის" მიმომხილველი დაწვრილებით განიხილავს ჰირსტის მეგობრის და ასევე სკანდალისტი ხელოვანის სარა ლუკასის ექსპონატებსაც. ამ ქალმა მოღვაწეობა 1990-იანი წლების პირველ ხანებში დაიწყო. ადრეული ნამუშევრებით – "ტუალეტი", "ავტო-პორტრეტი შემწვარი კვერცხით" და "ლოგინი" – ის ცნობილ მხატვრებთან მარსელ დუშამპთან და რობერტ რაუშენბერგთან ავლებდა პარალელს და მათ ხელოვნებას მთლიანად აცლიდა ესთეტურ და მეტაფორულ საფუძველს. მოკლედ, იმედის მომცემი ხელოვანი იყო, თუმცა, შემდეგ სიგარეტის ღერებზე გადაერთო და მათგან ადამიანის ნატურალური ზომის ფიგურების აწყობა დაიწყო. ტეიტში წმინდა გიორგის წითელ ჯვარზე მისი ქრისტეს ქანდაკებაცაა წარმოდგენილი. როგორც სხვა ფიგურები ჯვარცმაც სიგარეტის ღერებისგანაა გაკეთებული და მნახველზე მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენს. ორთოდოქსი მორწმუნეები ლუკასის ჩანაფიქრს არათუ ახსნას, გამართლებასაც ვერ უძებნიან და, ალბათ, მართებულადაც. მით უფრო, რომ საგაზეთო რეცენზიების გაცნობის შემდეგ ლუკასის მთავარი ჩანაფიქრი და მიზანი ცხადი ხდება –როგორმე პუბლიკის ყურადღება მიიქციოს, როგორმე ყველამ მასზე დაწეროს. როგორც ჩანს, ბრიტანელმა ხელოვანმა ამ მიზნის მისაღწევად თავიდანვე ნებისმიერი ხერხის გამოყენებაზე განაცხადა თანხმობა და შედეგმაც არ დააყოვნა – ალბათ, ჯვარზე გაკრული ქრისტეს ლუკასისეული ინტერპრეტაციის სანახავად 31 მაისამდე ტეიტის გალერეას მნახველი არ დაელევა.

ასეთია, ტეიტის გახმაურებული შოუ, რომელმაც გაზეთების ყურადღება ჯერ კიდევ პრეზენტაციამდე მიიქცია. ჩვენ კი, აქვე რომ გავაჩაღოთ ცხარე კამათი ქრისტიანული თემატიკით ასე თავისუფლად თამაშის ავკარგიანობის შესახებ, ალბათ, ძალიან შორს წავალთ. მით უფრო, რომ საკამათო თემას ლუკასის ერთგული მეგობარი და თანამოაზრე, ზემოთ განხილული დემიენ ჰირსტიც მრავლად გვაძლევს (გამოფენაზე მისი ღვთისმშობელი მარიამიც არის წარმოდგენილი). თანაც, არც ის იქნებოდა მართებული, რომ მსგავსი გამოფენების იგნორირება ვცადოთ – ჰირსტები და ლუკასები არსებობენ, იფინებიან და, ლონდონსა და თუ თბილისში, მაინც ჩვენი ცხოვრების ნაწილს შეადგენენ. ისინი თავად აღიარებენ, რომ ამ გამოფენით ადამიანის დაცემის თანამედროვე შედეგებს გვაჩვენებენ და იქნებ, უკურეაქციის გამოწვევის პრინციპით ადამიანების გამოფხიზლებასაც ცდილობენ. ყოველ შემთხვევისთვის, "ინ-ე-გადა-და-ვიდა" ყველას ისე შეუძლია მიიღოს, როგორც სურს. არჩევანი თავისუფალია...

# როგორ ავითარებს ბრიტანეთი კულტურას

გაზეთ "გარდიანის" ცნობით, უზარმაზარი ფინანსური ფონდით მთავრობა იმ ქალაქებს დაეხმარება, რომელთაც ევროპის კულტურული დედაქალაქის კონკურსში ვერ გაიმარჯვეს. საგანგებოდ მათთვის გამოყოფილი თანხები ამ ქალაქებმა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას უნდა მოახმარონ და, რაც მთავარია, პროცესებში მოქალაქეებიც აქტიურად უნდა ჩართონ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის კულტურული დედაქალაქის ტიტულს წელს ლილი და გენუა ფლობენ და ამ პატივს შესაბამისი პომპეზურობითაც აღნიშნავენ. დიდი ბრიტანეთის რიგი კი როტაციის პრინციპით 2008 წელს დგება. სწორედ ამ დროისთვის არჩევს ბრიტანეთის მთავრობა ევროპულ კონკურსზე წარსადგენი ქალაქების ნუსხას. თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, არც დაწუნებულ ქალაქებს წირავს და მათ შემდგომი განვითარებისთვის ფულადი პრემიით ეხმარება – იქნებ, მაღალი კულტურული ცხოვრების მაჩვენებლით მათ მომავალში მაინც ასახელონ თავიანთი ქვეყანა.



ლივერპულის დოკები

ამ ქალაქებისთვის გამოყოფილ თანხას განკარგავს და ანაწილებს ათასწლეულის კომისია და ხელოვნების საბჭო. როგორც წინასწარ გახდა ცნობილი, ფონდი ფესტივალების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების მოწყობაზეა ორიენტირებული. ამ პროექტების საშუალებით "დაწუნებულმა" რეგიონებმა უნდა დაამტკიცონ, რომ კულტურული ცხოვრება მათთვის მართლაც მნიშვნელოვანია.

ბრიტანული ქალაქებიდან ყველაზე მეტად ნიუქასლ-გეიტსჰედის წყვილი აქტიურობს. მათ 2008 წლის კონკურსში ლივერპულთან წააგეს ბრძოლა და ახლა უზარმაზარ თანხებს მომავალი კონკურსისთვის აგროვებენ. როგორც წინასწარვეა ცნობილი, მათი კულტურული პროექტი ძალიან ამბიციურია და დეტალურად მის შესახებ ცოტა ხანში გახდება ცნობილი.

რაც შეეხება 2008 წლის გამარჯვებულს – ლივერპულს, იქ კულტურული ზეიმი უკვე დიდი ხანია, გააჩაღეს. გამოცხადდა თუ არა ქალაქის გამარჯვების შესახებ, დამთვალიერებლებით აივსო მუზეუმები. ლივერპულის საბოლოო მიზანია ჩრდილო-დასავლეთ ინგლისის დედაქალაქის წოდება მოიპოვოს და ყველას დაავიწყოს ძველი ხუმრობა, რომ ლივერპული მანჩესტერს განვითარებით 7 წლით ჩამორჩება.

ასე რომ, ბრიტანეთში დიდი კულტურული ბრძოლაა გაჩაღებული. ცხადია, ომის შედეგი ყველა შემთხვევაში დადებითი იქნება.

# დიზაინერის ახალი წამოწყება

ჯორჯო არმანი ახალ ბიზნესში ჩაერთო. ჟურნალ "ვოგის" ცნობით, ცნობილი დიზაინერი, რომლის კოსტუმებიც "ოსკარის" ცერემონიალზე თითქმის ნახევარ ჰოლივუდს ეცვა, მალე სასტუმროებს გახსნის. უკვე არსებობს კონტრაქტი დუბაიში დაფუძნებულ უძრავი ქონების კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც, შვიდი წლის მანძილზე 10 სასტუმრო და 4 სააგარაკო კომპლექსი გაიხსნება ლონდონში, პარიზში, ნიუ იორკში, ტოკიოში, შანხაიში, მილანსა და დუბაიში. "ჩემი ფილოსოფიითა და სტილით სასტუმროების დაპროექტების სურვილი დიდი ხანია, მაქვს, როგორც იქნა, რეალურად მომეცემა პროექტის განხორციელების შანსი", - აცხადებს არმანი. კონტრაქტის ფინანსური დეტალები მედიისთვის ცნობილი არ გახლავთ, თუმცა, ვარაუდობენ, რომ სასტუმროთა ქსელი მილიარდ დოლარზე მეტ ინვესტიციას მოიზიდავს. არმანი პირადად იზრუნებს სასტუმროების დიზაინისა და



ჯორჯო არმანი

სტილის კონცეფციების შემუშავებაზე. გარდა ამისა, არმანის კოლექციიდანვე აირჩევა სასტუმროებში განსათავსებელი ავეჯის ნუსხაც.

პირველი სასტუმრო დუბაიში აიგება და ის მსოფლიოში უმაღლესი საცხოვრებელი სახლი იქნება. კომპლექსში შევა არმანის დიზაინით შექმნილი 15 ბინა და 250-დე სასტუმროს ოთახი.

უნდა ითქვას, რომ ჯორჯო არმანის ეს გადაწყვეტილება სიახლე მოდის ბიზნესში ნამდვილად არ ყოფილა. ვერსაჩეს ოჯახი ხომ სასტუმროს ავსტრალიის ოქროს სანაპიროზე ფლობს, ფერაგამოს ოჯახსაც აქვს გარკვეული გეგმები, "ბულგარიც" თავისი პირველი სასტუმროს გახსნას მილანში უახლოეს მომავალში აპირებს. თუმცა, არმანი მაინც პირველი დიზაინერი იქნება, რომელიც საზოგადოებას სალამოს ტანსაცმელსაც სთავაზობს, ჯინსის სამოსსაც, ავეჯსაც და ახლა უკვე სასტუმროებსაც.

სვეტი



ნინია კაკაბაძე

## ორი ფილმი ერთდროულად ერთ კინოთეატრში

ქართული კულტურა იმდენად თვითმყოფადია, რომ თითქმის არ არსებობს სფერო, რომელშიც ჩვენ საკუთარი, ინდივიდუალური მახასიათებელი ნიშნები არ გაგვაჩნდეს. მაგალითად, თავისთავად კინოს სულ ახლახანს შეუსრულდა 100 წელი, კინოთეატრების კულტურა კი საქართველოში 100 წელიწადსაც ვერ ითვლის, მაგრამ ეროვნული თვითმყოფადობა მაინც შეიძინა და ქართულ კინოთეატრში ფილმის ნახვა ორმაგად საინტერესოა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის კინოთეატრში.

პირველ რიგში, არ მინდა, წვლილი არ დავუფასო ამერიკულ კინოს, როემლმაც ქართველი მაყურებელი კინოში ცირკის მაყურებლად აქცია. დარბაზში მსხდომი აუდიტორია რიგ შემთხვევებში ერთად და რიგ შემთხვევებში ცალკეულად არ იშურებს ხმამაღალ შეძახილებს, განსაკუთრებით, თუკი ფილმში ეროტიკული სცენებია. სექსუალური აქტის კულმინაციის დროს ადრე მაყურებელი ტაშს უკრავდა, ახლა კი, თავიდანვე, როგორც კი ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლებელია წარმოდგენილ წყვილს შორის რაიმე ინტიმური შეხება მოხდეს, თავიდანვე იწყებს გულშემატკივრობას და დარბაზიდან კარნახს: - "მიდი, ბიჭო, მიდი", "ზემოთ აწიე ცოტა ხელი", "არა, ბიჭო, ზემოდან დაისვი, ჯობია", "ჯერ არ გაუშვა, არა" და ა.შ. ერთი სიტყვით, ზიხარ კინოთეატრში, უყურებ ფილმს და ძალაუნებურად - როგორც ფეხბურთის დაძაბული მატჩის დროს - გულშემატკივრობ კინოგმირებს. შენც ერთვები საერთო პათოსში, სხვაგვარად შეუძლებელია, ვინაიდან უკმაყოფილო გადახედვები იმდენად უშედეგოა, რომ ნებით თუ უნებლიეთ გიწევს უმეტესობასთან ერთად გმირების გულშემატკივრობა.

### უბედური შემთხვევა

თუკი ფილმს ტრაგიკული დასასრული აქვს, რაც ამ ბოლო დროს ზედმეტად აიტაცა ამერიკულმა კინომ, მეგრული ტირილის, ანუ, პანაშვიდის პირადაპირი ასოციაცია ჩნდება. ამერიკული ჰეპი ენდის კომპლექსმა, შეიძლება ითქვას, ქართველი მაყურებელი მთლიანად შეიწირა. მთავარი გმირი კვდება, ძირითადად, განუკურნებელი დაავადებით, და იწყება დარბაზში მსხდომი ქალბატონების თავშეკავებული, მაგრამ მოგუდული ზლუქუნი და მამაკაცების გინება. გინება, ისე, როგორც (ისევ საფეხბურთო მატჩს შევადარებთ), უსამართლო მსაჯს აგინებს ხოლმე მეცხრე ან რომელიმე ტრიბუნა. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, უწმაწური სიტყვები ფილმის რეჟისორის მისამართითაა მიმართული: "შენი დედაა..... რას ერჩოდი ამას", "აუ ჩააჯვა, რაა", "აუ, ეს რა კრეტინული ფილმი იყო", "ამისთვის გვაწვალა, ბიჭო, ამდენი ხანი..." და ა.შ.

მოკლედ, ქართულ კინოთეატრში, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, სტადიონის ტრიბუნას თუ ცირკის დარბაზს ჰგავს, ძალიან რთულია ფილმის შესახებ საკუთარი შთაბეჭდილება შეიქმნა, იმდენად დიდ ემოციურ ზეწოლას ახდენს "პუბლიკის" საერთო განწყობა და მათი შეფასებები.

მხოლოდ ერთი დადებითი მხარე: კინოდან გამოსვლისთანავე აღარც ფილმი გახსოვს და აღარც გულშემატკივართა რეაქციები. რადგან ფილმი ძირითადად არავითარ მხატვრულ ფასეულობას არ წარმოადგენს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და მასთან ერთად დარბაზის "თანაავტორობის" მცდელობაც ქრება.

### მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ქართულ კინოთეატრში

მხატვრული ფილმის და მის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ უკვე მოგახსენეთ, ახლა რაც შეეხება დოკუმენტურს. ქართული კულტურული თვითმყოფადობის კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშანი.

*ნაწილი მეორე.* ზიხარ კინოში და შესცქერი ფილმს. რატომღაც ამ ბოლო დროს, კინოდარბაზებში შეწყვიტეს, მაყურებელთა გაფრთხილება მობილური ტელეფონების გამორთვის თაობაზე (ალბათ, სრულიად სამართლიანად ჩათვალეს, რომ უშედეგოა) აქაც აღარ გვიცხადებენ. ამიტომ, ზარები დარბაზში, ბუნებრივია, არ წყდება და რამდენად საკვირველიც არ უნდა იყოს, გაგონილი ისტორიების მოსმენა უფრო საინტერესოა, ვიდრე იმ ფილმის ყურება, რომელიც ეკრანზე გადის. ეს მეორე ფილმია, ოღონდ დოკუმენტური და "პირდაპირ ეთერში". ზარი გოგონასთან; "შენ არ დაგირეკია და მე რატომ უნდა დამერეკა.... რა შენი საქმეა სად ვარ?! არ მაინტერესებს! წავედი ეხლა, არ მცალია..." და კიდებს ყურმილს. ზარი ახალგაზრდა მამაკაცთან: "ვინა, ბიჭო, ააგდეს? როდის? თქვენ სად ხართ? კი, კი ეხლავე მოვალ..." და გადის დარბაზიდან. ზარები ერთდროულად, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევს ჩვენს ყურამდე: " მეც მომენატრე", "გამომივლი?", "მოვალ და დედას.....", "კი აქა ვართ მე, სოფო, ეკა, ნინუკა და ანანო... ხო ისინიც აქ არიან... გამოივლი?".... შეიძლება ასეთი სევდიანი ისტორიაც მოისმინოთ: "მომისმინე, მეც ადამინი ვარ და ასე აღარ შემიძლია, როდემდე უნდა ვიმალო? გეხვეწები, ნუ მაწვალებ..." ამას უსმენ და საკუთარ ისტორიას ქმნი, ალბათ, მისი სიყვარულის ობიექტი დაოჯახებულია, ის მეორე ხარისხოვანი არსებობის სტატუსით დაიღალა ან, უბრალოდ, ძალიან უყვარს ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოში მოქცეული სუბიექტი და მასთან ერთად სურს ყოფნა, არა დღეგამოშვებით, არამედ ყოველდღე. ვინ იცის, რა ხდება ადამიანთა გულებში...

ეს ის დოკუმენტური მასალის მოკლე შინაარსია, რომელიც ფილმის მსვლელობის დროს დარბაზში ვითარდება, მეორე ფილმი დოკუმენტური, ე.წ. "ჟიზნენი" ჟანრის, რომელიც სავსეა ცხოვრებისეული ტკივილებით, განცდებით თუ აღფრთოვანებით.

### სეანსის შემდეგ

გამოვდივართ კინოდარბაზიდან. ფილმი და გულშემატკივართა შეძახილები აღარ გვახსოვს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ადამიანურ ისტორიებს, რომელიც საკუთარი ყურით მოვისმინეთ და მათთან ერთად განვიცადეთ. მათი დავიწყება არც თუ ისე იოლია. ჩვენ ხომ პირველ რიგში "ადამიანები" ვართ და შემდეგ "მაყურებლები".

ასე რომ, ქართულ კინოთეატრში, თუკი მხატვრული და მაღალ ბიუჯეტიანი ფილმი არ მოახდენს სათანადო შთაბეჭდილებას, ვერსად გაექცევით მეორე, მინიმალისტურ და სუფთა დოკუმენტურ ჩარჩოებში მოქცეულ ფილმს, რომელიც პარალელურად ვითარდება.

**P.S.** ბილეთის ფასიც, ალბათ, ამ ორმაგ სანახაობას გულისხმობს. გადაიხადეთ 8 ლარი და ნახეთ ორი ფილმი ერთ კინოთეატრში ერთდროულად!

კალათბურთი

# "როკეთსი" - "ლეიკერსი" 93:96



*იაო მინგმა ისევ აჯობა ონილს*

იაო მინი კვლავ ერთ-ერთი გმირი იყო კონკრეტული შეხვედრისა, მაგრამ ამ მატჩის მთავარი გმირი მაინც კალიფორნიელი კობი ბრაიანტი გახდა. ტეხასი სხვა შტატია, კალიფორნია - სხვა, მაგრამ ტეხასელთათვის ჩინელმა გიგანტმა იაო მინმა ყველაფერი გააკეთა და შედეგით თავად შაკილ ო`ნილსაც კი აჯობა. კალიფორნიელების მთავარ გმირად მოგვევლინა კობი ბრაიანტი, რომელმაც გადამწყვეტი ბურთი კალათში მოათავსა და ამით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

"კობიმ ძალიან კარგად ითამაშა. მას სულ რაღაც ოთხი ქულა დააკლდა, რომ საკუთარი რეკორდი მოეხსნა, მაგრამ ეს არაფერი, მთავარია, რომ მან გუნდს გაამარჯვებინა", - განაცხადა კალიფორნიული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა.

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" თამაშის მსვლელობისას 11 ქულასაც კი აგებდა, მაგრამ კობი ბრაიანტის, დერეკ ფიშერის და ლიუკ უოლტონის კარგმა თამაშმა წარმატება განაპირობა. კალიფორნიელები მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ერთი ქულით (82:81) წინ გავიდნენ და საბოლოოდ ეს ერთი ქულა გადამწყვეტი აღმოჩნდა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ტეხასელებმა მატჩი უბრძოლველად დათმეს. ჰიუსტონელებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ კალიფორნიული გუნდი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და გამარჯვებაც მას დარჩა.

**მინესოტა თიმბერვულვზი -"დალას მავერიქსი" 121:97**

გასულ შეხვედრაში "მინესოტა თიმბერვულვზმა" მხოლოდ 74 ქულა დააგროვა და მეტი ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. გარნეტის, კასელის, სპრიუელის და ოლოვაკანდის პატრონმა გუნდმა ამაზე დაიწყო ფიქრი და პირველი, რაც მთავარმა მწვრთნელმა გააკეთა, ის იყო, რომ წაგებული მატჩის შემდეგ მოთამაშეები ერთი დღით დაასვენა. წინა მატჩთან შედარებით მინესოტელებმა გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენეს – 121 ქულა მოაგროვეს, რაც წინა შედეგზე თითქმის 50%-ით მეტია.

*ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა:*

| | |
|---|---|
| **ვაშინგტონი - ტორონტო** | **84:70** |
| **ორლანდო - მილუოკი** | **97:105** |
| **კლივლენდი - ატლანტა** | **112-80** |
| **ნიუ-იორკი - ფილადელფია** | **88:77** |
| **ნიუ-ორლეანი - ჩიკაგო** | **100:97** |
| **სან-ანტონიო - სიეტლი** | **88:84** |
| **ფენიქსი - ნიუ-ჯერსი** | **87:74** |
| **პორტლენდი - მემფისი** | **88:97** |
| **ლ.ა.კლიპერზი - ინდიანა** | **94:10** |

TV - სპორტი

## პარასკევი. 5 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "რუბინი" – "ლოკომოტივი". პირველი მატჩი
15:05 ლიბერტადორესის თასი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) – "კოლო კოლო" (ჩილე)
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 "FUTBOL MUNDIAL"
17:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "რეალ სოსიედადი" – "ლიონი". პირველი მატჩი
19:50 "ექსპერტიზა"
20:20 "გაიტანე"! როი მაკაისთან ერთად
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 განვლილი კვირის ჰიტ-ალღუმი – ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "სელტა"
22:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "პორტუ" – "მანჩესტერ იუნაიტედი". პირველი მატჩი. შესვენებისას (23:40) - თავისუფალი დარტყმა
00:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:50 "ექსპერტიზა"
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: ჯულიუს ირვინგი
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "NEW ORLEANS HORNETS" -"CLEVELAND CAVALIERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
12:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
12:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:15 "ჰარმონიის ფორმულა"
14:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
15:00 "Power week - NHL-ის კვირა"
15:30 როდეო. "Bull Riders"
16:15 ტაილანდური კრივი
17:15 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში. ფინალი მრავალჭიდში. მე-2 ნაწილი
19:45 "თოვლის სამყარო"
20:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
21:00 "ყინულის ხანა". გადაცემა ჰოკეიზე
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
23:00 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
23:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
00:55 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
01:25 ახალი ამბები
01:40 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
02:40 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. უეფას თასი
12:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში
19:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
19:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი ფინეთში
20:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში
21:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში
23:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. საერთაშორისო შეჯიბრება უნგრეთში
00:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. გრანპრი კანადაში
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის ექსტრემალური თამაშები აშშ-ში
03:00 ახალი ამბები
03:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ყატარში
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# გერსონმა პელეს არჩევანი დაგმო

### FIFA-მ და პელემ საუკეთესო ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნეს

მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია FIFA წლეულს თავის 100 წლისთავს ზეიმობს. იუბილესთან დაკავშირებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ღონისძიება ტარდება. მათ შორის იყო FIFA-ს ასეულის გამოცხადება.

FIFA-მ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელების დასახელება გადაწყვიტა, თუმცა, ამ სიაში არ უნდა ყოფილიყვნენ გარდაცვლილი ფეხბურთელები. სიის შედგენა FIFA-მ ფეხბურთის მეფეს, ბრაზილიელ პელეს სთხოვა.

პელემ თხოვნა შეასრულა – საუკეთესო ფეხბურთელები ჩამოთვალა. მიუხედავად იმისა, რომ სიას "FIFA-ს ასეული" ეწოდა, მასში 125 ფეხბურთელია დასახელებული.

ასეა თუ ისე, გუშინ, ლონდონის ისტორიის მუზეუმში, FIFA-ს სიის პრეზენტაცია გაიმართა. FIFA-ს ვიცე-პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ამ სიის წევრები სპეციალური პრემიებით დააჯილდოვა. ღონისძიების მუსიკალურად აფორმებდა როკ-ჯგუფი "დურან-დურანი".

საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა, პელეს მიერ შედგენილმა სიამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ბრაზილიელებში. ორი დღის წინათ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში სტუმრობისას, პელეს სია დემონსტრაციულად დახია წარსულში სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გერსონმა, რომელიც 1970 წელს პელესთან ერთად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, გერსონი აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ პელეს სიაში მხოლოდ 12 ბრაზილიელი ფეხბურთელი მოხვდა, თანაც, ფეხბურთის მეფემ საუკეთესოთა შორის არ დაასახელა არც თავად გერსონი, არც ტოსტაო და არც ჟაირზინიო. ბრაზილიელები განცვიფრებული არიან იმითაც, რომ პელემ 14 ფრანგი და 14 იტალიელი ფეხბურთელი შეიყვანა თავის რჩეულთა შორის.

ეს სია FIFA-მ უკვე გამოაქვეყნა. მართალია, იქ ვერ ნახავთ გერსონისა და ჟაირზინიოს გვარებს, მაგრამ თვითონვე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ სიაში არის რიველინო, თანაც, ბრაზილიელები 12-ით კი არა, არამედ 15-ით, ყველაზე მეტი ფეხბურთელით არიან წარმოდგენილი. საინტერესოა, გერსონს ჰქონდა არასრული სია თუ საინფორმაციო წყაროებმა გაავრცელეს არასწორი ინფორმაცია? ფაქტია, რომ პელეს მაინც არ უღალატია სამშობლოსთვის...



*პელემ თანამემამულეები გაანაწყენა*

***პელეს მიერ დასახელებული 125 ფეხბურთელის სია***

| | |
|---|---|
| პელე | (ბრაზილია) |
| ჯალმა სანტოსი | (ბრაზილია) |
| ნილტონ სანტოსი | (ბრაზილია) |
| კარლოს ალბერტო | (ბრაზილია) |
| რიველინო | (ბრაზილია) |
| სოკრატესი | (ბრაზილია) |
| ზიკო | (ბრაზილია) |
| ფალკაო | (ბრაზილია) |
| ჟუნიორი | (ბრაზილია) |
| რომარიო | (ბრაზილია) |
| კაფუ | (ბრაზილია) |
| რონალდო | (ბრაზილია) |
| რონალდინიო | (ბრაზილია) |
| რივალდო | (ბრაზილია) |
| რობერტო კარლოსი | (ბრაზილია) |
| ჯანი რივერა | (იტალია) |
| ჯიაჩინტო ფაკეტი | (იტალია) |
| განპიერო ბონიპერტი | (იტალია) |
| დინო ძოფი | (იტალია) |
| პაოლო როსი | (იტალია) |
| ჯუზეპე ბერგომი | (იტალია) |
| ფრანკო ბარეზი | (იტალია) |
| რობერტო ბაჯო | (იტალია) |
| პაოლო მალდინი | (იტალია) |
| ჯანლუიჯი ბუფონი | (იტალია) |
| ფრანჩესკო ტოტი | (იტალია) |
| ალესანდრო დელ პიერო | (იტალია) |
| კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| ალესანდრო ნესტა | (იტალია) |
| ჟუსტ ფონტენი | (საფრანგეთი) |
| რაიმონ კოპა | (საფრანგეთი) |
| მიშელ პლატინი | (საფრანგეთი) |
| მარიუშ ტრეზორი | (საფრანგეთი) |
| ჟან-პიერ პაპენი | (საფრანგეთი) |
| ერიკ კანტონა | (საფრანგეთი) |
| მარსელ დესაი | (საფრანგეთი) |
| დიდიე დეშამი | (საფრანგეთი) |
| ზინედინ ზიდანი | (საფრანგეთი) |
| პატრიკ ვიეირა | (საფრანგეთი) |
| რობერ პირესი | (საფრანგეთი) |
| ლილიან ტურამი | (საფრანგეთი) |
| ტიერი ანრი | (საფრანგეთი) |
| დავიდ ტრეზეგე | (საფრანგეთი) |
| იოჰან კრუიფი | (ჰოლანდია) |
| იოჰან ნეესკენსი | (ჰოლანდია) |
| რობ რენსენბრინკი | (ჰოლანდია) |
| რენე ვან დერ კერკჰოფი | (ჰოლანდია) |
| ვილი ვან დერ კერკჰოფი | (ჰოლანდია) |
| მარკო ვან ბასტენი | (ჰოლანდია) |
| რუდ გულიტი | (ჰოლანდია) |
| ფრანკ რაიკაარდი | (ჰოლანდია) |
| დენის ბერგკამპი | (ჰოლანდია) |
| პატრიკ კლუივერტი | (ჰოლანდია) |
| ედგარ დავიდსი | (ჰოლანდია) |
| კლარენს ზეედორფი | (ჰოლანდია) |
| რუდ ვან ნისტელროი | (ჰოლანდია) |
| ომარ სივორი | (არგენტინა) |
| ალფრედო დი სტეფანო | (არგენტინა) |
| მარიო კემპესი | (არგენტინა) |
| დანიელ პასარელა | (არგენტინა) |
| დიეგო მარადონა | (არგენტინა) |
| გაბრიელ ბატისტუტა | (არგენტინა) |
| ხავიერ ძანეტი | (არგენტინა) |
| ერნან კრესპო | (არგენტინა) |
| ხუან სებასტიან ვერონი | (არგენტინა) |
| ხავიერ სავიოლა | (არგენტინა) |
| უვე ზეელერი | (გერმანია) |
| ფრანც ბეკენბაუერი | (გერმანია) |
| გერდ მიულერი | (გერმანია) |
| ზეპ მაიერი | (გერმანია) |
| პაულ ბრაიტნერი | (გერმანია) |
| კარლ-ჰაინც რუმენიგე | (გერმანია) |
| ლოთარ მათეუსი | (გერმანია) |
| იურგენ კლინსმანი | (გერმანია) |
| ოლივერ კანი | (გერმანია) |
| მიხაელ ბალაკი | (გერმანია) |
| ბობი ჩარლტონი | (ინგლისი) |
| გორდონ ბენქსი | (ინგლისი) |
| კევინ კიგანი | (ინგლისი) |
| გარი ლინეკერი | (ინგლისი) |
| ალან შირერი | (ინგლისი) |
| დევიდ ბექჰემი | (ინგლისი) |
| მაიკლ ოუენი | (ინგლისი) |
| ემილიო ბუტრაგენიო | (ესპანეთი) |
| ლუის ენრიკე | (ესპანეთი) |
| რაული | (ესპანეთი) |
| ეუსებიო | (პორტუგალია) |
| ლუიშ ფიგუ | (პორტუგალია) |
| რუი კოშტა | (პორტუგალია) |
| მიქაელ ლაუდრუპი | (დანია) |
| ბრაიან ლაუდრუპი | (დანია) |
| პეტერ შმაიხელი | (დანია) |
| ფრენკი ვან დერ ელსტი | (ბელგია) |
| ჟან-მარი პფაფი | (ბელგია) |
| იან კულემანსი | (ბელგია) |
| იოზეფ მასოპუსტი | (ჩეხეთი) |
| პაველ ნედვედი | (ჩეხეთი) |
| პაბლო ფიგუეროა | (ჩილე) |
| ივან ზამორანო | (ჩილე) |
| ბელოზოღლუ ემრე | (თურქეთი) |
| რუშთუ რეჩბერი | (თურქეთი) |
| მიშელ აკერსი | (აშშ) |
| მია ჰემი | (აშშ) |
| როი კინი | (ირლანდია) |
| ჯორჯ ბესტი | (ჩრდილოეთ ირლანდია) |
| კენი დალგლიში | (შოტლანდია) |
| ფერენც პუშკაში | (უნგრეთი) |
| ხრისტო სტოიჩკოვი | (ბულგარეთი) |
| დავორ შუკერი | (ხორვატია) |
| ზბიგნევ ბონეკი | (პოლონეთი) |
| გეორგე ჰაჯი | (რუმინეთი) |
| რინატ დასაევი | (რუსეთი) |
| ანდრეი შევჩენკო | (უკრაინა) |
| უგო სანჩესი | (მექსიკა) |
| ენცო ფრანჩესკოლი | (ურუგვაი) |
| კარლოს ვალდერამა | (კოლუმბია) |
| რომერიტო | (პარაგვაი) |
| ტეოფილიო კუბილასი | (პერუ) |
| როჟე მილა | (კამერუნი) |
| ჯორჯ ვეა | (ლიბერია) |
| აბედი პელე | (განა) |
| აუგუსტინ ოკოჩა | (ნიგერია) |
| ელ ჰაჯი დიუფი | (სენეგალი) |
| ჰიდეტოში ნაკატა | (იაპონია) |
| ჰონგ მიუნგ-ბო | (სამხრეთ კორეა) |

# ესპანელი მესვეტე და ნაციზმი

ნინო პირველი

გერმანიასა და ესპანეთს შორის ნელ-ნელა იძაბება ურთიერთობა და ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთია. "ბაიერნისა" და "რეალის" სკანდალური მატჩი მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე, ალბათ, კიდევ არაერთი უსიამოვნების მიზეზი გახდება. ოლივერ კანის საჯარო გაკიცხვა რა მოსატანია იმასთან შედარებით, რაც "ბაიერნს" 10 მარტს ელის მადრიდში. არ არის გამორიცხული, რომ ეს დაპირისპირება საერთოდ გასცდეს სტადიონის ფარგლებს. როგორც წესი, ამ ორი გუნდის შეხვედრა მუდამ უდიდეს ინტერესს იწვევს. ერთმანეთის გაკრიტიკება, მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხების მუქარა, ფანებს შორის მომხდარი უსიამოვნება ჩვეულებრივი მოვლენაა "რეალ"-"ბაიერნის" მატჩის წინ და ამით დიდად ვერავის გააკვირვებ.

ესპანელი ჟურნალისტების სიფიცხის ამბავიც კარგად მოეხსენებათ გერმანელებს და არანაირი რეაქცია აღარა აქვთ, როცა "მარკა" თუ "ასი" "ბაიერნს" უდიერად მოიხსენიებს ხოლმე, მაგრამ ის, რაც გუშინ "მარკას" მესვეტემ დაწერა, მართლაც, მოულოდნელი დარტყმა აღმოჩნდა გერმანელებისთვის. ესპანელებმა თვით მრავლისმნახველი "ბილდის" რედაქციაც კი გააოგნეს. ასეთ მძაფრ გალაშქრებას ნამდვილად არავინ ელოდა. მთელი გერმანიის შეურაცხყოფის მიზეზი კი ისევ და ისევ რობერტო კარლოსის ყბადაღებული ინციდენტი გახდა.

ალბათ, კარგად გახსოვთ ეს სცენა, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ დეტალებს: 24 თებერვალს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ორი სამხრეთამერიკელი წაეკიდა ერთმანეთს: "ბაიერნის" არგენტინელმა ნახევარმცველმა მარტინ დემიჩელისმა უხეშად ითამაშა "რეალის" ბრაზილიელი მცველის რობერტო კარლოსის წინააღმდეგ. ესპანელთა დიდგულა მცველმა იუკადრისა თანაკონტინენტელის უხეშობა და სახეში ჩაარტყა. მატჩის ნორვეგიელმა არბიტრმა ტერიე ჰაუგემ რობერტო კარლოსის უსაქციელობა ვერ შენიშნა და მხოლოდ დემიჩელისს უჩვენა ყვითელი ბარათი. არადა, რობერტო კარლოსის ქმედება იმდენად არაკორექტული იყო, რომ ბრაზილიელი ულაპარაკოდ იმსახურებდა მოედნიდან გაძევებას. მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე რობერტო კარლოსმა გოლი გაიტანა და გადარჩენილი "რეალი" არაჩვეულებრივ გუნებაზე დაბრუნდა მადრიდში. რობერტო კარლოსი ცუდს არაფერს ელოდა, მაგრამ მოულოდნელად გავრცელდა ინფორმაცია, რომ უეფა მიუნხენში მომხდარ ინციდენტს განიხილავდა და ბრაზილიელს, სულ მცირე, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელოდა.

რობერტო კარლოსმა მაშინვე უცოდველი სახე მიიღო და ესპანელ ჟურნალისტებთან თავის მართლებას მოჰყვა. "მე თავს ვიცავდი და დამნაშავე არ ვარ. ყველაფერი მხოლოდ დემიჩელისის ბრალია", – თქვა კარლოსმა. ესპანური გაზეთები "რეალს" უჭერდნენ მხარს და ამტკიცებდნენ, რომ რობერტო კარლოსი დისკვალიფიკაციას არ იმსახურებდა. ბრაზილიელ მცველს ყველაზე მეტი თავგამოდებით "მარკა" იცავდა და, როცა ცნობილი გახდა, რომ უეფამ რობერტო კარლოსი ორი მატჩის გამოტოვებით დასაჯა, "მარკამ" თავი ველარ შეიკავა.

ესპანელებმა ჯერ "ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი დაადანაშაულეს ჯაშუშობაში. მათი აზრით, უეფა ამ ინციდენტს არც მიაქცევდა ყურადღებას, ული ჰიონესს რომ არ მოეთხოვა ერთ-ერთი წარმომადგენლისთვის, ეს შემთხვევა ოქმში შეეტანათ. "ოფიციალურად გერმანელებმა არაფერი იციან უეფას მოქმედების შესახებ. სინამდვილეში კი მათ სპეციალურად იზრუნეს იმისთვის, რომ უეფას რობერტო კარლოსის საქმე განეხილა. უეფა თავის მახინჯ სახეს გვიჩვენებს. რობერტო კარლოსი უსამართლოდ გაწირეს", - წერდა "ასის" სპორტული მიმომხილველი. "მარკას" მესვეტემ კი თავის სვეტში ასეთი რამ ჩაწერა: "რობერტო კარლოს, შენ მაინც ბედმა გაგიღიმა, რომ მხოლოდ დისკვალიფიკაცია გაკმარეს და გაზის კამერაში არ გიკრეს თავი". ეს უკვე წელს ქვემოთ დარტყმაა. ესპანელებმა მშვენივრად იციან, რა მტკივნეულად რეაგირებენ გერმანელები, როცა მათ თავიანთ ნაცისტურ წარსულს ახსენებენ. ისინი სწორედ ამ გზით ცდილობენ მეტოქის წყობიდან გამოყვანას.

გერმანიაში ამ ფრაზას მწვავე რეაქცია მოჰყვა. "ბილდმა" "მარკას" მესვეტეს "უგემოვნო და გონებაშეზღუდული" უწოდა. "შპიგელმა" კი ესპანელი ჟურნალისტის გამოხდომა "ბრაზისგან დაბრმავებული ადამიანის უანგარიშო ქმედებად" შეაფასა. თავად "ბაიერნმა" კომენტარის გაკეთება არ მოისურვა. "რაც არ უნდა ვთქვათ, მაინც ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ შემობრუნდება. ამიტომ უმჯობესია, საერთოდ გავჩუმდეთ, რათა ესპანურ პრესას ახალი საკბილო არ მივცეთ", - განაცხადა "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა.

"ვულოცავ უეფას, ასეთ გამჭრიახ გადაწყვეტილებებს რომ იღებს. ეს უსამართლობაა. "ბაიერნის" წინააღმდეგ მეორე მატჩში მე აუცილებლად უნდა ვიყო მოედანზე", - კატეგორიულად აცხადებს რობერტო კარლოსი, ემილიო ბუტრაგენიო კი მხრებს იჩეჩავს: "ჩვენ რობერტო კარლოსის ქმედება დემიჩელისის უხეშობის საპასუხო რეაქციად აღვიქვით და საერთოდ არ გვეგონა, თუ ამ შემთხვევას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ძალიან მკაცრი სასჯელია". უეფაში კი მიაჩნიათ, რომ მათი სანქცია ლმობიერია: "საერთოდ, ასეთი დანაშაულის ჩამდენი სამი მატჩის გამოტოვებით ისჯება, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ ჯერ დემიჩელისმა წააქცია რობერტო კარლოსი და ამიტომაც ბრაზილიელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მივუსაჯეთ."







*"მარკა" გერმანელებს ნერვებს უშლის*

რობერტო კარლოსთან ერთად თუ მის გარეშე "რეალ"-"ბაიერნის" მეორე მატჩი სასტიკად დაძაბული იქნება და დაუნდობელ ბრძოლაში ჩაივლის. ეს ყველამ კარგად იცის. ფეხბურთელები თავდაუზოგავად ემზადებიან ამ შეხვედრისთვის. თუმცა, პარალელურად სხვა საქმეებსაც აგვარებენ. მაგალითად, 10 მარტამდე ცოტა ხნით ადრე დევიდ ბექჰემი საკუთარი თვითმფრინავით ნიურნბერგში ჩაფრინდა და ცნობილ გერმანულ სპორტულ ფირმა "ადიდასთან" 40-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. "ადიდასმა" ბექჰემს საკუთარი ლოგო გაუკეთა, რომელზეც ინგლისის ნაკრების კაპიტანი საჯარიმოს შესრულების პროცესშია გამოსახული.

"ძალიან მეამაყება, რომ მაიკლ ჯორდანისა და ტაიგერ ვუდსის შემდეგ მეც მაქვს ჩემი ლოგო. ჩემს საჯარიმო დარტყმას ყველა იცნობს მსოფლიოში", - ამაყად შენიშნა "ბექსმა". რონალდომ კი "რეალთან" 2008 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. "ჩემი შვილის გამო მინდა, კარიერა მადრიდში დავასრულო. როცა ფეხბურთელი აღარ ვიქნები, მაშინაც "რეალთან" მსურს თანამშრომლობა. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი "რეალის" ელჩი", - უთხრა რონალდომ "მარკას". ახლა "რეალი" ფიგუსთვის აპირებს კონტრაქტის გაგრძელებას. მერე კი რობერტო კარლოსის ჯერი დადგება, რომელიც, სხვათა შორის, არ ჩქარობს, რონალდოს მსგავსად, "სამეფო კლუბს" სამუდამო ერთგულების ფიცი დაუდოს...

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპის მატჩების კენჭისყრა. გუნდები ასე დაწყვილდნენ: "სელტიკი" (შოტლანდია) – "ბარსელონა" (ესპანეთი), "გენჩლერი" (თურქეთი) – "ვალენსია" (ესპანეთი), "ბორდო" (საფრანგეთი) – "ბრიუგე" (ბელგია), "ნიუკასლი" (ინგლისი) – "მაიორკა" (ესპანეთი), "ოსერი" (საფრანგეთი) – "ეინდჰოვენი" (ჰოლანდია), "ბენფიკა" (პორტუგალია) – "ინტერი" (იტალია), "ლივერპული" (ინგლისი) – "მარსელი" (საფრანგეთი), "ვილიარეალი" (ესპანეთი) – "რომა" (იტალია).

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" მიმართ უეფა-მ საჯარიმო სანქციები გამოიტანა. საქმე ეხება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩს, როდესაც "ბაიერნი" მადრიდის "რეალს" მასპინძლობდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში "ბაიერნის" გულშემატკივრები თოვლის გუნდებს ესროდნენ დევიდ ბექჰემს, როდესაც ის კუთხურის მოსაწოდებლად ემზადებოდა. "ოლიმპიაშტადიონის" დიქტორმა ხალხს მოუწოდა კიდეც, რომ შეეწყვიტათ ბექჰემის "დაბომბვა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გაუფორმა ჰოლანდიელ არიენ რობენს. "ეინდჰოვენის" ფეხბურთელი "ჩელსიში" მომავალ ზაფხულს გადავა. ყველაზე მეტად დემიენ დაფი და ჯო კოული ღელავენ. დაფმა განაცხადა, რომ "რობენის შეძენა კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან კბილებში დარტყმას ჰგავს". ამ ორივე ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის ეშინია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ სხდომა გამართა რუსეთის საფეხბურთო კავშირის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა და ეგორ ტიტოვის საქმე განიხილა. როგორც ცნობილია, დოპინგის მოხმარების გამო უეფა-მ ტიტოვს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ეს გადაწყვეტილება 22 იანვრიდან შევიდა ძალაში – მომავალი ერთი წლის განმავლობაში ტიტოვს უეფა-ს ეგიდით ჩასატარებელ ყველა მატჩში ეკრძალება მონაწილეობა. რუსეთის საფეხბურთო კავშირის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით კი ტიტოვი ექვსი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს რუსეთის ჩემპიონატში თამაშს. ასე რომ, ტიტოვი ნახევარი წლით საერთოდ დაემშვიდობება ფეხბურთს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის პოლიციამ ინგლისის "ლესტერის" ცხრა ფეხბურთელი დააპატიმრა. მურსიას პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, ეს ფეხბურთელები სამ გერმანელ ქალბატონზე სექსუალურ ძალადობაში არიან ეჭვმიტანილი. "ლესტერი" ესპანეთში შეკრებაზე იყო და ინციდენტიც ამ დროს მოხდა. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ისინი ესპანელ სამართალდამცავებთან თანამშრომლობენ, რათა სიმართლე დადგინდეს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** შესაძლოა, "ფერარიში" მიხაელ შუმახერი ესპანელმა ფერნანდო ალონსომ შეცვალოს. იტალიური საჯინიბოს შეფი, ლუკა დი მონტეძემოლო ამბობს, რომ ალონსო შუმახერის შემცვლელად განიხილება. "ის ძალიან ჰგავს შუმახერს. მას უდიდესი ტალანტი აქვს და ამ ტალანტის გაფურჩქვნას დრო სჭირდება", - განაცხადა მონტეძემოლომ. აქვე "ფერარის" შეფმა იმის იმედიც გამოთქვა, რომ მიხაელ შუმახერი თავის კარიერას სწორედ "ფერარიში" დაასრულებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "მაკლარენ-მერსედესის" ფინელი პილოტი, კიმი რაიკონენი საჯინიბოს ახალი ბოლიდის ნაკლზე საუბრობს. რაიკონენის თქმით, გუნდს პრობლემები აქვს, რადგან ახალი მანქანა უნაკლო არ აღმოჩნდა: "ეს უმნიშვნელო პრობლემებია, თუმცა, ისინი უნდა მოგვარდეს. დრო კი სულ ცოტა გვრჩება". რაიკონენი მაინც იმედოვნებს, რომ ფორმულა 1-ის ახალი სეზონის პირველ რბოლამდე ყველაფერი მოესწრება.

■ ■ ■

**კრივი.** 10 აპრილს ლას ვეგასში WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან ვლადიმირ კლიჩკო და ლემონ ბრიუსტერი. გუშინ კი მომავალ ბრძოლასთან დაკავშირებით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც მეტად საინტერესო რამ მოხდა. სიტყვით გამოვიდა კლიჩკოს მეტოქე ბრიუსტერი და იმუქრებოდა, რომ ბრძოლას სწორედ ის მოიგებს, რომ სწორედ ის გახდება ჩემპიონი და ამას თავისი ორი შვილისთვის გააკეთებს. ამის შემდეგ ის ატირდა, მიკროფონი მოისროლა და დარბაზიდან გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ბრიუსტერი დარბაზში დაბრუნდა, თუმცა, კომენტარი აღარ გაუკეთებია. კლიჩკოს აზრით, ბრიუსტერი ან ზედმეტად ემოციურია ან შოუ მოაწყო.

■ ■ ■

**კრივი.** გარდაიცვალა პერუელი მოკრივე ლუის ვილიალტა, რომელიც 28 თებერვლის შემდეგ კომაში იყო. შაბათს ვილიალტა 12-რაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა რიკი კვილესთან. გასახდელში ჩასულს თავის ტკივილი დაეწყო და მალევე დაკარგა გონება. ვილიალტა უგონო მდგომარეობაში წაიყვანეს ფლორიდის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ჭადრაკი

# კასპაროვმა და კრამნიკმა აღარ გარისკეს


კრამნიკი ტურნირის ლიდერია

ლინარესში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირის მე-12 ტურში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა ესპანელი პაკო ვალიეხოსა და აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვის შეხვედრა. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ეს ერთადერთი დრამატული მატჩი აღმოჩნდა მე-12 ტურში. გახურებული ტაქტიკური ბრძოლა სიცილიური პარტიის ჩელიაბინსკურ ვარიანტში პირველი კონტროლის შემდეგ ენდშპილში გადაიზარდა. ორივე მოჭადრაკეს ძალიან უნდოდა გამარჯვება, მაგრამ დედოფლების გარეშე უფრო მოხერხებული აღმოჩნდა ტეიმურ რაჯაბოვი, რომელმაც ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

დიდხანს არ გაგრძელებულა კრამნიკ-კასპაროვისა და ბულგარელი ტოპალოვ-ლეკოს შეხვედრა. როგორც ჩანს, მეტოქეები რისკს ერიდებოდნენ. დებიუტიდან გამოსვლის შემდეგ შავებმა დიდი ძალისხმევის გარეშე გამოასწორეს მდგომარეობა.

მე-13 ტურში ერთამანეთს ხვდებიან: კასპაროვი-ტოპალოვი, ლეკო-ვალიეხო და რაჯაბოვი-შიროვი. ტურნირს კვლავ ლიდერობს კრამნიკი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. მას ერთი ქულით ჩამორჩება გარი კასპაროვი, თუმცა მას ერთი პარტიით ნაკლები აქვს ჩატარებული. ყაიმების უსაშველო რაოდენობის გათვალისწინებით, ადვილი შესაძლებელია, კასპაროვი კრამნიკს ვერც დაეწიოს. 5,5 ქულა და ერთი პარტიით ნაკლები აქვს უნგრელ პეტერ ლეკოსაც.

ვიდრე მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეები ესპანურ მზეს ეფიცხებიან და ლინარესის ტურნირით იქცევენ თავს, საჭადრაკო სამყარო მარშით მიექანება აღმოსავლეთისკენ. ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ნათლად ჩამოაყალიბა თანამედროვე ჭადრაკის განვითარების გეზი. უფრო სწორად, უძველესი თამაშის გეოგრაფიული მიმართულება. მსოფლიო ჩემპიონატებმა, რომელთა ორგანიზატორობას ფიდე უზრუნველყოფს, აღმოსავლეთით იბრუნეს პირი, აფრიკასა და სამხრეთ კავკასიაში. აღმოსავლეთში დიდი ტურნირები ადრეც ტარდებოდა. 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ინდოეთში გაიმართა, ხოლო მის ფინალს ირანმა უმასპინძლა, მაგრამ ასეთი მასშტაბის ტოტალური შეტევა ჯერ არ ყოფილა.

ივნისში მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით ლიბიაში გაიმართება. ზაფხულში საქართველო (ან არაბეთის გაერთიანებული საემიროები), ასევე ნოკაუტ-სისტემით, ქალთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. ხოლო გარი კასპაროვმა უკვე განაცხადა თანხმობა, ფიდეს მსოფლიო ჩემპიონს ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში შეხვდეს.

რა არის ეს? საჭადრაკო გეოპოლიტიკური სივრცის აღრევა თუ სხვა რამ? ჯერჯერობით, ცალსახრივი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ვარაუდის გაკეთება შეიძლება. ჩემპიონატები ტარდება იქ, სადაც ამის ინტერესი ჩნდება და საპრიზო ფონდის თავმოყრაც ხერხდება. განსაკუთრებულ ინტერესს კი აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნები იჩენენ, რაც კირსან ილიუმჟინოვისთვის მისწრებაა. მას სურს, ჭადრაკი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიდეს.

შეიძლება ინტერესები იმის გამო გადაიხლართოს, რომ ევროპასა და სამხრეთ ამერიკას ყელში ამოუვიდა საჭადრაკო სამყაროს გაუთავებელი სკანდალები, გაურკვევლობა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან დაკავშირებით, არხეინობა მოჭადრაკეებისა, რომლებიც მატჩის გამართვის თაობაზე ერთმანეთს ვერ უთანხმდებიან, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ადგილიც ცნობილია და ამბიციების დასაკმაყოფილებლად თამაშიც ღირს. ეს ყველაფერი უკვე ძალიან აღიზიანებს ჭადრაკის მოყვარულებს.

ჭადრაკი კი სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც აშკარად გამოხატავს მისი ხელმძღვანელის ინტერესებსა და სიმპათიებს. თანაც, სპორტის ეს სახეობა განუყრელია პოლიტიკისგან. ტყუილად როდი ამბობენ: თუ გინდა, რომ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდე, ჯერ პოლიტიკის თამაში ისწავლე. მაგალითად, ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი. მას არ შეუძლია და არც იცის პოლიტიკის თამაში და ამიტომაც მხოლოდ სწრაფ ჭადრაკში ატარებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

ჭადრაკის სამყაროს სათავეში იყო ფლორენსიო კამპომანესი, მსოფლიო ჩემპიონი კი გახლდათ ანატოლი კარპოვი. შემცირდა თუ არა კამპომანესის გავლენა, ძალები მოიკრიბა კასპაროვმა. საჭადრაკო სამყარო დაინგრა. ჭადრაკში ორი ჩემპიონი გაჩნდა და ორივეს აქვს უფლება, თავის ტიტულს ლეგიტიმური უწოდოს. გამოჩნდა კირსან ილიუმჟინოვი. ის მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა. იბრძვის იმისთვის, რომ ჭადრაკს ერთი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდეს. ამისთვის ბევრიც გააკეთა, მაგრამ პრეზიდენტი ამას თავისი მეთოდებით ახორციელებს. მოსწონს კირსან ილიუმჟინოვს ნოკაუტ-ჩემპიონატები, სადაც მთელი საჭადრაკო სამყარო მონაწილეობს, მაგრამ უკმაყოფილო კვლავაც ბევრია.

ეს უკმაყოფილოები აცხადებენ, რომ ამის გასაკეთებლად პრეზიდენტს ძალაუფლება და ფული არ ჰყოფნის, ამიტომ ის ჭადრაკის გაერთიანებას ვერ მოახერხებს. სავსებით რეალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვეობა მოითხოვს არა ადამიანების შერკინებას, არამედ ადამიანის ბრძოლას კომპიუტერულ მონსტრებთან. ასეთი მატჩისთვის ფული ყოველთვის გამოინახება, რადგან კომპიუტერისა და ადამიანის ორთაბრძოლის მოსურნე ადამიანთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ეს, რა თქმა უნდა, ასეა.

თუმცა, იმედი, რომ 2005 წელს მთელი საჭადრაკო და დანარჩენი სამყარო, ბოლოს და ბოლოს, გაიგებს ჭადრაკის ნამდვილი მეფის ვინაობას, გაჩნდა. არა აქვს მნიშვნელობა, აფრიკაში გაიმართება, აზიაში თუ სხვაგან, მთავარია, რომ გაერთიანების პროცესი არ მოგვაგონებს ჭაობში მოფართხალეს, რომელიც სულ უფრო ღრმად მიექანება ფსკერისკენ. ამაზე ფაქტები ლაპარაკობენ. ამ დროისთვის კი ეს ფაქტები ასეთია: მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმირ კრამნიკი და პრეტენდენტი პეტერ ლეკო ჩემპიონის ტიტულისთვის შემოდგომაზე, შვეიცარიულ ბრისაგოში გამართავენ მატჩს. ზაფხულში ლიბიაში 128 მოჭადრაკე ჩემპიონის ტიტულს ნოკაუტ-სისტემით გაითამაშებს, რათა მომავალი წლის დასაწყისში ვიეტნამში გარი კასპაროვს შეხვდეს. ამ მატჩისა და კრამნიკ-ლეკოს შეხვედრის გამარჯვებული ერთმანეთს შეხვდება და მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს გამოავლენს.

ამასთან, ყველა მატჩს, უკანასკნელის გარდა, უკვე აქვს კონკრეტული ადგილი და კონკრეტული კონტრაქტები. ანუ ამ შეხვედრების გამართვა გარანტირებულია. ასე, მაგალითად, ლიბიაში საპრიზო ფონდი 1,508 მილიონი დოლარია, პლუს 700 ათასი დოლარი საორგანიზაციო ხარჯებისთვის. ვლადიმირ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს შეხვედრის დატალები აპრილ-მაისში გამოქვეყნდება, მაგრამ უკვე ახლავე ცნობილია, რომ ამ მატჩის საპრიზო ფონდი მილიონ დოლარზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება. ნოკაუტ-ჩემპიონატის გამარჯვებულსა და გარი კასპაროვს შორის მატჩი კი ჰანოიში გაიმართება და საპრიზო ფონდი 2 მილიონ დოლარს შეადგენს. კიდევ ერთი დეტალი: ქალთა ნოკაუტ-ჩემპიონატის ორგანიზებას აპირებს საქართველო ან არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

ასე რომ, ჭადრაკის განვითარების პერსპექტივები ამ დროისთვის საკმაოდ ნათლად იკვეთება. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ამ დაგეგმილი და ანონსირებული მატჩების ჩატარებას. მაშინ ჭადრაკი გაერთიანდება. თუმცა, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ვილაც გენიალური მეამბოხე მას ისევ არ გახლეჩს.

გინდა, გახდე ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი? - გაემგზავრე აღმოსავლეთში ან ლიბიაში. და კიდევ, ისწავლე პოლიტიკის თამაში. ოღონდ დაუკვირდი, რომ ძირითადი ფიგურები დაფიდან არ ჩამოვარდეს.

სპორტი და კინო

# რობინ ჰუდები, შესაძლოა, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონები

### ˝ბეჭდების მბრძანებელმა˝ ბრიტანეთში მშვილდოსნობის ბუმი გამოიწვია


˝ბეჭდების ბრძანებელი˝ მშვილდოსნობის პოპულარიზაციასაც ეწევა

ბიბა ბურასაშვილი

სათავგადასავლო თუ ეპიკური ჟანრის ფილმებს ნებისმიერ ადამიანზე მოუხდენია გავლენა. ყველა თაობას საკუთარი გმირები ჰყავს. თუ ჩვენ "შესანიშნავი შვიდეულით", ჩვენი მშობლები კი "ტარზანით" იქცევდნენ თავს, დღეს მათი ადგილი "რობინ ჰუდმა", "გლადიატორმა", "ბეჭდების მბრძანებელმა" დაიკავა. ისიც გეხსომებათ, რაც მოყვა "ილუზიონით" "ლედი კარატეს" ჩვენებას – მეორე დღეს ყველა უბანში დალილავებული ბავშვები იაიას ძახილით უმისამართოდ იქნევდნენ ხელ-ფეხს. ამ ფილმის ჩვენებას კარატესადმი გამძაფრებული ინტერესი მოყვა, ისევე როგორც თავის დროზე "ტარზანისას" - ხეებზე ოსტატურად ძრომიალი და ცურვა. დღევანდელ მოზარდ თაობაზე კი დიდი გავლენა მოუხდენია "ბეჭდების მბრძანებელს", ფილმს, რომლის მესამე ნაწილმა 11 ოსკარის დაუფლებით "ბენ ჰურისა" და "ტიტანიკის" რეკორდი გაიმეორა. ერთი სიტყვით, საუბარია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს კინომატოგრაფია სპორტზე.

დიდი ბრიტანეთის მშვილდოსნობის ეროვნული ასოციაცია სიამაყით აცხადებს, რომ სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესზე ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა სწორედ პიტერ ჯეკსონის კინოეპოსმა "ბეჭდების მბრძანებელმა". ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლამ მშვილდოსნობისადმი ინტერესი გააორმაგა – გაიზარდა მისი პოპულარობა. ადგილობრივი კლუბები მთელი ალბიონის მასშტაბით იტყობინებიან, რომ მშვილდოსნობის მოსურნეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

"მართალია, ამას ჯერ კიდევ ბუმს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ეს ინტერესი თითოეულ ჩვენგანს ახარებს, - ამბობს ერთ-ერთი ბრიტანული კლუბის დამფუძნებელი ელენ ნიკოლსი. – მოზარდები გვიმხელენ, რომ ისინი "ბეჭდების მბრძანებლის" გამო მოდიან ჩვენთან. ჩემს კლუბში დამწყებთა კურსებზე უკვე დიდი ხანია შეივსო ადგილები. ასე რომ, იძულებული ვართ, არაერთი მოზარდი უარით გავისტუმროთ. ვაღიარებთ, რომ მშვილდოსნობით დაინტერესება სასიამოვნოდ გვაოცებს".

პატარა რობინ ჰუდები კი ბრიტანეთში, მართლაც, მრავლად ყოფილან. მართალია, ბევრ მათგანს სამწვრთნელო კურსის გავლა უჭირს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ და მშვილდ-ისრის მომარჯვებაზე უარს არ ამბობენ. მშვილდოსნობა იმითაც გამორჩეულია, რომ აქ შესაძლებელია ივარჯიშოს ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანმა. ანუ, ასაკის მიუხედავად, წარმატების იმედი ყოველთვის შეიძლება გქონდეთ. ამ შემთხვევაში საჭიროა არა რბენა და განსაკუთრებული ფიზიკური მომზადება, არამედ ნებისყოფა და მიზანდასახულობა.

"მშვილდოსნობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი პირადი დისციპლინა და პასუხისმგებლობაა. ამასთან, სპორტის ეს სახეობა არ ცნობს სრულყოფილების საზღვრებსა და ასაკობრივ შეზღუდვას. მშვილდოსნობა შეუძლია ყველას: ბავშვებს, მოზრდილებს, ხნიერებს, ჯანმრთელებს და შეზღუდული ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანებსაც კი", - ვითარებაში უკეთ გვარკვევს ნიკოლსი.

აი, მაგალითად, ერთ-ერთი დამწყები მშვილდოსანი, 12 წლის ელენ ნიკოლსი, საკუთარ მაგალითზე გვიყვება. გვიყვება იმაზე, თუ რატომ გადაწყვიტა მშვილდოსნობა: "ფილმში მშვილდიდან ბევრ ისარს ისვრიან და ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გადავწყვიტე, ინტერნეტის საშუალებით ადგილობრივი კლუბი მომეძებნა. როდესაც მისამართი შევიტყვე, უმალ სექციაში ჩასაწერად წავედი. მშვილდოსნობა უდიდესი სიამოვნებაა. იმედი მაქვს, მალე ბევრად გამოცდილ მშვილდოსნებს გავეჯიბრები".

ბოლო მონაცემების მიხედვით, დიდ ბრიტანეთში 1040 კლუბია, მათი წევრების რაოდენობა კი - 23500. არადა, 1999 წელს კლუბების წევრთა რაოდენობა 18500 გახლდათ, ხოლო შარშანდელთან შედარებით ბრიტანეთში მშვილდოსანთა რიცხვმა 10 პროცენტით იმატა.

ბუნებრივია, ამგვარი პოპულარობა ბრიტანელ მშვილდოსანთა კმაყოფილებას იწვევს. მშვილდოსნობაში ეროვნული საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი დევიდ შერატი აღიარებს კიდეც, რომ სპორტის ამ სახეობისადმი მზარდი ინტერესით უაღრესად კმაყოფილია: "თუ ამგვარი მაჩვენებელი ფილმ "ბეჭდების მბრძანებელზეა" დამოკიდებული, ყველაფერი ეს კიდევ ერთ მაგალითს გვიჩვენებს. მშვილდოსნობით გატაცებულთა ამგვარი მაჩვენებელი დაფიქსირდა მაშინაც, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა "რობინ ჰუდი: ქურდების პრინცი" კევინ კოსტნერის მონაწილეობით. რა თქმა უნდა, სუბიექტური ვარ, მაგრამ მშვილდოსნობა, მართლაც, მშვენიერი სახეობაა.

რაც უფრო ადრე მოკიდებთ ხელს მშვილდს, მით უკეთესი შედეგები გექნებათ. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, სტანდარტების აწევას შეუწყობს ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთი უფრო მეტ მედალს მოიპოვებს ოლიმპიურ თამაშებზე. გახსოვდეთ: დღევანდელი დამწყები, ეს ხვალინდელი ოლიმპიური ჩემპიონია".

# რომანას ქართველთა მონასტერი ნაპოვნია

## საბოლოო დასკვნებისათვის კიდევ ერთი ექსპედიციაა საჭირო

ნანა კობაიძე

ფაქტები, რომელთა შესახებაც მოგითხრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. საუბარია თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე რომანას ქართველთა მონასტერზე, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, ევროპის ტერიტორიაზე არსებული პირველი ქართული მონასტერია. იგი საუკუნეზე მეტით უსწრებს ათონის ივერთა და 2 საუკუნეზე მეტით - პეტრიწონის მონასტრებს. ეს მონასტერი IX საუკუნეში ქართველი წმინდანისა და საეკლესიო მოღვაწის, ილარიონ ქართველის ძვალთშესალაგად აიგო.

ილარიონ ქართველის მრავალმხრივი საეკლესიო მოღვაწეობიდან გამორჩეულად მის კაცთა კურნების უნარს მოიხსენიებენ. სასწაულებს ახდენდა და განკურნებულთა მადლობასაც კი გაურბოდა. ამის გამო "უვერცხლო მკურნალს" უწოდებდნენ. თავდაპირველად სწორედ ამ კუთხით დაინტერესდა მისით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი რამაზ შენგელია. თუმცა, შემდეგ წმინდა პროფესიული ინტერესი იტორიულში გადაიზარდა და წმინდა ილარიონ ქართველის საფლავის აღმოჩენა მისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა. ორი წლის წინათ, როდესაც თურქეთში საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციაზე ჩავიდა, რამდენიმე თავისუფალი დღე დამოუკიდებელ "საგამოძიებო საქმიანობას" მოანდომა. ამ გამოძიების შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი მცირე ისტორიული ექსკურსი:

წმინდა ილარიონ ქართველი იმ მცირერიცხოვან წმინდანთა და საეკლესიო მოღვაწეთა რიცხვში შედის, რომელთა შესახებ ბევრი რამაა ცნობილი. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საკმაო ჰაგიოგრაფიული მასალა არსებობს: იგი 4 რედაქციას (20 ერთეული) მოიცავს, XII საუკუნემდეა შექმნილი და ძალზე საფუძვლიანად შესწავლილი ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ.

ილარიონ ქართველი დაიბადა 822 წელს კახეთში. ღვთისმსახურებისადმი მიდრეკილება ახალგაზრდობიდანვე გასჩენია. 847 წლამდე საქართველოში მოღვაწეობდა, შემდეგ კი იერუსალიმში, იორდანიის უდაბნოში, სადაც 7 წელიწადს დაჰყო. იქიდან მცირე ხნით საქართველოში დაბრუნდა და მალევე გაემგზავრა კონსტანტინეპოლში (859 წლამდე) სიცოცხლის უკანასკნელი წლები თესალონიკში გაატარა და 875 წელს იქვე გარდაიცვალა. უდიდესი პატივით დაკრძალეს.

სასწაულების ქმნას და ხალხის კურნებას ახლა მისი საფლავი განაგრძობდა, ამიტომ აქ ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. ამ ამბავმა ბასილი I მაკედონელის ყურამდე მიაღწია და თესალონიკელთა უკითხავად, ჩუმად გადაასვენა წმინდანის ნაწილები კონსტანტინოპოლში. მაგრამ ილარიონის მოწაფეებმა ეს ფაქტი სასტიკად გააპროტესტეს და თავად ითხოვეს მოეძიებინათ ადგილი ილარიონ ქართველის მომავალი ძვალთშესალაგისთვის. კონსტანტინოპოლთან ახლოს, ტყიან და დაუსახლებელ ადგილას, წყარომრავალ რომანას ღელესთან აირჩიეს სამონასტრო ტერიტორია და შვიდ თვეში საკმაოდ დიდი სავანე ააშენეს.

ბოლო მღვდელმთავარი, ვინც ნახა და დაადასტურა რომანას ქართველთა მონასტრის არსებობა, ანტონი ნოვგოროდელია, რომელიც აქ 1200 წელს იყო. ამის შემდეგ ინფორმაცია აღარ არსებობს.

ამ მონასტერსა და წმინდა ილარიონ ქართველის საფლავს არაერთი მეცნიერი თუ მოყვარული ეძებდა. მათ შორის, მ.თარხნიშვილი, მ.თამარაშვილი, ეუგენიო დალეჯიო დალესიო და სხვები, თუმცა – უშედეგოდ. გაცილებით შედეგიანი აღმოჩნდა ბელგიელი ორიენტალისტების, პ.პეტერსონისა და პ.პარგუარის ძიებები, რომელთაც დაახლოებით ივარაუდეს რომანას ქართველთა მონასტრის ადგილმდებარეობა. ამოსავალ წერტილს ამ ძიებაში ჰაგიოგრაფიულ წყაროებში მოტანილი ცნობები წარმოადგენდა, სადაც მონასტრის ადგილმდებარეობა ასეა მითითებული: "... მიემთხვ(ივ)ნეს ღელესა რასმე, რომელსა ერქუა ჰრომანა, ზემოკერძო ადგილსა, რომელსა სოსთენ ეწოდების და მუნ ჰპოვეს წყარო კეთილი და მოიქცეს და მიუთხარეს მეფესა..." სწორედ ტოპონიმმა "სოსთენ" ითამაშა უმთავრესი როლი რამაზ შენგელიას ძიებაში.

2002 წელს იგი თურქეთში სამეცნიერო კონფერენციას ესწრებოდა. გამომგზავრებამდე რამდენიმე დღე ჰქონდა დარჩენილი და რასაკვირველია, თავისი მიზნის განხორციელებას მოახმარა. მოიძია საარქივო მასალა, იყო ბუკინისტებთან, თუმცა უშედეგოდ – რომანას მონასტრის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ბოლო დღეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მივიდა და იქაურ ეპისკოპოსს, ოიუს იმრუს გაესაუბრა. იგი ძალზე განათლებული პიროვნება აღმოჩნდა, ძალიან მოეწონა ილარიონ ქართველის ისტორიაც, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ბოლოს ბატონმა რამაზმა ჰკითხა, ხომ არაფერს ეუბნებოდა მას სიტყვა "სოსთენ". მისდა გასაოცრად, პასუხად მიიღო, რომ ამ ადგილს დღეს ისტინია ეწოდება და სტამბულიდან 20 კილომეტრში მდებარეობს. გაოგნებული მაშინვე ავტობუსში ჩაჯდა და გაემგზავრა. კეთილი ადამიანების წყალობით ისტინიასაც მიაგნო და იმ კაცსაც, რომელმაც აჩვენა წყარო, სადაც 20-25 წლის წინათ მართლმადიდებლები ღამეებს ათევდნენ. მისი თქმით, ეს ხდებოდა არა დღესასწაულებზე, არამედ თითქმის ყოველდღე – ეს კი წყაროს სამკურნალო ძალაზე მიანიშნებდა. თვითმხილველის თქმით, ქრისტიანთა მღვდელი ამ წყლით მუსულმანებსაც კურნავდა. და კიდევ, ეს ადგილები, არაერთხელ გაუთხრია ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც იქ წმინდანის ნაწილებს და ოქროს ეძებდა. რა იპოვეს – არავინ იცის.

რამაზ შენგელია მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არასწორად ეძებდა. ის ადგილი, რომელსაც ისინი თხრიდნენ, მისი აზრით, საქვეყნოდ ცნობილი "აიაზმას" – წმინდა წყაროს ქვედა თვალია (არის ზედა თვალიც), რომელზეც აგებულია მცირე სამლოცველო. დასავლეთი კედლის ძირში მცირე აუზია წმინდა წყლისთვის, მის თავზე კი სამი ოვალური ნიშა, რომელთა ირგვლივ ფრესკის ნაკვალევია. ბატონმა რამაზმა ნიშის ფოტოები ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილს გააცნო, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია, რომ ეს ნიშები არკოსოლიუმები იყო. არკოსოლიუმი კედელში ჰორიზონტალურად შესვენებული წმინდა ნაწილების ნიშაა, რომელიც გარედან დაგმანულია. ეს მოსაზრება თანხვდება ლიტერატურულ წყაროებსაც, სადაც ნათქვამია, რომ წმინდა ილარიონის ძვლებთან ერთად დასვენებული უნდა იყოს ორი წმინდა მოციქულის ნაწილები, რომელთა საპატივცემულოდ ბასილი მაკედონელმა სამ-სამი კანდელის დანთება ბრძანა.


კილარიონ ქართველი

რამაზ შენგელიას აზრით, აიაზმის თავზე დადგმული სამლოცველო ქართველთა რომანას მონასტერი არ არის, ვინაიდან იგი მდებარეობს ისტინიის ტაფობის შუაგულში და არა "ზემოკერძ". ეს სიტყვა მეცნიერს კარგა ხანს არ ასვენებდა. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ ეწვია ამ ადგილებს. ამჯერად, ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელსაც ქართველი ექიმი შეძლებისდაგვარად დაუმეგობრდა, სიურპრიზი დაახვედრა.

რამაზ შენგელია საპატრიარქოს კუთვნილი ტერიტორიის გადაღმა წაიყვანეს, სადაც მეჩეთი და აბანო მდებარეობს (ეს დაახლოებით 1000 კვ.მ. ტერიტორიაა), აბანოს უკან შემოატარეს და კარი გაუღეს, სადაც ძირს ჩამავალი კიბე ჩანდა. ისტინიელებმა განუცხადეს, რომ შიგნით ეკლესია იყო და დასძინეს, მთელი ეს ტერიტორია სიცარიელეზე დგასო. ქართველი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მთელი ეს ტერიტორია – მეჩეთი, აბანო, გზა – ერთი დიდი ეკლესიის კრიპტაზე, ან სულაც პირველ სართულზე არის დაშენებული და სწორედ აქ არის სავარაუდოდ რომანას ქართველთა მონასტრის ადგილსამყოფელი.

გარდა ამისა, მოსახლეობა შეპირებია ამ ტერიტორიაზე ნაპოვნი ნივთების ჩვენებას, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრიათ. ის კი მითხრეს, რომ მრგვალი ქვა იპოვეს ჯვრის გამოსახულებით. ვთხოვე, დაეხატათ და ბოლნური ჯვარი დამიხატესო – ყვება მეცნიერი. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ აბანო, რომელსაც არანაირი არქიტექტურული ღირებულებაც კი არ გააჩნია, ადგილობრივ ხელისუფლებას კულტურის ძეგლად აქვს გამოცხადებული. ქართველი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სადაც საჭიროა, კარგად იციან იმის ფასი, რაც ამ აბანოს ქვეშ იმალება.

ერთი სიტყვით, ფაქტები მეტად მნიშვნელოვანია. რამაზ შენგელიამ ისტინიიდან ჩამოტანილი დოკუმენტური და ვიდეომასალა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს და ქართველ მეცნიერებსაც გააცნო, რომელნიც მის ვარაუდებს ადასტურებენ. თუმცა, საბოლოოდ რომ აეხადოს ფაქტებს ფარდა, საჭიროა კიდევ ერთი ექსპედიცია. ეს ყველაფერი ისევდაისევ თანხებს უკავშირდება. სამწუხაროდ, იმათ, ვისაც ფინანსები აქვს, მსგავსი ფაქტებისთვის ნაკლებად სცალიათ, დრო კი არ ითმენს. საგულისხმოა, რომ მეორე ჩასვლაზე ქართველ მეცნიერს "აიაზმის" ქვედა თვალზე მდგომარეობა გაუარესებული დახვდა. წმინდა წყაროს სუფთა შრეებამდე დასასვლელად ადგილობრივ მცხოვრებს 5-6 მეტრის სიღრმის ორმო ამოეთხარა. ასე რომ, თუ არ ვიჩქარეთ, რაც დარჩა, ისიც განადგურდება.

# ვიკინგთა კვალდაკვალ

ლევან ურუშაძე
ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის თავმჯდომარე


მუზეუმში დაცული ისტორიული ნავი


ვიკინგების ნავი დღეს

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველო მუდამ იყო მოქცეული უცხოელთა ყურადღების ცენტრში. საქართველოს შუა საუკუნეთა ისტორიის ერთი მოვლენა მჭიდროდ უკავშირდება ვიკინგებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სკანდინავიელების, ვიკინგების აღმნიშვნელი ქართული სახელწოდება "ვარანგ"-ი ("მატიანეი ქართლისაი") მომდინარეობს ბიზანტიურ წყაროებში დაფიქსირებული სახელწოდებიდან vaeringiar, რაც ნორმანი მეომრების სახელდებისთვის გამოიყენებოდა. სწორედ ბიზანტიური წყაროებიდან იღებს სათავეს რუსული სახელწოდება "ვარიაგი" (იხ. Гедеонов С. А. Варяги и Русь ч. 1-2 СПб; 1876). ჩვენი გაოცება გამოიწვია "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მე-9 ტომში (1985) გამოქვეყნებული წერილის "სასირეთის ბრძოლა" (გვ. 120) დასკვნითმა ნაწილმა, სადაც ვკითხულობთ: "მეტად საგულისხმოა "მატიანე ქართლისაის" ცნობა ამ ბრძოლაში ვარიაგების (ვარანგთა) მონაწილეობის შესახებ, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ძველ ფესვებზე მიუთითებს". წერილის ავტორი გახლავთ იმხანად ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ამჟამად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. მეტად დასანანია, რომ ამგვარ უხეშ (მაგრამ, ალბათ მიზანდასახულ) შეცდომას ვხვდებით ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილ ისეთ უნივერსალურ საცნობარო გამოცემაში, როგორიც არის ენციკლოპედია.

"და მოვიდეს ვარგნი სამი ათასი კაცი და დააყენა შუას (იგულისხმება დღევანდელი სოფელი ბაში სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე) გარე და მოიტანა თანა შვიდასი კაცი. მოვიდა ბაგრატ (ბაგრატ IV) შიდათ ლაშქარითა და ამით ვარანგითა, მესხნი ვეღარა მოილოდინეს. მივიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა, გაიქცა შიდას ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა; და ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ (კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ IV ბაღვაში) და პაშტნი, და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს, და ეგრეთ ლიხი გარდავლეს", - მოგვითხრობს XI საუკუნის ქართული ჟამთააღმწერლობითი თხზულება "მატიანე ქართლისაი" (იხ. ქართლის ცხოვრება (ანა დედოფლისეული ნუსხა). სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1942, გვ. 187).

თავის მონოგრაფიაში "დავით IV აღმაშენებელი" (თბილისი, 1990) როინ მეტრეველი მიუთითებს: "ისტორიკოსებში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგნი. ერთნი (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ) მიიჩნევენ, რომ ისინი იყვნენ ლიპარიტის მხარეს, მეორენი (მ. ჯანაშვილი, დ. ბაქარძე, ვ. ვასილევსკი, ი. ცინცაძე და სხვ.) თვლიან, რომ ვარანგნი ბაგრატ IV-თან იყვნენ" (გვ. 53). იქვე, ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ ვიკინგები იბრძოდნენ ბაგრატის მხარეზე და ამისთვის იშველიებს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას "აღწერა სამეფოსა საქართველოისა". გასაკვირია, თუ რამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა მაშინ, როდესაც "მატიანე ქართლისაი" ცალსახად მიუთითებს: "მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა"...

ვნახოთ, როგორ გადმოგვცემს ზემოხსენებულ ბრძოლას XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: "ხოლო ბაგრატს მოერთნენ სამი ათასნი ვარანგნი; მოიტანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა-ქართველნი, გარნა მესხნი ვერღარა მოიცადა და ლიპარიტცა მოვიდა კახით და სომეხთა მეფით დავითით; შეიბნენ სასირეთის ჭალასა შინა; არამედ იძლივნენ ბაგრატისანი და შეიპყრეს კუალად აბუსერი და სხუანი დიდებულნიცა და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა. მისცა ლიპარიტ პაშტანი. მათ გარდავლეს ეგრეთვე ლიხნი" (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ბატონიშვილი ვახუშტი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 147)).

ქართულ საისტორიო თხზულებებში აღწერილი ეს ბრძოლა ცნობილია "სასირეთის ბრძოლის" სახელით. იგი მოხდა შიდა ქართლის სოფელ სასირეთის მახლობლად (დღევანდლი ქარელის რაიონის ტერიტორია) ამავე სახელწოდების ჭალაში, გაერთიანებული საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-სა (1027-1072) და სეპარატისტ ფეოდალს, კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ IV ბაღვაშს შორის. ეს ბრძოლა გახლდათ ერთ-ერთი ეპიზოდი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის იმ ბრძოლისა, რომელიც მიზნად ისახავდა სეპარატისტი დიდებულების წინააღმდეგობის დათრგუნვას და ცენტრალიზებული, ძლიერი ქართული სახელმწიფოს განმტკიცებას. მართალია, ამ ეტაპზე, ბიზანტიელებისა და სომხების მიერ ზურგგამაგრებულმა ლიპარიტმა მიაღწია წარმატებას, მაგრამ როგორც ცნობილია, საბოლოოდ, ბაღვაშთა სამთავრო სახლი მარცხდება.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვიკინგთა (ვარანგთა) საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობით 1990-იანი წლების შუა ხანებში დაინტერესდნენ შვედი მეცნიერები და ენთუზიასტები. მათ გადაწყვიტეს სამეცნიერო ექსპედიციის ჩატარება, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. მომავალ ექსპედიციასთან დაკავშირებით მისმა ორგანიზატორებმა ინტერნეტის ქსელში გაავრცელეს სპეციალური პრესრელიზი, რომელიც 2003 წლის ივლისში მიიღო ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭომაც. პრეს-რელიზის ქართული თარგმანი შეასრულა ექსპედიციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა, ჩვენმა თანამემამულემ ეკატერინე გაგოშიძემ. სამწუხაროდ, პრეს-რელიზში, რომლის სახელწოდებაა "ვიკინგები საქართველოში", ვხვდებით მთელ რიგ უზუსტობებს. კერძოდ, მითითებულია შემდეგი: "ქართველთა მეფე ბაგრატთან მოლაპარაკების შედეგად 700-მა სკანდინაველმა გზა ქვეყნის აღმოსავლეთით განაგრძო და ბაგრატის მტრების სასირეთელების წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ბრძოლა თბილისიდან დასავლეთით რამდენიმე მილის დაშორებით მოხდა. ცნობების თანახმად, ქართველთა მეფე დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა. სკანდინავიელებმა კი მტერთან მოლაპარაკება მოახერხეს და საქართველოს დასავლეთით დაბრუნება შეძლეს".

აღსანიშნავია, რომ ვიკინგთა კავკასიაში მოგზაურობის შესახებ ცნობებს შეიცავს ცენტრალურ შვედეთში აღმოჩენილი, 26 წარწერისგან შემდგარი ქვის ფილა და ერთ-ერთი ისლანდიური საგა. ამ წყაროთა მონაცემები ადასტურებს, რომ სკანდინაველთა ხსენებულ ექსპედიციას სათავეში ედგა ინგვარ დენ ვიტფარნე. ამ მასალების საფუძველზე ცნობილმა შვედმა არქეოლოგმა, ძველი სკანდინავიური ნავების ცნობილმა სპეციალისტმა, დოქტორმა მაც გე ლარშორნმა გამოსცა წიგნი "ვიკინგთა ნავების ბედისწერა – ინგვარ დენ ვიტფარნეს მოგზაურობა 1036-1041 წლებში". შვედი სწავლულები ვარაუდობენ, რომ ვიკინგები ნიჩბებიანი ნავების საშუალებით, დნეპრის გავლით მოხვდნენ შავ ზღვაში, რაც ძალზედ რეალისტურად და დამაჯერებლად გამოიყურება. ამის შემდეგ, ისინი მდინარე რიონით შემოვიდნენ საქართველოში და მოადგნენ რიონისპირა სოფელ ბაშს.

ქართული წყაროები მიუთითებს, რომ ვიკინგების (ვარანგთა) საერთო რაოდენობა სამი ათასს აღწევდა. მათგან ბაგრატ IV-მ შეარჩია 700 მებრძოლი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სასირეთის ჭალაში გამართულ ზემოხსენებულ ბრძოლაში.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ადგილ-ადგილ ვიკინგებს ხმელეთით უწევდათ ნავების გადატანა, შესაძლოა, ეჭვი შევიტანოთ ექსპედიციის მონაწილე ვიკინგთა საერთო რაოდენობაში და რიცხვი 3 ათასი გადაჭარბებულად მივიჩნიოთ.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. სკანდინავიური წყაროები მიუთითებენ, რომ ინგვარ დენ ვიტფარნეს მოგზაურობა შედგა 1036-1041 წლებში. ქართული წყაროების მონაცემების თანახმად კი, სასირეთის ბრძოლა უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1047 წელს. ამდენად, სკანდინავიური და ქართული წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოსალოდნელია სასირეთის ბრძოლის თარიღის კორექტირება.

ცნობილია ისიც, რომ ბრძოლის შემდეგ ვიკინგებმა მოახერხეს ლიხის ქედით დასავლეთ საქართველოში გადასვლა, სადაც, სავარაუდოდ, ისინი უნდა შეერთებოდნენ ვიტფარნეს ექსპედიციის სხვა მონაწილეებს. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მათი კვალი იკარგება. არ არის გამორიცხული, რომ ვიკინგთა გარკვეული ნაწილი დარჩა დასავლეთ საქართველოში.

დოქტორ ლარშინის და ვიკინგების ნავების და ზღვაოსნების ისტორიის მკვლევარის ჰოკან ალტროკის თაოსნობით 1998 წელს დაიწყო და 2001 წელს დასრულდა ნავის – "ჰემინგლევა"-ს ("ცის ნათება") მშენებლობა. იგი სპეციალურად მომავალი სამეცნიერო ექსპედიციისთვის აიგო. ამ ნავის ორიგინალს წარმოადგენს 1880 წელს ნორვეგიაში, წარჩინებული ვიკინგის სამარხში აღმოჩენილი ნავი, რომელიც ამჟამად ოსლოში, ვიკინგთა ნავების მუზეუმში ბიდგოი-ში ინახება. ნავში ეტევა 9 ადამიანი და იგი ექვსნიჩბიანია.

2003 წლის დამდეგს ჰოკან ალტროკისა და მაც გე ლარშინის თაოსნობით ჩამოყალიბდა ვიტფარნეს მიმდევართა კომპანია, რომლის მიზანს საზღვაო-სამეცნიერო ექსპედიციების განხორციელება წარმოადგენს.

მომავალი ექსპედიცია დაიწყება 2004 წლის გაზაფხულზე, სამხრეთ უკრაინაში მდებარე ძველი შვედური სოფლიდან, რომლის სახელია "გამალსვენსკები". სწორედ აქ შეწყდა პირველი ექსპედიცია 1996 წელს.

ძალზედ სასიამოვნოა, რომ ექსპედიციასთან დაკავშირებით ვიტფარნეს კომპანიის მესვეურნი დაუკავშირდნენ ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულ სექციას. ამჟამად ზუსტდება მომავალი თანამშრომლობისა და მომავალი ერთობლივი კვლევითი სამუშაოს დეტალები. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

## ორშაბათი 8.03

### რუსთავი - 2
08.03 07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.30 სერიალი "მაშველები" 17.05 პერეკროსტოკი 17.30 "ტელეღიპუცები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "ჯაშუში" 22.50 ღამის კურიერი 23.20 მხ. ფილმი "სახიფათო კავშირები". მთ. რ-ში: ჯონ მალკოვიჩი, გლენ კლოუზი.

### პირველი არხი
09.00 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 09.25 მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ფიცი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 სპექტაკლი "მგზნებარე შეყვარებული" 14.35 ქართ. სატ. ფილმი "სამი ამბავი ტელეფონით" 15.15 ქართ. მხ. ფილმი "გასეირნება თბილისში" 16.45 "არტე" წარმოგიდგენთ 17.05 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" მე-6ს. 19.00 მრავალჟამიერ 19.25 "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.10 "ფრანგი დოკუმენტალისტების თვალით" 22.40 "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (გვინეტ პელტროუ) 00.00 მხ. ფილმი "დიდი მანევრები"

### პირველი სტერეო
07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "მიწისქვეშა გადასასვლელი". მთ.რ-ში კრისტოფერ ლამბერტი, იზაბელ აჯანი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "როგორ მოვკლათ მეზობლის ძაღლი". მთ.რ-ში კენეტ ბრანა, რობინ რაით-პენი. 01.40 "ღამურა" 03.00 პაუზის გარეშე

### მზე
09.00 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 10.00 სერიალი "მისი სულის მუსიკა" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "ყველაფერი მარტას შესახებ" (მონიკა პოტერი) 23.00 მხ. ფილმი "მუსა"

### მეორე არხი
08 19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.35 კინოსეანსი "ქალი კამელიებით" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" მე-3ს.

### კავკასია
08 12.00 ინდური მხ. ფილმი "უზომო სიყვარული" 15.00 მხ. ფილმი "პატივმოყვარეობის კოცონი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "პიკის საათი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "რეალობა იკბინება" 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

### მეცხრე არხი
08.03 08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.25 რუს. სერიალი "დიდი შესვენება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50, 17.50, 20.15 მუსიკა 12.15 ქართ. ფილმი "აურზაური სალხინეთში" 13.25 მოკ. მხ. ფილმი 13.40 "ბელისიმო" 14.15 "ოლიმპი" 14.50 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.20 მხ. ფილმი "მეგრე" მე-5ს. 17.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" მე-5 ს. 18.00 მულტფილმი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ინდიგოს მიწა" მე-16ს. 20.00 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 ღამის მატარებელი 01.00 მხ.ფილმი "როგორ ჩამოვიშოროთ ბიჭი ათ დღეში" (კეიტ ჰადსონი)

### იმედი
08 07.00, 12.00, 13.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.10 "დროება" 11.30 "ერთხელ ჰოლივუდში" 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 "ლარის მახე" 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 ქრონიკა 14.05 სერიალი "კლონი" 15.15 მხ. ფილმი "ოინბაზი" 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 1-ლი ს. 18.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 19.00, 21.00, 22.00, 01.30 ქრონიკა 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 სერიალი "ნეშ ბრიჯისი" 21.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 22.50 მხ. ფილმი "ცეზარი და როზალი" 00.50 სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

### არხი
08.00 მუსიკა 09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია "მოჩვენებაზე მონადირენი" 11.15 "ქალბატონები" 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ.გამ. "დღეს" 12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" 12.20 მხ. ფილმი "ყელსაბამის ისტორია" 14.30 კომედია "არგენტინელი ნიუ-იორკიდან" 15.50 "გალერეა" 16.20 მულტფილმი 17.20 "მზე აქ შემოიჭრება" 17.30 "ქალბატონები" 18.30 კომედია "ერთხელ მიდლენდში" 20.05 მელოდრამა "გზაჯვარედინზე" 21.30 "რენომე" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 "ქალბატონები" 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხატვრული ფილმი "სიყვარულის სიმწარე" 02.45, 05.45 მუსიკა 03.00 ბოევიკი "შერკინება"

### ОРТ
07.00 Новости 07.10 Комедия "Берегите женщин", 2 с. 08.30 "Шутка за шуткой" 09.30 Комедия "За двумя зайцами" 11.00, 13.00, 19.00 Новости 11.10 "Новые русские бабки" 11.40 "Кумиры" + кумиры 13.10 Шоу "Город женщин" 15.00 "Большие родители". Л.Целиковская 15.30 Юмористический концерт "Вам, женщины!" 17.30 Комедия "Королева бензоколонки" 19.10 Праздничный концерт "Песни для любимых" 22.30 Комедия "Сбежавшая невеста" 00.50 Худ.фильм "Женская собственность" 02.40 Бокс. Ф.Варгас - Т.Маршалл 03.10 Легкая атлетика. Чемпионат мира в закрытых помещениях 04.00 Лыжный спорт. Кубок мира. Пер. из Финляндии

### РТР
06.50 Комедия "Суета сует" 08.15 Мультфильмы 08.35 Худ.фильм "8 марта" 10.20 Аншлаг 11.20 Комедия "Будьте моим мужем" 13.05 Клуб "Театр + ТВ" 15.00 Вести 15.20 Концерт Николая Баскова 17.55 Комедия "Служебный роман". 1-2 с. 21.00 Вести 21.10 Бабы, вперед! 23.05 Праздничное шоу В.Юдашкина 01.00 Худ.фильм "Соблазнитель" 02.50 Худ.фильм "У зеркала два лица"

### НТВ
06.55 Худ.фильм "Восток-запад" 09.00, 13.00, 17.00, 20.00 "Сегодня" 09.20 "Без рецепта". Доктор Бранд 09.50 Худ.фильм "А зори здесь тихие" 13.20 "Квартирный ответ: Два мужа, две жены, две спальни" 14.35 Комедия "Фортуна" 16.35 "Профессия - репортер". "Железные леди" 17.20 Худ.фильм "Человек в железной маске" 20.40 Сериал "Таксист", 5 с. 21.45 Комедия "Мошенники" 23.40 Худ.фильм "Заговор"

## სამშაბათი 9.03

### რუსთავი - 2
09.03 07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "ჯაშუში" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 "ტელეღიპუცები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერი"-"პორტო" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი
07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი "დიდი მანევრები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი "მოხსენიების დღე" 16.50 დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" 17.15 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 და არს მუსიკა 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.15 ჩვენი ფეხბურთი 23.30 მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" მე-4ს.

### პირველი სტერეო
07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "როგორ მოვიქცეთ". მთ.რ-ში მენდი მური, ელისონ ჯინიგიტი. 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "ადამიანი, რომელიც ხდება" მთ. რ-ში რობერტ ჯონბერგი. 01.40 "ღამურა" 03.00 პაუზის გარეშე

### მზე
09 09.00 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "აპაჩი" (ბერტ ლანკასტერი) 23.00 მხ. ფილმი "მოცეკვავე ზედა სართულიდან" (ლაურა მორანტე)

### მეორე არხი
09 19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.35 კინოსეანსი "ჭია-მაიები" 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.10 მხ. ფილმი "ლედი კაროლინა ლემი"

### კავკასია
09 12.00 მხ. ფილმი "რეალობა იკბინება" 13.30 "საქმე და ეკონომიკა" 14.30 მხ. ფილმი "მგლის საძმო" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "პიკის საათი 2" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "მარვინის ოთახი" 00.30 მუსიკა

### მეცხრე არხი
09.03 08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.15, 11.50, 13.45, 17.50 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 12.00 მხ. ფილმი "როგორ ჩამოვიშოროთ ბიჭი ათ დღეში" 14.00 მულტფილმი "კონკია" 14.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 15.10 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 სერიალი "ინდიგოს მიწა" 16.35 დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" 1-ლი ს. 17.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.00 მულტფილმი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ლუდის ბატონები" 1-ლი ს. 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 "ცხელი ცხრიანი" 23.50 სერიალი "ჰენრი ჯეიმსი - ახალგაზრდა მეამბოხე" მე-3ს. 01.00 მხ. ფილმი "ქეითი და ლეო".

### იმედი
07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 15.15, 16.05, 17.20, 01.05 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 11.05 სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 "მულამბები" 14.05 სერიალი "ნეშ ბრიჯისი" 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.10 მხ. ფილმი "ცეზარი და როზალი" 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" მე-2ს. 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.50 ქრონიკა 18.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 სერიალი "ნეშ ბრიჯისი" 21.30 ლარის მახე 22.50 მხ. ფილმი "ჩეხოვის მოტივებზე"

### არხი
08.00 მუსიკა 09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია "მოჩვენებაზე მონადირენი 2" 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ.გამ. "დღეს" 12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" 12.20 კომედია "ერთხელ მიდლენდში" 14.10 მხ. ფილმი "ქუხილის დღეები" 16.20 მულტფილმი "ნოტერდამელი კუზიანი" 17.20 დოკუმენტური ფილმი 18.30 ბოევიკი "ბალისტიკა" 20.10 კომედია "გურუ" 21.40 მუსიკა 22.40 "პოზიცია" 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 თრილერი "დაღი" 03.00, 05.25 მუსიკა 03.20 მელოდრამა "ესენია" 10 მარტი

### ОРТ
09-03-2004 ОРТ 07.00 "Доброе утро!" 09.45 Выборы-2004 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Комедия "Сбежавшая невеста" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 "Юрий Гагарин: Секретный отчет" 13.50 Худ.фильм "Так начиналась легенда" 15.00 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "Берег мечты" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Шутка за шуткой" 19.50 "Выборы - 2004" 20.00 Сериал "Клон" 20.50 Иронический детектив "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30 "Время" 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 23.40 Док.фильм "Юрий Гагарин" 01.00 "На футболе" 01.30 "Сканер" 02.00 "Русский экстрим" 02.30 Комедия "Папаша и другие" 04.30 Худ.фильм "Нарушитель спокойствия". США, 1998

### РТР
06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Фильм "Сердца четырех" 11.40 В "Городке" 11.50, 14.50, 17.30, 00.20 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Аншлаг 15.35 Ток-шоу "Частная жизнь" 16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Сериал "Вкус убийства" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "Тайны следствия-3" 23.00 Сериал "Пан или пропал" 00.00 Вести+ 00.35 Худ.фильм "Утомленные солнцем", 1 с. 02.00 Худ.фильм "Афинские вечера" 03.55 Синемания 04.25 Дорожный патруль 04.40 Агентство одиноких сердец

### НТВ
07.00 "Утро на НТВ" 09.45 Сериал "Свободная женщина 2" 11.00 "Сегодня утром" 11.25 Экспедиция Т. Баженова "Дикий мир: Хищное небо" 12.20 Ток-шоу "Страна советов" 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.50 "Сегодня" 13.30 Комедия "Мошенники" 15.20 "Время есть" 15.35 "Протокол" 16.35 Ток-шоу "Принцип домино" 18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35 "Протокол" 20.40 Сериал "Таксист", 6 с. 21.50 "Свободная женщина 2", 6 с. 23.00 "Страна и мир" 23.35 Футбол. Лига чемпионов. "Манчестер Юнайтед" (Англия) - "Порту" (Португалия) 01.40 Сериал "Таксист"

## ოთხშაბათი 10.03

### რუსთავი - 2
10.03 07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 "ტელეღიპუცები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. "რეალი"-"ბაიერნი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი
